

როგორ შევქმნათ ეკოტურისტული პროდუქტი

პრაქტიკული სახელმძღვანელო

სენაკისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებისათვის

ecoTOURISM DEVELOPMENT CENTRE

GEORGIAN ECOTOURISM ASSOCIATION

WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

თბილისი 2016

როგორ შევქმნათ ეკოტურისტული პროდუქტი

პრაქტიკული სახელმძღვანელო

სენაკისა და მარტვილის

მუნიციპალიტეტებისათვის

თბილისი | 2016

წინამდებარე სახელმძღვანელო გამოიცა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ განხორციელებული პროექტის (RLD) – "რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში" მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში, სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისისა (SCO) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC) დაფინანსებით.
სახელმძღვანელო მომზადებულია ეკო-ტურიზმის განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტის – „სენაკისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებში მდგრადი ეკოტურისტული მომსახურეობის განვითარება ადგილობრივი თემის ჩართულობისა და არაფორმალური დუალური განათლების გზით" – ფარგლებში საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციასთან თანამშრომლობით.
სახელმძღვანელოში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

ავტორები: ნ. ბახტაძე-ენგლენდერი, ნ. მარჯანიძე,
ი. ოქრომელიძე, ნ. რობიტაშვილი, ე. შპეტიშვილი.
კონსულტანტი: დოქ. ნ. შაფათავა.
რედაქტორ-კორექტორი: ჟ. მეგრელიშვილი
დიზაინერ-დამკაბადონებელი: პ. დვალაძე
ფოტო ყდაზე: copter.ge
ფოტოები: ზ. გაგუა; ი. ხარგელია; ლ. გიგაური; ი. ოქრომელიძე,
ნ. მარჯანიძე, გ. კალანდია, ო. ჯანაშია, სენაკის გამგეობა.

ეკოტურიზმი – საქართველოში ტურიზმის განვითარების უალტერნატივო გზა



მსოფლიოში უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ტურიზმი ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ინდუსტრიას წარმოადგენს. განვითარებად ქვეყნებში იგი განიხილება სოციალ-ეკონომიკური წინსვლის მამოძრავებელ ძალად, რომელიც ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნასა და სწრაფი შემოსავლის მიღებას. ამის მიუხედავად, დარგის სწრაფი ზრდის ტემპები უარყოფით გავლენას ახდენს რეგიონის ბიომრავალფეროვნებაზე, ეკოლოგიურ მდგომარეობასა და მკვიდრ გარემოზე. ამ გარემოებების გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ტურიზმის განვითარება მიმართული იყოს არა მხოლოდ ტურისტული ნაკადების ზრდისკენ, არამედ რეგიონში არსებული ტურისტული რესურსების შენარჩუნებისკენაც. მნიშვნელოვანია, რომ ტურისტული პროდუქტის დაგეგმვისას მთავარ მიზანს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ადგილობრივი წეს-ჩვეულებების, ტრადიციებისა და გარემოს ავთენტურობის დაცვა წარმოადგენდეს.
ადგილობრივი თემის ინტერესების დაცვით ტურისტული პროდუქტის განვითარება მოიცავს ყველა ზემოაღნიშნულ კომპონენტს და წარმოადგენს ეკოტურიზმის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. სწორედ ეს მიზნები გვამოძრავებდა სენაკისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებში ეკოტურისტული პროდუქტის განვითარების პროცესში. აღნიშნული სამოქმედო არეალის შერჩევა განაპირობა რეგიონის ბუნებრივმა მრავალფეროვნებამ და მზარდმა ტურისტულმა ნაკადებმა. ადგილობრივი მოსახლეობის უნარ-ჩვევების გაძლიერებისთვის განხორციელებული თეორიული და პრაქტიკული ტრენინგების საფუძველზე, მათი ჩართულობით შემუშავდა 6 ახალი ეკოტურისტული პროდუქტი. სწორედ ეს პროცესია აღწერილი წინამდებარე სახელმძღვანელოში.
ჩვენი აზრით, სახელძღვანელოში წარმოდგენილი გამარტივებული მეთოდოლოგია ხელმისაწვდომი და გამოყენებადი იქნება სხვადასხვა ტურისტული მომსახურების მიმწოდებლებისთვის.

პატივისცემით,

ი. ოქრომელიძე

საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი

სარჩევი

1. ეკოტურიზმი და ეკოტურისტული პროდუქტი 5

1.1. ეკოტურისტული პროდუქტის პოტენციალი სენაკის და მარტვილის მუნიციპალიტეტებში 7

2. ეკოტურისტული რესურსი 29

2.1. ბუნებრივი და კულტურული (მატერიალური და არამატერიალური) რესურსების კვლევა 29

2.2. თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან 35

3. ეკოტურისტული პროდუქტის შექმნა 39

3.1. ეკოტურისტული პროდუქტის შექმნის საფუძვლები და პრინციპები 39

3.2. ეკოტურისტული მომსახურების მიმწოდებლები: საოჯახო სასტუმრო, კვების ობიექტი, გამყოლი, რეწვის ოსტატი, აგრომეურნეობა. 41

3.2.1 საოჯახო სასტუმრო 41

3.2.2 საზოგადოებრივი კვების ობიექტი 52

3.2.3 ადგილობრივი გამყოლი 56

3.2.4 აგრომეურნეობა 61

3.2.5 ტრადიციული რეწვის ბიზნესი 63

4. ეკოტურისტული საქმიანობის დაწყება 64

4.1. ინდივიდუალური მეწარმე 64

4.2. კერძო სამართლის იურიდიული პირი – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 66

4.3. SWOT ანალიზი 68

5. ეკოტურისტული საწარმოს საკადრო უზრუნველყოფა 70

6. მარკეტინგული სტრატეგია 74

6.1. ტურისტული ბაზრის სეგმენტაცია, მიზნობრივი სეგმენტების განსაზღვრა და ბაზრებზე ეკოტურისტული პროდუქტის პოზიციონირება 76

6.2. ფასწარმოქმნის პოლიტიკა 81

6.3. გაყიდვების არხები 85

6.4 მარკეტინგული კომუნიკაციები 85

7. ეკო-ტურიზმის განვითარების ცენტრის მიერ შექმნილი ეკოტურისტული პროდუქტები 88

8. ეკოტურისტული მომსახურების მიმწოდებლები 100

1 ეკოტურიზმი და ეკოტურისტული პროდუქტი

ტერმინი „ეკოტურიზმი“ პირველად 1988 წელს გამოიყენეს მექსიკაში და მას შემდეგ მისი განმარტების მრავალი ინტერპრეტაცია გაჩნდა. ეკოტურიზმის საერთაშორისო საზოგადოების (TIES) მიხედვით[1] ეკოტურიზმი – ეს არის გონივრული მოგზაურობა ბუნებრივ გარემოში, რომელიც ხელს უწყობს გარემოს დაცვას და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას.

ეკოტურიზმის სამი ძირითადი კომპონენტია:

1. ბუნების შემეცნება – მოგზაურობის დროს ველური ბუნების შემეცნება სხვადასხვა მეთოდით (ბუნების ინტერპრეტაცია);

2. ეკოსისტემის შენარჩუნება – გულისხმობს ტურისტების არა მარტო შესაბამის ქცევას ბუნებაში, არამედ მათი და ტუროპერატორების მონაწილეობას გარემოსდაცვით ღონისძიებებში;

3. ადგილობრივი მოსახლების ინტერესების დაცვა – ნიშნავს არა მარტო ადგილობრივი კულტურისა და ტრადიციების პატივისცემას, არამედ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანას.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) პროგნოზით 2030 წლისთვის საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა 1,8 მლრდ. ადამიანამდე გაიზრდება[2]. ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი და მდგრადი ინდუსტრიაა, რომელიც, როგორც ყველა სხვა ინდუსტრია, საჭიროებს რესურსს. ტურისტულ რესურსს წარმოადგენს: ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა, ბუნებრივი და ადამიანური რესურსები. ნებისმიერი რესურსი, რომელსაც მზარდი ინდუსტრია იყენებს, ამოწურვადია, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მათი მდგრადი გამოყენება და დაცვა. ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო წრეების პუბლიკაციებში საკრუიზო, ეკოლოგიური, სათავგადასავლო და თემატური ტურები პერსპექტიულ და სწრაფად მზარდ სახეობათა შორის განიხილება. სხვადასხვა ავტორთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, ტურისტული მომსახურების მოთხოვნის ზრდა ძირითადად საპენსიო ასაკის მოგზაურთა ხარჯზე მოხდება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც ეკოტურებით არის დაინტერესებული.

ეკოტურიზმი გამორიცხავს ბუნებაში უხეშ ჩარევას და უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ადგილობრივი კულტურის შენარჩუნებისკენ. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციამ აღიარა ეკოტურიზმი, როგორც საკვანძო

[1] http://www.ecotourism.org/

[2] UNWTO Tourism Highlights 2016 Edition, UNWTO's long-term forecast report "Tourism Towards 2030".

მიმართულება სიღარიბის ეფექტურად დაძლევისთვის, გარემოს დაცვისა და კონცსერვაციისთვის, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების პოპულარიზაციისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოსდაცვითი პრინციპების გათვალისწინებით, ეკოტურისტული პროდუქტის შექმნისას მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ადგილობრივი პროდუქციისა და ადგილზე არსებული ტურისტული მომსახურებების რეალიზაციის შედეგად მოგზაურთა მხრიდან მეტი დანახარჯების სტიმულირება. ეკოტურისტული პროდუქტის წარუმატებლობა შეიძლება გამოიწვიოს დაგეგმვისას დაშვებულმა შეცდომებმა, კერძოდ, ბაზრის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობით, არასწორი ინვესტირებით და ბიზნესგეგმის არქონით. აღნიშნული შეცდომები ხშირად ვლინდება რეგიონულ დონეზე.

ეკოტურისტული პროდუქტის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია სამი ძირითადი კომპონენტი:

– ხარისხი – ფასის შესაბამისი მომსახურების შეთავაზება მისი სპეციფიკის გათვალისწინებით;

– უსაფრთხოება – პროდუქტის გამოყენებისას მომხმარებლის უსაფრთხოების დაცვა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება/შემსუბუქება (მაგ. სათავგადასავლო ტური);

– ავთენტურობა – შეთავაზებული ტურისტული მომსახურეობების შესაბამისობა რეგიონის კულტურულ გარემოსთან (მაგ. ტრადიციული სამზარეულო, ფოლკლორი, ადათ-წესები).

ეკოტურისტული პროდუქტის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია ინტერპრეტაცია, რომელიც გულისხმობს ადგილობრივი კულტურისა და ენდემური ფლორისა და ფაუნის შესახებ მოგზაურთათვის აღქმადი ინფორმაციის მიწოდებას. მსოფლიოს ტურიზმის ორგანიზაციის კვლევა[3] ადასტურებს, რომ ეკოტურისტების მოგზაურობის ძირითადი მიზანი პირველ რიგში თვითმყოფადი ბუნებაა, ხოლო შემდეგ მკვიდრი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის გაცნობა. იმავეს ადასტურებს ეკოტურიზმის საერთაშორისო საზოგადოების (TIES) დაკვეთით შესრულებული კვლევა[4] ეკოტურისტების მოთხოვნათა თავისებურებების შესახებ, სადაც, ზემოთხსენებულის გარდა, პრიორიტეტი ენიჭება ქვეითად სიარულის და ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის შესაძლებლობას. ეკოტურისტის არჩევანს, აგრეთვე, განაპირობებს:

1. სამოგზაურო ადგილის უნიკალურობა;

2.გიდების რაოდენობა და მათი პროფესონალიზმი (გამოცდილი ეკოტურისტების 10% გიდის პროფესიონალიზმს ასახელებს არჩევანის განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორად);

3. აქტიური დასვენების შესაძლებლობა (მოგზაურობა ფეხით, ცხენით და სხვა). ეკოტურისტი უპირატესობას ანიჭებს ერთ ტურში გაერთიანებულ აქტიური დასვენების რამდენიმე ტიპს (ფეხით ლაშქრობა, ცხენით გადაადგილება, რაფტინგი, კანიონინგი და სხვა). აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა წყალზე მოგზაურობას უკავშირდება.

ეკოტურისტის ქცევისთვის დამახასიათებელია ახალი დესტინაციების ძიება. მათი მხოლოდ 45% ახორციელებს ერთი და იმავე ადგილას განმეორებით ტურებს. აქედან გამომდინარე, ეკოტურიზმის განვითარებისას მნიშვნელოვანია პროდუქტის დივერსიფიცირება და მუდმივი განახლება.

1.1 ეკოტურისტული პროდუქტის პოტენციალი სენაკის და მარტვილის მუნიციპალიტეტებში

ყოველ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში ეკოტურისტული პროდუქტის არსებობას და მის მრავალფეროვნებას განსაზღვრავს არსებული ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი და ადგილობრივ მცხოვრებთა მატერიალური და არამატერიულური კულტურის ნიმუშები. ისინი სინთეზში ან ინდივიდუალურად წარმოადგენენ ცალკეული ეკოტურისტული პროდუქტის შექმნის საფუძველს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან პოტენციალს ფლობს მარტვილისა და სენაკის მუნიციპალიტეტები, სადაც არსებული ბუნების ძეგლები (მღვიმეები, ჩანჩქერები, კანიონები) და კულტურული ღირსშესანიშნაობანი რეგიონში სხვადასხვა სახის ეკოტურისტული პროდუქტის განვითარების საშუალებას იძლევა.

მარტვილის მუნიციპალიტეტი

მარტვილის მუნიციპალიტეტი მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში. ჩრდილოეთით ესაზღვრება ლენტეხის, აღმოსავლეთით – ხონისა და ცაგერის, სამხრეთით – სენაკისა და აბაშის, დასავლეთით კი – ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტები.

ტერიტორია ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით მოიცავს დასავლეთ ოდიშის დაბლობის სამხრეთ ნაწილს, ეგრისის ქედის მთისწინეთს

[3] The Case for Responsible Travel: Trends and Statistics UNWTO

[4] https://www.ecotourism.org/research-and-publications

და მის სამხრეთ კალთებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიას ჩრდილო–აღმოსავლეთით გასდევს ასხის მთის მასივი, ხოლო ტერიტორიის სამხრეთ ნაწილი უჭირავს დაბლობს, რომელიც სამხრეთ–დასავლეთიდან ჩრდილო–აღმოსავლეთისაკენ მაღლდება 60–დან 170 მეტრამდე. უმაღლესი ადგილი, მდინარე ტეხურის სათავე, მდებარეობს ზღვის დონიდან 3001 მეტრზე.

რელიეფი

მარტვილის მუნიციპალიტეტის რელიეფი მორფოლოგიური და გეოლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანია. აქ სხვადასხვა ასაკის ქანებით აგებული გეოლოგიური სტრუქტურები რელიეფის საინტერესო ფორმებს ქმნის, რომლებიც, ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან ეკოტურისტულ პოტენციალს განაპირობებს. რელიეფის ერთ–ერთ ასეთ ფორმას სამეგრელოს ქედი წარმოადგენს, რომელიც მარტვილის ტერიტორიაზე სამხრეთი ფერდობით და ამ უკანასკნელის ძირის გასწვრივ განედურად გადაჭიმული სამეგრელოს ჩრდილო კირქვიანი ზოლით შემოდის. ქედის სამხრეთ ფერდობზე კირქვული ქანებით აგებული მასივები ერთმანეთისაგან მდინარეთა კანიონისებური ხეობებით არის გამოყოფილი.

სამეგრელოს ქედის სამხრეთით ვრცელდება სამეგრელოს ჩრდილო კირქვიანი ზოლი, რომელიც მიგარიას და ასხის კირქვული მასივებით არის წარმოდგენილი. აღნიშნული კირქვული მასივები წკვარამების, მღვიმეების, შახტების, კანიონების, კარსტული და ტექტონიკური პროცესების ერთობლივი მოქმედებით წარმოქმნილი ტაფობების საკმაოდ ინტენსიური განვითარებით გამოირჩევა, რაც სპელეოტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს იძლევა. აღნიშნული მასივები მდინარეთა ხეობებს შორის მკვეთრად გამოხატული ციცაბო ფერდობებითა და ტალღოვანი ზედაპირით ხასიათდება, რაც ჩანჩქერების და კანიონისებრი ხეობების სიმრავლეს განაპირობებს. ასეთი ფორმების მნიშვნელოვანი ნაწილი მდ. აბაშის ხეობაში მდებარეობს.

კლიმატი

მარტვილის მუნიციპალიტეტის ზომიერი და სუბტროპიკული კლიმატური სარტყლების საზღვარზე მდებარეობა, რთული რელიეფი (ჰიფსომეტრიული განვითარება), თბილი შავი ზღვის სიახლოვე, ატმოსფეროს ცირკულაციურ ფაქტორებთან ერთად, განსაზღვრავს მისი ჰავის მრავალფეროვნებას. სამეგრელოს ჰავაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კავკასიონის განედურად გადაჭიმული მაღალი ქედი, რომელიც თავისებურ კლიმატურ

ჯებირს წარმოადგენს და ხელს უშლის ჩრდილოეთიდან ცივი ჰაერის მასების გავრცელებას.

მუნიციპალიტეტის ვაკე–დაბლობში ყველაზე ცივი თვის – იანვრის საშუალო ტემპერატურა 6–7°C –ია, ხოლო თბილ თვეებში – ივლისსა და აგვისტოში მისი საშუალო მაჩვენებელი 22°C –ს აღემატება. მთიან ნაწილში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 10–12°C გრადუსის ფარგლებშია, ხოლო იანვრის საშუალო ტემპერატურა უარყოფითია და შესაძლებელია –30°C –მდეც დაეცეს.

ზღვიდან მონაბერი ნოტიო ჰაერის მასები სამეგრელოს ტერიტორიაზე განაპირობებს მთელი წლის განმავლობაში ჰაერის მაღალ სინოტივეს. ტერიტორია უხვნალექიანობით გამოირჩევა. ატმოსფერული ნალექების ჯამი 1400–3000 მმ–ის ფარგლებში მერყეობს, რომლის უმეტესი ნაწილი ზაფხულსა და შემოდგომაზე მოდის. თოვლიანი დღეების რაოდენობა საკმაოდ მაღალია, კურორტ ლებარდეში იგი 164 დღეს შეადგენს. თოვლის საფარის საშუალო სიმაღლე ამავე კურორტზე 191 სმ–ია. სწორედ ნალექების სიუხვე განაპირობებს რეგიონში კარსტული პროცესების ინტენსივობას.

ჰიდროგრაფიული ქსელი


მდ. ტეხურის ხეობა

ნოტიო ჰავა და რთული რელიეფი მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკმაოდ ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელის არსებობას განაპირობებს. აქ 10 კმ–ზე გრძელი მდინარეებია: აბაშა, წაჩხური, ტეხური. კარბონატული ქანების გავრცელების რაიონებში მდინარეები კარსტული რეჟიმით ხასიათდება (მღვიმური ნაკადულები, ვოკლუზური წყაროები და სხვა) და წარმოქმნის ულამაზეს კანიონებს და ჩანჩქერებს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმნიშვნელოვანეს მდინარეებს წარმოადგენს მდინარე ტეხური და მდინარე აბაშა. მდინარე ტეხურის სათავე ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე, მწვერვალ ტეხურიშდუდთან (3002 მ) მდებარეობს. მდინარის სიგრძე 108 კმ–ია, აუზის ფართობი კი 1040 კმ^2. ისევე, როგორც მდ. აბაშა, მდ. ტეხურიც საზრდოობს წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმოვარდნები – მთელი წლის მანძილზე. ლანდშაფტური თვალსაზრისით გამოირჩევა ხეობის ზედა ნაწილი. აქ მისი ფერდობები შერეული და წიწვოვანი

ტყეებით არის დაფარული. სათავეშივე გვხვდება რამდენიმე კასკადოვანი ჩანჩქერი, რომლებიც, ტურისტული თვლასაზრისით, საკმაოდ ეფექტური სანახავია. მდინარე ტეხური წარმოდგენს მდინარე რიონის შენაკადს, ხოლო თავად ტეხურის შენაკადებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მდინარე აბაშა. მდინარე აბაშის სიგრძე 66 კმ–ია, აუზის ფართობი კი 370 კმ^2. მდინარე სათავეს იღებს ასხის კირქვული მასივის სამხრეთი კალთებიდან. მის სათავეს ქმნის მდინარეები რაჩხისწყალი და ტობა, რომლებიც ერთდება სოფელ ბალდის ზემოთ. მდ. აბაშის ხეობის გარკვეული მონაკვეთები ვიწრო და ღრმა კანიონებით ხასიათდება, რაც ხშირად ულამაზეს სანახაობას ქმნის.

მუნიციპალიტეტში ტბები ძირითადად მთიან ნაწილში გვხვდება, სადაც მათი ქვაბულები ძველი გამყინვარების მექანიკური მოქმედების შედეგად არის წარმოქმნილი. ასეთია მდინარე ტეხურის აუზში მდებარე დიდი და ჭიფე ტობავარჩხილის ტბები (ზ.დ–დან 2292 მ).

რელიეფის, კლიმატისა და მიწისქვეშა წყლების ერთობლიობამ განაპირობა მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ლებარდეს, როგორც კურორტის, არსებობა. კურორტის სამკურნალო თვისებები, საშუალო მთის კლიმატი და ნახშირმჟავა მინერალური წყალი, სწორედ ლებარდეს ფიზიკურ–გეოგრაფიული მდებარეობის და ბუნებრივი თავისებურებების შედეგია.

კურორტი ლებარდე

– მდებარეობს სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონში, მარტვილის მუნიციპალიტეტში, ეგრისის ქედზე, ზღვის დონიდან 1600 მ სიმაღლეზე. ლებარდე წარმოადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის მთის კლიმატურ–ბალნეოლოგიურ კურორტს. კლიმატური თვალსაზრისით ახასიათებს ზომიერად რბილი ზამთარი (იანვრის საშუალო ტემპერატურა – 4,1°C) და ზომიერად გრილი ზაფხული (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 16°C). ნალექები 1500 მმ წელიწადში. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია საშუალო მთის კლიმატი და მინერალური წყალი (წყლის ტემპერატურა 7–13°C, მინერალიზაცია – 0,6–1,0გ/ლ; საერთო დებიტი დღე–ღამეში 41 ათ. ლ).

სამედიცინო ჩვენება: სასარგებლოა სუნთქვისა და საჭმლის მომნელებელ ორგანოთა ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ. დასასვენებელი სეზონი ივნისიდან სექტემბრამდე გრძელდება. ლებარდე საბჭოთა პერიოდში ძალზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა რეგიონის მოსახლეობაში და სეზონზე მას საკმაო რაოდენობის დამსვენებელიც სტუმრობდა. ამჟამად კი ლებარდე მხოლოდ საკურორტო ადგილია, რადგან აქ აღარ არსებობს კურორტის ფუნქციონირებისთვის საჭირო ელემენტარული ინფრასტრუქტურა. დაზიანებულია სოფელ დობერაზენიდან მიმავალი ერთადერთი საავტომობილო გზა, რამდენიმე ადგილას მდინარეს წაღებული აქვს ხიდი და სხვა. თავად ლებარდეშიც მხოლოდ რამდენიმე ძველი ხის შენობაა შემორჩენილი, რომელსაც ზაფხულობით მცირე რაოდენობით დამსვენებელი სტუმრობს. ლებარდეს, როგორც კურორტის, სრულფასოვნად აღდგენისთვის მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელებაა საჭირო.

ბიომრავალფეროვნება

ფლორა:

კლიმატურმა და ოროგრაფიულმა თავისებურებებმა, კირქვულმა რელიეფმა, კარსტული ლანდშაფტების მძლავრმა განვითარებამ და ნიადაგების მრავალფეროვნებამ განაპირობა მუნიციპალიტეტის მდიდარი ბიომრავალფეროვნება.

ფლორისტული თვალსაზრისით უნიკალურია კოლხური ტყეები მარადმწვანე ქვეტყით, მუხნარი, წიფლნარი და წიწვოვანი ტყეები, ბზის კორომები, სუბალპური ტანბრეცილა ტყეები, სუბალპური და ალპური მაღალბალახეულობა და ალპური მდელოები. აქ გვხვდება საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი სხვადასხვა სახეობა, კერძოდ, სამეფო გვიმრა, მეგრული არყი, დაფნა, ბზა, ძაკუს მაჩიტა და სხვა.

ფაუნა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვხვდება იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი მსხვილი და წვრილი ძუძუმწოვრები, მტაცებლები, ფრინველები, თევზები და უხერხემლოები.

მაღალმთიან ადგილებში, ალპურ და სუბალპურ ზონებში, კლდიან ქარაფებსა და ტყის ზედა ზოლში ბინადრობს არჩვი. მტაცებლებიდან ძირითადად ტყის ეკოსიტემებში ბინადრობს: მურა დათვი, ფოცხვერი, ტყის კატა, მელა, მგელი და ტურა.

მრავალფეროვანია ფრინველთა სამყაროც. ალპურ და სუბალპურ ზოლში როჭოსა და შურთხის საბინადრო გარემოა. მრავლადაა მტაცებელი

და ლეშიჭამია ფრინველებიც, თუმცა ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება მცირე ზომის ფრინველები: შაშვი, ბოლოცეცხლა, ჭინჭრაქა, კაჭკაჭი და სხვა.

ჩანჩქერების მიდამოები და მღვიმეები მრავალი იშვიათი და ენდემური სახეობის ცხოველის თავშესაფარია. მაჩვის, წავის, კავკასიური თხუნელას, კვერნებისა (ტყისა და კლდის კვერნა) და ბიგების (რადეს ბიგა, ვოლნუხინის ბიგა, კავკასიური წყლის ბიგა) ჰაბიტატი მოიცავს მდ. აბაშის ხეობას, აგრეთვე, აბაშის და ტობის ჩანჩქერების მიდამოებს. დაკარსტული რეგიონები გამოირჩევა ღამურების მრავალფერობით. მდინარეები ტეხური და აბაშა გამოირჩევა კალმახის სიუხვით.

რეგიონში ბინადრობს რეპტილიების რამდენიმე სახეობა. მათ შორის აღსანიშნავია: მარდი, ართვინის, ქართული და აჭარული ხვლიკები, გველებიდან კი, ანკარების გარდა, აღსანიშნავია ესკულაპის გველი და კავკასიური გველგესლა, რომელიც შეტანილია როგორც საქართველოს "წითელ ნუსხაში", ასევე IUCN–ის "წითელ ნუსხაში".

ფრიად საინტერესოა მიწისქვეშეთის ბიოსპელეოლოგიური ბუნებაც. მღვიმეში სინათლის შეუღწევლობის გამო ცხოველები უფერულნი არიან და მხედველობა ნაწილობრივ ან მთლიანად ატროფირებული აქვთ, მაგრამ სიბრმავე ანაზღაურებულია სმენის, ყნოსვისა და შეხების მაღალი მგრძნობელობით. ასეთებია: წყალხმელეთა სალამანდრა, ბრმა ვირთაგვები, თევზები, კიბოსნაირები. აღსანიშნავია, აგრეთვე, ობობებისა და მწერების ზოგიერთი სახეობის არსებობა.

ბუნებრივი რესურსები და ბუნების ძეგლები

ეკოტურისტული თვალსაზრისით რელიეფის მნიშვნელოვან ფორმას მდინარე აბაშის ხეობა წარმოადგენს, სადაც ამგები ქანების თავისებურებამ და მდინარის წყლის მოქმედებამ ხეობაში მრავალი ჩანჩქერი, მღვიმე და კანიონი წარმოქმნა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ამჟამად უკვე ბუნების ძეგლის სტატუსს ატარებს (მარტვილის კანიონი, ბალდის კანიონი, მდინარე აბაშის ჩანჩქერი, მოთენას მღვიმე, ჯორწყუს მღვიმე, ონიორეს ჩანჩქერი და მღვიმე ტობა I, ტობის ჩანჩქერი, ა. ოქროჯანაშვილის მღვიმე და ოჩხომურის ჩანჩქერი) და მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების დაცულ ტერიტორიაშია გაერთიანებული.

მარტვილის კანიონი – სოფელ გაჭედილსა და ინჩხურს შორის მდ. აბაშა კვეთს ანტიკლინურ სერს და წარმოქმნის გაჭედილის კანიონს, რომლის

მარტვილის კანიონი

სიგრძეა 2100 მ, ხოლო მაქსიმალური ჩაჭრის სიღმე 40 მ, მინიმალური სიგანე 2,5 მ. რამდენიმე ადგილას კანიონი საფეხურებრივია და შუა ნაწილში 12 მ სიმაღლის მარტვილის ცნობილ ჩანჩქერს წარმოქმნის. განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა ერთი მონაკვეთი – ოფუცხოლე, რომელიც ცნობილია "დადიანების საბანაოს" სახელით. აქ ჩასასვლელად ბილიკი კირქვის დიდი კვადრებისგან აშენებულ კიბეს ჩაუყვება. გადმოცემის თანახმად, სწორედ ამ კიბით დადიოდნენ გიორგი ჭყონდიდელი და დავით აღმაშენებელი.

მოთენას მღვიმე – (ზ.დ. 570 მ) გამომუშავებულია ეოცენურ შრეებიან კირქვებში. მღვიმე ჰორიზონტალურია და აღმავალი. მისი წინა ნაწილი ჩამონგრეულია და ღია ხეობაა. მოთენას მღვიმე შედგება ორი დიდი დარბაზისგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ვიწრო გასავლელით. პირველი დარბაზის სიგრძეა 30 მ, სიმაღლე 25 მ. მღვიმის ჯამური სიგრძეა 75 მ. ქიმიური ნალექებიდან გვხვდება სტალაქტიდები, სტალაგმიტები, ტრავერტინის კასკადები და ფარდები; მექანიკურიდან ლოდები და თიხის ნაფენები. მღვიმე ბოლოვდება სიფონური ტბით. ტბიდან გამოედინება მცირე ნაკადული, რომელიც კოკისპირული წვიმების დროს საგრძნობლად დიდდება. მღვიმეში ბინადრობენ ღამურები, ობობები, მწერები და სხვა. მღვიმის შესასვლელი ამოშენებულია კირქვის წყებით და წარმოადგენს ისტორიულ ნაგებობას, რომელიც შუა საუკუნეებში გამოყენებული იყო ციხე–სიმაგრედ. მღვიმე ადვილი გასავლელია.

მოთენას მღვიმე

ბალდის კანიონი – მდებარეობს სოფ. პირველ და მეორე ბალდას შორის, მდ. აბაშის ხეობაში, ბალდის მამათა მონასტრის მიმდებარედ, 295 მეტრი ზღვის დონიდან. იგი გამომუშავებულია კირქვულ ქანებში მდ. აბაშის მიერ ასხის მასივის სამხრეთ ნაწილში. კანიონის სიგრძე 1400 მ–ია, ხოლო ჩაჭრის სიღრმე 30 მეტრს აღწევს.

ტობის ჩანჩქერი

არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმე და ტობას ჩაჩქერი – (ზ.დ. 750 მ) გამომუშავებულია ზედა ცარცულ შრეებიან კირქვებში. მღვიმე (შესასვლელის სიმაღლეა 25 მ, სიგანე – 11 მ) მიემართება სამხრეთ–აღმოსავლეთისაკენ. 100 მეტრზე წარმოქმნის 550 მ სიგრძის მეანდრს, ხოლო 850 მეტრზე იკეტება სიფონური ტბით (150 მ/კვ). მღვიმის ჭერის სიმაღლე მერყეევობს 8–30 მ ფარგლებში. ძირითადი მაგისტრალი ივითარებს განშტოებებს. პირველი განშტოება შესასვლელიდან 100 მეტრზეა, მეორე პირველი განშტოებიდან 40 მეტრით მაღლაა. აქვს მესამე განშტოებაც. მღვიმის ჯამური სიგრძეა 1150 მ. ქიმიური ნალექებიდან შეინიშნება სტალაქტიდები, სტალაგმიტები, სვეტები; მექანიკური ნალექებიდან – ნგრევის ადგილობრივი მასალა (ლოდები და ალუვიონი). ჰაერის ტემპერატურაა 14,40°C გრადუსი. მღვიმეში გაედინება მიწისქვეშა ნაკადი, რომლის დებიტია 0,276 მ3/წმ–ში, ხოლო ტემპერატურა 10,2 °C. მღვიმე ძნელად მისავალია. მასში გადასაადგილებლად საჭიროა რეზინის ნავი. არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმიდან გადმოედინება 234 მ სიმაღლის ტობას კასკადოვანი ჩანჩქერი, რომელიც საფეხურებად არის წარმოდგენილი.



ონიორეს ჩანჩქერი

ტობის პირველის მღვიმე და ონიორეს ჩანჩქერი – ტობის პირველი მღვიმე (ზ.დ. 750 მ) გამომუშავებულია ზედაცარცულ შრეებიან კირქვებში. მღვიმე იწყება 5 მ სიგანისა და 5 მ სიმაღლის შესასვლელით, რომელიც გადადის გუმბათოვან დარბაზში. დარბაზში, შესასვლელიდან 50 მ–ის შემდეგ, გვხვდება 21 მეტრი სიმაღლის ჩანჩქერი. აქედან 400 მეტრის გავლის შემდეგ მღვიმე იკეტება სიფონური ტბით. ქიმიური ნალექებიდან შეინიშნება სანთლისებური სტალაგმიტები, ფარდები და მიკრო სტალაქტიდები; მექანიკურიდან ლოდები და თიხის ნაფენები. წყლის ტემპერატურა 10,2 °C, მღვიმეში ბინადრობენ ღამურები, ობობები და

მწერები. მღვიმე ძნელად მისავალია. მღვიმიდან გამომდინარე წყლის ნაკადი ქმნის ონიორეს ჩანჩქერს, რომლის სიმაღლე 71 მეტრია. იქვე, ჩანჩქერის ძირთან ახლოს, არის ბზის უნიკალური კოროვი.

ოჩხომურის ჩანჩქერი – მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტში, მიგარიას კირქვულ მასივზე, მდ. ოჩხომურის სათავეებში, ზღვის დონიდან 700 მ–ზე. ჩანჩქერი კასკადოვანია. იგი შედგება სამი საფეხურისაგან, თუმცა შორიდან ერთ მთლიან სვეტად მოჩანს. ჩანჩქერის ერთობლივი სიმაღლე 100–120 მ–ს შეადგენს. საფეხურების დასაწყისში წარმოდგენილია მცირე ზომის ტბები. ჩანჩქერს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ხშირი კოლხური ტყით მოსილი გარემო ლანდშაფტი.

ისტორიულ–კულტურული რესურსი

მარტვილის მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდროების ძეგლის სტატუსის მქონე 29 ობიექტია, რომელთაგან 5 ეროვნული მნიშვნელობის არის. განსაკუთრებულ ღირსშესანიშნაობებს და ეკოტურისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ობიექტებს წარმოადგენს მარტვილის მონასტერი, სალხინოს დადიანების რეზიდენცია, ნოღას და აბედათის ციხეები.

მარტვილის მონასტერი

მარტვილის მონასტერი – მარტვილის ტაძარი გეგმით ძალიან ჰგავს მცხეთის ჯვრის ტაძარს, მაგრამ არ იმეორებს მას. შენობის გეგმაში შეტანილია ზოგი ცვლილება: გუმბათის დიამეტრი უფრო მცირეა, კუთხის ნიშები კი – უფრო დიდი. მიუხედავად იმისა, რომ მარტვილის ტაძარი ჯვრის ტაძარზე მცირეა, ცალკეულ ნაწილთა შეფარდების ცვლილებების შედეგად შექმნილია დიდი და მსუბუქი შინაგანი სივრცის შთაბეჭდილება, სხვაგვარია ფასადთა რელიეფებიც. X საუკუნეში, აფხაზთა მეფის გიორგი II–ის დროს, ეკლესია საფუძვლიანად გადააკეთეს: დაუმატეს გარეთა კედლები, ამოიყვანეს ახალი გუმბათის ყელი,

ამიტომ იგი გარედან აღარ მოგვაგონებს ჯვრის ტიპის ძეგლს. დასავლეთის ეგვტერიც ასევე X საუკუნისაა. ინტერიერი სხვადასხვა დროს (XVI–XVII სს.) არის მოხატული. ტაძარში შემორჩენილია XIV, XVI და XVII საუკუნეების ფრესკები. მისი მშვენებაა საკურთხევლის კონქში წარმოდგენილი მარტვილის ღვთისმშობელი. ტაძრის გვერდით დგას მცირე ორსართულიანი ეკლესია (დაახლოებით X ს.).

მარტვილის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი – მუზეუმში ძირითადად დაცულია არქეოლოგიური მასალა, რომლის ქრონოლოგია მოიცავს ადრეული ქვისა და ბრინჯაოს ხანის პერიოდს (სამუშაო და საბრძოლო იარაღები, სარიტუალო ქვები, სხვადასხვა მასალისგან დამზადებული სამკაულები, ძვ. წ. VII–VI სს–ის ბრინჯაოს ფიგურა "მქადაგებელი", ფიბულები სხვადასხვა გამოსახულებით და სხვა). მუზეუმის ფონდში დაცულია მდიდარი ნუმიზმატიკური მასალა: ძვ. წ IV–II სს–ის ოქროს მონეტები, კოლხური თეთრი, X–XVIII სს–ის ვერცხლის მონეტების კოლექცია, XVIII–XIX სს–ის ხელნაწერები და სიგელ–გუჯრები და სხვა. აგრეთვე, XIX–XX სს–ის გამოცემებით დაკომპლექტებული ბიბლიოთეკა (5000 ეგზემპლარი), თანამედროვე ქართველ მხატვართა ფერწერული ნამუშევრები: ლადო გუდიაშვილის "სამაია", ელენე ახვლედიანის "ჩვენი სოფელი".

სალხინო

სალხინოს სასახლე – სასახლე მდებარეობს მდინარე წაჩხურას ნაპირზე. ლევან V დადიანმა (1804–1840) აქ ორსართულიანი ქვის სასახლის მშენებლობა არჩილ ბატონიშვილისა და გიორგი გეგელიას რჩევით დაიწყო. საბოლოო სახე შენობამ სალომე მიურატის დროს მიიღო. ამჟამად სასახლის ტერიტორიაზე მოქმედი მამათა მონასტერია.

სალხინოს ღვინის მარანი – სასახლის მიმდებარედ განლაგებულია 35 მეტრი სიგრძისა და 10 მეტრი სიგანის მუხის სვეტებითა და ლამაზი ორნამენტებით მორთული მარანი. დიდ დარბაზში ჩაშენებული იყო ქვევრი და მასიური, მდიდრულად გაფორმებული ბუხარი, რომლის თავზედაც ბახუსის ქანდაკება იყო წამომჯდარი. კედლები მუხისა და წაბლის პანელებით იყო მოპირკეთებული. მარანში უკვე რამდენიმე მოსავლის ოჯალეშის ღვინო დაიწურა. მარნის ზედა სართულზე ვრცელი დარბაზია 5 დიდი საწნახლით, ქვედა სართულზე კი დიდი სარდაფია კასრებითა და ენოთეკით. აქვე ჩაყრილია რამდენიმე ქვევრი.

ნოღას ციხე – მარტვილის რაიონში, სოფელ ნოღაში, სოფლის ყველაზე შემაღლებულ ადგილას, მოსწორებულ გორაკზე, ისტორიული სადადიანოს ცენტრში მდებარეობს. სოფლის მცხოვრებლები ციხეს "ჯიხას" (მეგრულად) ან "ნოღაშ–ჯიხასაც" უწოდებენ. ნოღას ციხე–კოშკი და მისი მშენებლობა ჯერ ჯაიანების, ხოლო შემდგომ დადიანების საგვარეულოს უკავშირდება. ციხე ოთხი კოშკითაა აღჭურვილი და ელიფსური ფორმის გალავნით არის შემოსაზღვრული.

აბედათის ციხე – მარტვილის რაიონის სოფელ აბედათში, აბედათის სერის აღმოსავლეთ ფერდობზე მდებარეობს. ციხის უძველესი ფენა ადრინდელ ფეოდალურ ხანას მიეკუთვნება. ციხე, როგორც ჩანს, დაკავშირებულია აქ არსებულ ძველ საქარავნო გზასთან, რომლის კვალი დღესაც შეიმჩნევა. ეს არის მე–6 საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის მიერ მოხსენებული უძველესი ქალაქი ონოგურისი. ციხის შიგნით მდგარი ეკლესია IX საუკუნით თარიღდება. აბედათის ეკლესია საშუალო ზომის დარბაზული ნაგებობაა. იგი გეგმით გარედან სწორკუთხედია, კედლები ნაგებია საშუალო ზომის ოდნავ დამუშავებული მოთეთრო კირქვით.

ბანძის სინაგოგა – სინაგოგა სოფელ ბანძაში, ე. წ. ებრაელების უბანში მდებარეობს. აშენდა XX საუკუნის დასაწყისში. XVIII საუკუნეში ბანძა დასავლეთ საქართველოში დაწინაურებული კერა იყო. აქ ჩამოსახლებულმა თავადმა ფაღავამ მხარის ეკონომიკური ცხოვრების გასაღრმავებლად ჩამოიყვანა ერთი ებრაელი სოვდაგრის ოჯახი. თავადმა ფაღავამ ებრაელის მიმართ საკმაოდ თვალსაჩინო შეღავათები გაავრცელა. ამ ოჯახს მალე რამდენიმე ახალი კომლიც მოჰყვა. აშენდა ადგილზე მცირე სამლოცველო, გაიხსნა ებრაელთა სასაფლაოც. XX საუკუნის დასაწყისში აიგო მაღალი არქიტექტურული სამლოცველო ნაგებობა – სინაგოგა. ებრაელები მტკიცედ დაფუძნენ ბანძაში.

მარტვილის მუნიციპალიტეტის რუკა


270000
280000
290000
300000
4740000
4730000
4720000
4710000
4700000
4690000
0 2.5 5 10
კმ
ასხის მასივი
2441
2605
2664
2025
2520
1281
1166
1467
1183
1081
1106
522
212
103
381
262
ბაღდადი
ბაქედილი
ბიდი ინჩხური
ბაბარა ინჩხური
ბაბარა თამბა
ბაბარა ოინ
ბაბარა ოინ
ბაბარა ოინ

ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 73%-ია. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 2100-2200 სთ.

მდინარე ტეხური გოჭიფეს კანიონთან

ჰიდროგრაფიული ქსელი

რელიეფის მორფოგრაფიულ-მორფომეტრიული თავისებურებანი და ჰაერის ტენიანობა ხელს უწყობს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდინარეთა ქსელის სიხშირეს. უმთავრესი მდინარეებია: ცივი, ტეხური და რიონი, რომლებიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სამხრეთით გაედინება.

მდ. ცივი რიონის მარჯვენა შენაკადია. იგი სათავეს ეგრისის ქედის სამხრეთ მთისწინეთში 363 მეტრ სიმაღლეზე იღებს. სიგრძე 60 კმ, ხოლო აუზის ფართობის 199კმ^2. საზრდოობს წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის წყლით. მთელი წლის განმავლობაში იცის წყალმოვარდნები, უფრო ხშირი და მძლავრი ზაფხულსა და შემოდგომაზე. მდინარის კალაპოტი ვიწროა და კლაკნილი, ჭორომები ზოგან მცირე სიმაღლის ჩანჩქერებს ქმნის.

მდ. ტეხური სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთვის მდინარე რიონს. საშუალო წლიური ხარჯი ნოქალაქევთან 30,2 მ^3/წმ ნოქალაქევის სიახლოვეს მდინარე ტეხური ქმნის გოჭიფეს კანიონს. იგი მდინარე ტეხურის ხეობის შევიწროებულ, ულამაზესი ლანდშაფტით შემოსილ მონაკვეთს წარმოადგენს. აქ კირქვული ქანებით აგებული კანიონის ფერდობები ერთმანეთთან საკმაოდ ახლოა და მისი გავლა მხოლოდ მდინარეში გადაადგილებით არის შესაძლებელი. მდინარის აღნიშნული მონაკვეთის გამოყენება შესაძლებელია ნაოსნობის სხვადასხვა სახეობისათვის.

მდინარეებს ცივსა და ტეხურს ასაზრდოებს პატარა მდინარეები და ღელეები: ფიცუ, დღურუ, ზანაძგა, უჩაღალუ, ჭიჭე ღალუ, ეკუსკირი, კვარჩხანღალუ, ნახური, ჩხარი, ფაქვა, ცანასკური, მენჯი, სკვერ-მენჯი.

სენაკის მუნიციპალიტეტი მდიდარია მიწისქვეშა წყლებით, რომელთაგან აღსანიშნავია მინერალური და კარსტული მტკნარი წყაროები. თერმული მინერალური წყაროები გვხვდება სახარბედიოში, ლეძაძამეში, ზანაში, ნოქალაქევში, ფოცხოში, ახალსოფელში და სხვაგან.

ნოქალაქევის თერმული წყალი

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნოქალაქევის და მენჯის თერმული წყლები. ნოქალაქევი ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტია და მის ტერიტორიაზე მიწის სიღრმიდან ამომავალი წყლის ტემპერატურა 80°C—ია. მინერალური წყალი ქიმიური შემადგენლობით მიეკუთვნება სუსტად სულფიდურ, სულფატურ-ჰიდროკარბონატულ, კალციუმ-ნატრიუმიან წყლებს დაბალი მინერალიზაციით. გამოიყენება სააბაზანო პროცედურების სახით საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, პერიფერული ნერვული სისტემის, კანის, პერიფერული სისხლძარღვების და გინეკოლოგიური პროფილის დაავადებების ბალნეოთერაპიისთვის. კურორტი მენჯი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

კურორტი მენჯი - განლაგებულია კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში, ზღვის დონიდან 29 მ. სიმაღლეზე, მდ. ცივის ხეობაში, ქ. სენაკიდან სულ რაღაც 3 კმ-ში. კურორტი ტენიანი სუბტროპიკული კლიმატით ხასიათდება, რბილი ზამთრით და ძალიან თბილი ტენიანი ზაფხულით. წლიური საშუალო ტემპერატურა 5°C-დან 23°C-მდე მერყეობს.

კურორტის ძირითადი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორი მინერალური წყლებია. ქიმიური შემადგენლობით ისინი მიეკუთვნება სულფიდურ, ქლორიდულ, ნატრიუმიან წყლებს თავისუფალი გოგირდწყალბადის 75მგ/ლ შემცველობით, მინერალიზაციით 11,8 გ/ლ და +24°C ტემპერატურით. მინერალური წყლები საბჭოთა პერიოდში აქტიურად გამოიყენებოდა ბალნეოთერაპიისათვის სააბაზანო პროცედურების სახით.

ჩვენება: საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ქრონიკული, პერიფერული ნერვების, გულსისხლძარღვთა სისტემისა და გინეკოლოგიური პროფილის დაავადებები.

დღესდღეობით კურორტი არ ფუნქციონირებს. სავალალო მდგომარეობაშია რეკრეაციული ინფრასტრუქტურა (სანატორიუმები, პოლიკლინიკები). ბუნებრივი წყლის გამოსასვლელთან მოწყობილია კუსტარული აუზი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად იყენებს.

ბიომრავალფეროვნება

ფლორა:

ბოტანიკურ-გეოგრაფიული დარაიონების მიხედვით სენაკის მუნიციპალიტეტი მოიცავს კოლხეთის პროვინციის, კოლხეთის დაბლობისა და მთისწინეთის რაიონს, რომელშიც გავრცელებულია კოლხეთის დაბლობისა და დასავლეთ საქართველოს მთისწინეთის ტყე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იზრდება კოლხური ტყისთვის დამახასიათებელი მცენარეულობა: რცხილა, წიფელი, თელა, იფანი, მუხა, ცაცხვი, მურყანი, აკაცია, წაბლი, ბზა, შქერი, წყავი, ბაძგი, თხილი და ბროწეული. ტყის განაპირა ზოლში კი წარმოდგენილია ასკილი, მაყვალი და იელი.

სენაკის ტერიტორიაზეა „წითელ წიგნში“[5] შეტანილი იშვიათი მცენარეების კონკრეტული ეგზემპლარები. ასეთია ჩვეულებრივი თუთის ხე, რომლის ასაკი 300 წლამდეა, ხის სიმაღლე 15 მ, ხოლო ფესვის ყელის გარშემოწერილობა 9 მ-მდეა. განსაკუთრებით გამორჩეულ და იშვიათ ეგზემპლარს წარმოადგენს სენაკი-მარტვილის დამაკავშირებელ გზასთან (სოფ. ძველი სენაკის ცენტრში) მდებარე აღმოსავლეთის ჭადარი, რომლის ხნოვანება 850 წლამდეა, სიმაღლე 27 მ-მდე, ხოლო ფესვის ყელის გარშემოწერილობა 24მ.

ფაუნა:

მარტვილის მუნიციპალიტეტთან შედარებით სენაკის რაიონს ცხოველთა სამყაროს ნაკლები წარმომადგენელი ჰყავს. ზოოგეოგრაფიული დარაიონების მიხედვით სენაკის მუნიციპალიტეტი კოლხეთის რაიონში მდებარეობს. ფრინველებიდან გვხვდება: შაშვი, ჩხიკვი, წივწივა, კოდალა, ბულბული და მწყერი, იშვიათად ხოხობი და ოფოფი. მტაცებელი ფრინველებიდან გავრცელებულია: ქორი, ძერა, მიმინო და ყვავი. ჭაობიან ადგილებში გვხვდება ყანჩა, ზამთრობით კი მოფრინავენ იხვები. ტყის ზონაში მტაცებელი ცხოველებიდან გვხვდება: მგელი, ტურა, მელა, მაჩვი, კურდღელი, მემინდვრია, ზღარბი, ანკარა, თხუნელა და გომბეშო.

ისტორიულ-კულტურული რესურსი

სენაკის მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდროების ძეგლის სტატუსის მქონე 25 ობიექტია, რომელთაგან 8 ეროვნული მნიშვნელობისაა. ეკოტურისტული თვალსაზრისით განსაკუთრებულ ღირსშესანიშნაობებს წარმოადგენს ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი, შხეფის ციხე და ეკის მონასტერი.

[5] საქართველოს სსრ წითელი წიგნი 1982 წ.

ნოქალაქევის ციხე

ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი

ნოქალაქევი-ციხეგოჯი-არქეოპოლისი ადრე შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ნაქალაქარი განლაგებულია მდ. ტეხურის მარცხენა სანაპიროზე. ისტორიული წყაროების თანახმად იგი ააგო ეგრისისა და სვანეთის ერისთავმა ქუჯიმ (ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისი). ციხე-ქალაქის აგება განპირობებული იყო სტრატეგიული მოსაზრებით და მოსახლეობის სიმრავლით. ციხეგოჯი დასავლეთ საქართველოს ეგრისის სამეფოს (ლაზიკა) დედაქალაქი იყო IV-VIII საუკუნეებში. ბიზანტიასა და სპარსეთის იმპერიებს შორის ლაზური ომები (542-562) სწორედ ამ ქალაქის მიდამოებში განხორციელდა. XVI-XVIII საუკუნეებში აქ ოდიშის მმართველთა - დადიანთა რეზიდენცია იყო. ნოქალაქევში ყველაზე ადრეული არქეოლოგიური ფენები ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება. ამ პერიოდის მონაპოვრებს შეადგენს სხვადასხვა ცხოველის (ცხვარი, ღორი, ცხენი) კერამიკული ქანდაკებები, რომლებიც ამ პერიოდის ნოქალაქევში ცხოვრების მაღალ დონეზე მიუთითებს. ციხეგოჯის ტერიტორიაზე მოპოვებული არტეფაქტების ნაწილი გამოფენილია ნოქალაქევის მუზეუმში.

ნოქალაქევის ეკლესია

ნოქალაქევის ეკლესია

ნაქალაქარის ქვედა ნაწილში აღმოჩენილია სამი ეკლესიის ნაშთი, მათგან ერთ—ერთი დღესაც ფუნქციონირებს. ყველაზე ადრეული ეკლესია ქრისტიანობის მიღების დროინდელია (IV საუკუნე). იგი მტერს დაუნგრევია და მის ნანგრევებზე V საუკუნის შუა ხანებში დიდი ზომის სამნავიანი ბაზილიკა აუგიათ. მტერს ეს ეკლესიაც დაუნგრევია. შემდეგ ნანგრევის ჩრდილოეთით, ორიოდე მეტრზე, V-VI საუკუნეებში ახალი ბაზილიკა აუგიათ, ისიც სამნავიანი ყოფილა, მაგრამ წინა ეკლესიაზე პატარა. ეს ეკლესია კიდევ მრავალჯერ გადაკეთდა და ჩვენამდე გუმბათოვნად მოაღწია. იგი ორმოც მოწამეთას სახელზეა აგებული.

შხეფის ციხე

შხეფის ციხე

სოფ. ძველი სენაკის მიმდებარედ აგებულ ადრინდელი შუა საუკუნეების ციხეს შემდგომი პერიოდების გადაკეთებათა კვალი ატყვია. კარგადაა შემორჩენილი ორი კოშკი და გალავანი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შხეფის ციხე არის იგივე ციხე-სიმაგრე ონოგურისი. შხეფის ციხეს ხშირად საპატიო პატიმართა საპყრობილედ იყენებდნენ. აქ 1590 წელს ტყვეობაში გარდაიცვალა იმერეთის მეფე ლევანი. შხეფის ციხე XIX საუკუნის დასაწყისშიც მოქმედებდა.

ეკის იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო ანსამბლი სენაკიდან ჩრდილო-დასავლეთით 15 კმ-ზე, უნაგირას ქედზე, მდ. ცივის ხეობაში მდებარეობს. კომპლექსი მოიცავს ეკლესიას, სამრეკლოს, პალატს, გალავანს, საპყრობილეს და სხვა ნაგებობებს. კომპლექსის შუაში აღმართულია ეკლესია (IX-X სს) შიგნით ფრესკების ფრაგმენტებია, ჩრდილოეთით ორსართულიანი სამრეკლო (XIII-XIV სს) და პალატი. ტაძარი მოხატული ყოფილა, რომლისგანაც მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია შემორჩენილი.

ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

მუზეუმში დაცულია სენაკის რაიონის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა, რომლის ქრონოლოგია მოიცავს გვიან ბრინჯაოს ხანიდან გვიან შუა საუკუნეებამდე პერიოდს. მათ შორისაა: მიწის დასამუშავებელი იარაღები, ქვის სანაყები, ბრინჯაოს ხანის ხელცულები, სარტყელები, ნეოლითის პერიოდის სამკაულები, ორგინალური ფორმის საოჯახო დანიშნულების თიხის ჭურჭელი, ანტიკური პერიოდის დოქები, შუა საუკუნეების სარიტუალო ქვები.

მენჯის ეკლესია

მენჯის ეკლესია სენაკისა და კურორტ მენჯს შორის მდებარე ტაძარი აშენებულია მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელზე. იგი აგებულია ღირსი მამა – ალექსი შუშანიას მიერ 1908 წელს, ადრე არსებული ამავე სახელობის ტაძრის ადგილზე. სალოცავს უძველესი დროიდან განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ მორწმუნენი. ამავე ტაძრის ეზოში მდებარე მისივე სახელობის ეკლესიაში არის დაკრძალული წმინდა ბერი ალექსი, ამ სავანის აღმდგენელი და აღმშენებელი.

საკალანდარიშვილოს ციხე

ციხე-სიმაგრე მდებარეობს ქალაქ სენაკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, საკალანდარიშვილოს უბნის სიახლოვეს, მაღალ მთაზე. ციხე შედგება ერთი კოშკისა და ორი გალავნისაგან. პირველი გალავანი აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრავდა კოშკში შესასვლელს. მეორე გალავანი კოშკს უვლის სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან. გალავნის ხაზი წრიულია, ისე, როგორც თხრილისა (გალავნის მაქსიმალური ზომებია: 23X26 მ). ორივე გალავანი კოშკზე მეტადაა დაზიანებული და ზოგან 4-5 მეტრის სიმაღლეზეა შერჩენილი. ამ კედლებზეც არავითარი ამბრაზურა არ არის შემორჩენილი. არც ის ჩანს, თუ როგორ მთავრდებოდა გალავნის ზედა ხაზი.

სენაკის მუნიციპალიტეტის რუკა


240000
250000
260000
270000
4710000
4700000
4690000
4680000
4670000
ზუგდიდი
ხობი
ფოცხო
ლეგოგეი
ლეგოგეი-ნასაგუ
ლეგოგეი
ლეშდექავე
ლეშაგეი
ლეკუთი
ლეძაძამე
უშაფუთი
ზანა
ეკი
ეკი
ეკი

ცხრილი 1: სამეგრელოში ადრე გავრცელებული ვაზის ჯიშები (ოჯალეშის გარდა).

ვაზის დასახელება	მოკლე დახასიათება
ჩერგვალი	თეთრი და ტკბილი ყურძენი, მსხვილ მტევნიანი, რომლისაგან დგებოდა საშუალო ღირსების ღვინო;
საკმეველი	თეთრი და საშუალო ზომის მარცვლოვანი, ღვინო კარგი ღირსების;
კაჭიჭი	თეთრი, მარცვალი საშუალო, ღვინო კარგი ღირსების;
ჭვიტილური	თეთრი, მარცვალი საშუალო, ღვინო კარგი ღირსების;
ჩეჭიფეში	თეთრი, მარცვალი საშუალო, ღვინო კარგი ღირსების;
გრეხი	თეთრი და მსხვილმარცვლოვანი, ღვინო კარგი ღირსების;
ოჯალეში	შავი და წვრილმარცვლოვანი, ღვინო საუკეთესო;
ხარდანი	შავი და წვრილმარცვალა, ღვინო კარგი ღირსების;

არამატერიალური ეთნოკულტურის ნაწილია ადგილობრივი ხალხური წეს-ჩვეულებანი, რომელთა უდიდესი ნაწილი, სამწუხაროდ, მივიწყებულია.

ორივე მუნიციპალიტეტში ტარდება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი დღესასწაულები. მარტვილში ასეთია „ჭყონდიდობა“, რომელიც ტრადიციულად ყოველი წლის 25 სექტემბერს წმინდა მეფის დავით აღმაშენებლის აღმზრდელისა და ვეზირთუპირველესის წმინდა მღვდელმთავრის გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ხსენების დღეს აღინიშნება. ამ საერო და საეკლესიო დღესასწაულში მონაწილეობდნენ საქართველოს ხელისუფლებისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრები, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის წარმომადგენლები, სტუმრები მეზობელი რაიონებიდან და ადგილობრივი მოსახლეობა. რეგიონის მნიშვნელოვან დღესასწაულს აგრეთვე წარმოადგენს „წაჩხურობა“. აღდგომის მეორე კვირას, ბრწყინვალე შვიდეულის ხუთშაბათს მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მონასტერში ათასობით შვილის მომლოდინე წყვილი იკრიბება, რათა თავიანთი ვედრება შეასმინონ მადლიან სალოცავს. გადმოცემით მე-15 საუკუნეში დაარსებულ ტაძარს ყველაზე მეტი მომლოცველი სწორედ წაჩხურობის დღესასწაულზე სტუმრობს. საოცარია ქართული აკვნების რაოდენობა, რომელიც ამ დღეს ტაძრის მიმდებარე ფერდობზე არის შეფენილი.

სენაკის მუნიციპალიტეტში ასეთი დღესასწაული ეგრისობაა. იგი ციხეგოჯის ტერიტორიაზე 1 ნოემბერს აღინიშნება და სხვადასხვა კულტურული და სპორტული აქტივობით არის დატვირთული.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინება ეკოტურისტული პროდუქტის დაგეგმვისას მისი დივერსიფიცირების შესაძლებლობას ქმნის და რეგიონს უფრო მიმზიდველს ხდის სხვადასხვა სეგმენტის მოგზაურთათვის.

2 ეკოტურისტული რესურსი

2.1 ბუნებრივი და კულტურული (მატერიალური და არამატერიალური) რესურსების კვლევა

მთელ მსოფლიოში და საქართველოშიც ტურიზმის, როგორც ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების აღმდგენი საშუალების, განვითარება განპირობებული იყო სამყაროს მრავალფეროვნების შეცნობის სურვილით. ეს მოთხოვნილება ადამიანს უბიძგებდა ჩვეულისგან განსხვავებულ გარემოში გადაადგილებულიყო. ის მიმზიდველობა, რის გამოც მილიონობით ადამიანი მოგზაურობს ამა თუ იმ ქვეყანაში/რეგიონში (2014 წლის მონაცემებით 1133 მილიონი საერთაშორისო მოგზაური[6]), ტურისტული რესურსების სახით გვევლინება.

მეცნიერული განმარტების თანახმად ტურისტულ რესურსებში იგულისხმება ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური ობიექტების ერთობლიობა. სხვადასხვა ტერიტორიაზე მათი არსებობა და სიმრავლე ტურისტული ნაკადების ზრდის წინაპირობას წარმოადგენს. ერთიანი სქემის მიხედვით ტურისტული რესურსების შესწავლა და კვლევა ნებისმიერი ტიპის ტურისტული პროდუქტის დაგეგმვისას არის აუცილებელი, რამდენადაც ხსენებული რესურსები განაპირობებს ამა თუ იმ რეგიონში ტურისტული ბიზნესის ფორმირებას[7].

ბუნებრივ რესურსებში იგულისხმება ბუნების კომპონენტები (ჰავა, რელიეფი, ჰიდროლოგიური ქსელი, ფლორა, ფაუნა), რომელთა გამოყენება შეიძლება ადამიანების კულტურული და მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის. ანთროპოგენურისგან (ადამიანის მიერ შექმნილი) განსხვავებით ბუნებრივი რესურსი შეიძლება იყოს ამოწურვადი და ამოუწურავი; ამასთან ამოწურვადი რესურსი იყოფა ორ კატეგორიად – აღდგენად და აღუდგენელ რესურსებად. მაგალითად, შესაძლებელია აღდგეს მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო, თუმცა ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. არააღდგენადია სასარგებლო წიაღისეულის უდიდესი ნაწილი.

ანთროპოგენურ რესურსს საზოგადოების განვითარების პროცესში შექმნილი მემკვიდრეობა წარმოადგენს. მას ძირითადად ისტორიულ-კულტურული რესურსების ან კულტურული მემკვიდრეობის სახელით

[6] UNWTO Tourism Highlights, 2015 Edition.

[7] ნ.პავლიაშვილი, ტურიზმისა და რეკრეაციული გეოგრაფიის საფუძვლები (კონსპექტი), 2014წ.

მოიხსენიებენ. ანთროპოგენური რესურსი იყოფა ორ კატეგორიად: მატერიალურ და არამატერიალურ რესურსად. მატერიალური რესურსების ქვეშ გაერთიანებულია ისტორიის, არქეოლოგიის, არქიტექტურისა და ხელოვნების ძეგლები, ასევე დოკუმენტური ძეგლები. არამატერიალური რესურსები კი ძირითადად მოიცავს წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ფოლკლორს და ყველა სხვა ელემენტს, რაც ამა თუ იმ რეგიონს მეტ მიმზიდველობას ანიჭებს.

ეკოტურისტული დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანია გარკვეულ რეგიონში არსებული ბუნებრივი და ანთროპოგენური რესურსების კვლევა სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით, მაგალითად, როგორიცაა: მიმზიდველობა, კლიმატური პირობები (ტემპერატურული რეჟიმი, ნალექები და სხვა), მისადგომობა, შესწავლილობის ხარისხი, საექსკურსიო მნიშვნელობა, სოციალურ-დემოგრაფიული, გამოყენების ხერხი და სხვა. ამასთან რეკრეაციული საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია თითოეული რესურსის შეფასების შემდეგ მათი ღირებულების დამასაბუთებელი დოკუმენტი მომზადდეს. ამა თუ იმ ტერიტორრიისთვის უნდა შეფასდეს შემდეგი ბუნებრივი და ანთროპოგენური რესურსები:

- ბუნებრივი რესურსები: რელიეფი, ჰავა, წყლის რესურსები, ბიომრავალფეროვნება და სპელეო რესურსები.
- ანთროპოგენური რესურსები: მატერიალური და არამატერიალური რესურსები.

იმის დასადგენად თუ რა მნიშვნელობა აქვს რესურსების კვლევით სამუშაოებს ეკოტურისტული საქმიანობის განხორციელებისთვის განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ჰავა

ჰავა გარკვეული ტერიტორიისთვის დამახასიათებელი ამინდების მრავალწლიანი რეჟიმია, რომელიც, თავის მხრივ, გარკვეული მეტეოროლოგიური ელემენტების ერთობლიობას წარმოადგენს. ამინდს დიდი გავლენა აქვს ადამიანის არა მხოლოდ განწყობაზე, არამედ ორგანიზმის მდგომარეობაზეც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ როგორ გავლენას ახდენს ადამიანის მდგომარეობაზე მეტერეოლოგიური ფაქტორები - ჰაერის ტემპერატურა, შეფარდებითი ტენიანობა, წვიმიანი დღეების რაოდენობა, ქარის სიჩქარე, მზის რადიაცია და ნათების ხანგრძლივობა. მაგალითად, სხვადასხვა კლიმატურ ზონაში განსხვავებულია ე.წ. "კომფორტული ტემპერატურა", თუმცა საშუალო მაჩვენებელი მერყეობს 17°C-დან 23°C-მდე[8]. ტემპერატურის მატება ან ვარდნა არასასიამოვნოს ხდის მოგზაურობის პროცესს, გამსაკუთრებით აქტიური ტურისტებისთვის.

საქართველოში მსგავსი მეტეოროლოგიური კომპონენტების მიხედვით გაერთიანებული ტერიტორიები, კლიმატური ზონები (ოლქები) ქმნის ერთიან სურათს და ამარტივებს რეგიონებისა თუ პერიოდების შერჩევას კომფორტული მოგზაურობისთვის. გარკვეული მახასიათებლების წინასწარ ცოდნის მიუხედავად, დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანია სასურველ პერიოდზე ამინდის პროგნოზის გადამოწმებაც.

რელიეფი

ეკოტურისტული საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი პირობაა სასურველი ტერიტორიის რელიეფის შეფასება, როგორც პოტენციური რესურსის, ასევე ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ესთეტიკური მიმზიდველობის გარდა, გასათვალისწინებელია მთიან და განსაკუთრებით არასტაბილურ ზონებში მიმდინარე პროცესები (მაგ. მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი და სხვა). მარშრუტების სირთულის წინასწარი შეფასებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფერდობების დახრილობა და სიგრძე. ამასთან გასათვალისწინებელია აბსოლუტური სიმაღლებრივი მატება, რომლის არსებობა მარშრუტზე ყველა კატეგორიის ეკოტურისტისთვის არ არის მიზანშეწონილი. საქართველოში არსებული რელიეფის ფორმების მრავალფეროვნება და კონტრასტულობა აქტიური ეკოტურიზმის სახეობების განვითარებას უწყობს ხელს.

მთიანი სამეგრელო

[6] S. Becken, The Importance of Climate and Weather for Tourism, 2010

წყლის რესურსები

გარკვეულ რეგიონში წყლის რესურსების კვლევისას პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს არსებული ჰიდროგრაფიული ობიექტების შესახებ სრული ინფორმაციის მოძიება. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ეკოტურისტთა უმრავლესობა უპირატესობას წყალზე მოგზაურობას ანიჭებს, მნიშვნელოვანია ისეთი მახასიათებლების ცოდნა, როგორიცაა: ფართობი, წყლის ხარისხი, სანაპირო ზოლის მდგომარეობა ან თუნდაც წყლის ბიომრავალფეროვნება, რაც ხელს უწყობს საინტერესო აქტივობების დაგეგმვას. ცნობილი ფაქტია, რომ ადამიანისთვის კომფორტული საბანაო ტემპერატურა 17°C–ია. უფრო ნაკლები ტემპერატურა მხოლოდ გარკვეული კატეგორიისთვის არის მისაღები. ისევე, როგორც რელიეფის შემთხვევაში, წყლის რესურსების, განსაკუთრებით სწრაფი მდინარეების შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ტურისტის უსაფრთხოება (მაგ. წყალმოვარდნები). ამავდროულად ასეთი მდინარეები ეკოტურიზმის ექსტრემალური სახეობებისთვის მნიშვნელოვანი რესურსია (მაგ. ჯომარდობა).

მოგზაურთა გარკვეული წრისთვის მნიშვნელოვანი ტურისტული რესურსი რეგიონში არსებული ადგილობრივი მინერალური წყლებია. შესაბამისად, წინასწარი მოკვლევის საფუძველზე უნდა განისაზღვროს სამოგზაურო რეგიონში მინერალური წყლის არსებობა, მისი იონური შემადგენლობა (ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი, სულფატური და სხვა), გაზებისა და სპეციფიური ელემენტების შემცველობა (რკინა, დარიშხანი, აზოტი, მეთანი და სხვა), მჟავიანობა (ნეიტრალური, მჟავე, ტუტე), მინერალიზაცია, ტემპერატურა და დანიშნულება (სამკურნალო თვისებების გათვალისწინებით).

ბიომრავალფეროვნება

მცენარეულ საფარს (მაგ. ტყეს) და ცხოველთა სამყაროს, როგორც რესურსს, ადამიანი უძველესი დროიდან იყენებდა, მათ შორის რეკრეაციული კუთხითაც. მათი მრავალფეროვნება კი ეკოტურისტულ მოგზაურობას უფრო სასიამოვნოს და სასარგებლოს ხდის (მაგ. ბუნების ისტორიისა და ფრინველებზე დაკვირვების მარშრუტები). ტურისტული თვალსაზრისით მცენარეულ საფარს, კერძოდ კი ტყეს, მრავალი დადებითი თვისება აქვს, მაგალითად, გამოყოფილი ჟანგბადი ინარჩუნებს ჰაერის იონურ შემადგენლობას, ხოლო წიწვოვანი ტყე დამატებით გამოყოფილი ფიტონციდებით მას სამკურნალო ფუნქციასაც სძენს. გარდა ამისა, ტყე ამცირებს ხმაურს, არეგულირებს ჰაერის ტემპერატურას, ტენიანობას, ქარის სიჩქარეს და მზის რადიაციას. ტურისტების მიერ ბუნების შემეცნების პროცესში რეკომენდებულია ინტერპრეტაციული მეთოდების გამოყენება, რაც ამ პროცესს უფრო პროდუქტიულს გახდის. ფაუნის წარმომადგენლებთან ერთად იქმნება ერთიანი ეკოსისტემა, რომლის გამორჩეულ და ხელუხლებელ არეალებს, როგორც წესი, სახელმწიფო იცავს (დაცული ტერიტორიები).

ტერიტორიაზე არსებული რესურსების შესწავლამდე მნიშვნელოვანია ადგილზე გარემოს დაბინძურების და ადამიანის მიერ არეალის ათვისების დონის შეფასება. ამ ორმა ფაქტორმა შეიძლება შეზღუდოს ეკოტურიზმის განვითარება. უკანასკნელ ათწლეულებში საქართველოში ბუნებრივ ლანდშაფტზე გაზრდილმა ანთროპოგენურმა დატვირთვამ ფლორისა თუ ფაუნის მრავალი სახეობის შემცირება და გაქრობაც კი განაპირობა. შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების დაცვა/შენარჩუნება ეკოტურისტული საქმიანობის განხორციელების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

სპელეორესურსები

ბოლო დროის განმავლობაში სულ უფრო ძლიერდება ინტერესი სპელეორესურსების მიმართ, საქართველოში კი მათი სიმრავლე ეკოტურისტული პროდუქტის მრავალფეროვნებას უწყობს ხელს. ბუნების ამ უნიკალური წარმონაქმნების კვლევა არ არის სრულყოფილი და დღემდე მიმდინარეობს ახალი ობიექტების აღმოჩენა. თუმცა რამდენიმე მღვიმე (პრომეთე, სათაფლია) გადაქცეულია მასობრივი ტურიზმის კერებად. თერმოტენიანობის პარამეტრების სტაბილურობა, ბარომეტრული ველი, იონიზაციის ხარისხი და სხვა მახასიათებლები მღვიმეებს სამკურნალო ფუნქციასაც სძენს. ნაკლებად ცნობილი მღვიმეების მონახულების შემთხვევაში აუცილებლად გასათვალისწინებელია ტურისტის უსაფრთხოება (მისადგომობა, მღვიმეში შესვლა/ჩასვლა/აღჭურვა).

სპელეორესურსებს სხვა ბუნებრივ ღირსშესანიშნაობებთან ერთად, მათი უნიკალურობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვს ბუნების ძეგლის სტატუსი. სამეცნიერო, კულტურული და ესთეტიური თვალსაზრისით იგი შეიძლება წარმოადგენდეს ბუნებრივ კომპლექს ან ცალკეულ ობიექტს (ლოდები, კლდის სვეტები, ხეობები და კანიონები, ჩანჩქერები და სხვა). თითოეული მათგანის მნიშვნელობა ეკოტურისტული თვალსაზრისით მაღალია და აუცილებლად მოსანახულებელ ობიექტთა ნუსხაში შედის.

მატერიალური რესურსები

ამა თუ იმ რეგიონის მატერიალური რესურსების, ისტორიულ–კულტურული ძეგლებისა და სხვა ფასეულობების შესწავლის დონე პირდაპირ

უკავშირდება ეკოტურისტული პროდუქტის ხარისხს. საინტერესო რეგიონის სრული კვლევის (რეგიონში არსებული ძეგლების ნუსხა დახასიათებით) შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს სხვადასხვა გარემოება, მაგალითად, ძეგლის მდგომარეობა, მიმზიდველობა და ფასეულობა (ეროვნული თუ ადგილობრივი მნიშვნელობის). ამასთან გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორებიც, როგორებცაა: მისადგომობა (ფეხით ან არამოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებით), ძეგლის მონახულებისთვის დადგენილი წესები (მუზეუმების შემთხვევაში სამუშაო დღეები/საათები), ადგილზე დამატებითი მომსახურებების არსებობა, ძეგლის ან მიმდებარე ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობა და სხვა.

არამატერიალური რესურსები

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა არის საზოგადოების, ცალკეული ჯგუფების და ზოგიერთ შემთხვევაში, კერძო პირების მიერ მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად აღიარებული ადათ–წესები, წარმოდგენისა და გამოსახვის ფორმები, ცოდნა და ჩვევები, ასევე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები. არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას განეკუთვნება:

– ზეპირი ტრადიციები და გამოხატვის ფორმები (ლეგენდა, იგავი, თქმულება და სხვა)

– საშემსრულებლო ხელოვნება (სიმღერა, ცეკვა, სახიობა და სხვა)

– საზოგადოებრივი პრაქტიკა (თამაშობა, დღეობა, დღესასწაული, კულინარია და სხვა)

– გარე სამყაროსთან დაკავშირებული გამოცდილება (ხალხური მედიცინა, ბუნების მოვლენებთან დაკავშირებული ადათ–წესები, შინაური ცხოველებისა და ფრინველების, ხილისა თუ ბოსტნეულის ჯიშები და სხვა)

– ხელოსნობის დარგები და ტექნიკა (ტრადიციული ხალხური რეწვის ტექნიკა: თექა, ფარდაგი, მეტალის და თიხის დამუშავება და სხვა)[9].

საკვლევი რეგიონისთვის აუცილებელია ზემოთ მოყვანილი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მოძიება. დღეობები, დღესასწაულები, თამაშობები, ის ღონისძიებები, რომლებიც დაგეგმილი მოგზაურობის პროცესში ტარდება რეგიონში. ამასთან რეგიონში თანხების აკუმულირებისთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა

[9] საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს და იუნესკოს მიერ მომზადებული ბროშურა „საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, შეიცანი და დაიცავი“, 2012 წ.

მომსახურების მიწოდების პროცესში (მაგ. ხალხური რეწვის მწარმოებლების). შესაბამისად წინასწარ უნდა იყოს მოკვლეული ტურისტებისთვის სხვადასხვა ტიპის მომსახურეობის შეთავაზებები.

ნებისმიერი ტიპის ეკოტურისტული პროდუქტის დაგეგმვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ძირითადი მოთხოვნები: სიცოცხლის უსაფრთხოება, ტურისტების ჯანმრთელობა, მათი ქონების დაცვის უზრუნველყოფა და გარემოს დაცვა. მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის რესურსის რაციონალურად გამოყენება და ეკოტურისტული პრინციპების დაცვა.

2.2 თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან

ეკოტურისტული პროდუქტის მრავალფეროვნებაზე, ღირებულებასა და კონკურენტუნარიანობაზე დიდ გავლენას ახდენს წინამოკვლევითი სამუშაოების განხორციელების ხარისხი. საქართველოს რეალობიდან გამომდინარე მცირე ტურისტულ საწარმოებს, განსაკუთრებით ინდივიდუალურ პირებს, არ აქვთ შესაბამისი რესურსი სრულყოფილი ფუნდამენტური კველევების ჩასატარებლად (თუნდაც ბუნებრივი და ისტორიულ–კულტურული ღირსშესანიშნაობების შეფასების კუთხით). აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე მათთვის აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა უწყებასთან, მათგან საჭირო ინფორმაციის გამოთხოვის და გამოცდილების გაზიარების კუთხითაც (ცხრილი 4).

ეკოტურისტული საქმიანობის დაგეგმვისას, აგრეთვე, გასათვალისწინებელია სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორის მიერ ამა თუ იმ რეგიონში ტურიზმის განვითარების მიზნით განხორციელებული პროექტები; ასევე მნიშვნელოვანია პროფესიული გაერთიანებები, კერძოდ, ასოციაციები, რომელთა ძირითადი მიზანია ეკოტურიზმში ჩართული სუბიექტების მხარდაჭერა და დახმარება. სხვადასხვა პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევები, შექმნილი ინფრასტრუქტურა და გაძლიერებული მომსახურების სექტორი, მრავალფეროვანი ეკოტურისტული პროდუქტის შექმნის შესაძლებლობას იძლევა. განსაკუთრებული ყურადღება მართებს დაცული ტერიტორიების სიახლოვეს მყოფ ტურისტული მომსახურების მიმწოდებლებს. სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისას, აღნიშნული ტერიტორიების მონახულებისთვის მნიშვნელოვანია წინასწარი შეთანხმება ადგილობრივ ადმინისტრაციასთან და გარკვეულ ზონებში დასაშვები აქტივობების (მათ შორის ვიზიტორთა დასაშვები მაქსიმალური

რაოდენობის) შესახებ ინფორმაციის მიღება.

ადგილობრივი მოსახლეობის, კერძო სექტორის და სახელმწიფო უწყებების (მაგ. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის) ურთიერთთანამშრომლობა გაზრდის ეკოტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მაქსიმიზაციისა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების შესაძლებლობებს.

ცხრილი 2: რეგიონში ეკოტურისტულ რესურსებზე მეწარმეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისათვის სახელმწიფო სტრუქტურების საკონტაქტო ინფორმაცია

ორგანიზაცია	საქმიანობა	კონტაქტი
სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	მდგრადი ტურიზმის განვითარების უზრუნველყოფა და საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს, როგორც უნიკალური ტურისტული ქვეყნის, პოზიციონირება;	http://gnta.ge/ge/
სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო	სახელმწიფო ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ბუნების ძეგლების, აღკვეთილების, დაცული ლანდშაფტების, ბიოსფერული რეზერვატების, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიების სისტემის მართვა;	http://www.apa.gov.ge/ge/
სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	კულტურული მემკვიდრეობის უძრავ-მოძრავი ძეგლებისა და ობიექტების, ქვეყნის მუზეუმ-ნაკრძალების დაცვა, მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია;	http://www.heritagesites.ge/
ა(ა)იპ საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია	ასოციაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს ადგილობრივ თემებში ეკოლოგიური ტურიზმის პროდუქტის განვითარების და მოსახლეობის თვითაქტივობის ზრდის გზით მათივე სოციალურ—ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა;	www.ecotourism.ge
ა(ა)იპ საქართველოს ტურიზმის ასოციაცია	კერძო ტურისტული კომპანიების, სასტუმროების და საოჯახო სასტუმროების გამაერთიანებელი ორგანიზაცია, რომლის მიზანია ხარისხის მართვა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ტურიზმის მდგრადი განვითარება;	www.tourismassociation.ge
ა(ა)იპ საქართველოს შემომყვან ტურ-ოპერატორთა ასოციაცია	ორგანიზაციის პროფილს წარმოადგენს შემომყვანი ტურიზმის ხელშეწყობა, ტურიზმის ხელშემწყობ პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და მდგრადი ტურიზმის განვითარება.	www.gitoa.ge
ა(ა)იპ საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაცია		https://www.facebook.com/georgianmountain.guides/?ref=br_rs
მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო		http://www.martvili.ge/ http://www.martvili-sakrebulo.ge/
სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო		http://www.szs.gov.ge/senaki.html

საქართველოს ეკო-ტურიზმის განვითარების ცენტრი
Georgian Ecotourism Development Centre

№d_24495 **"02" თებერვალი 2016 წ.**

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობას
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ეკო-ტურიზმის განვითარების ცენტრი, საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციასთან პარტნიორობით სენაკისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებში ახორციელებს პროექტს: „მდგრადი ეკოტურისტული მომსახურების განვითარება ადგილობრივი თემის ჩართულობისა და არაფორმალური დუალური განათლების გზით". მცირე გრანტების პროგრამა ხორციელდება პროექტის: "რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში" (RLD), რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისისა (SCO) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC) დაფინანსებით.

აღნიშნული პროექტისთვის გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- მარტვილის მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების ნუსხა (პროექტის არსი, მიზნები და შედეგები), ტურიზმის, გარემოს დაცვის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართლებით (2009-დან დღემდე).
- რეგიონის მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები (თემებში მოსახლეობის რაოდენობა, (2012-2015 წწ. მონაცემები)).

პატივისცემით,
მანუჩარ მოდებაძე _____(ხელმოწერა)_____
თავჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი (ბ.ა)

საკონტაქტო პირი :
ონისე ჯანაშია (პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი) 5 98 35 84 58

ზუგდიდი, სოფ. ახალსოფელი; ტელ: 593 28 86 28
ელ-ფოსტა: **etdc2014@gmail.com**

3 ეკოტურისტული პროდუქტის შექმნა

3.1 ეკოტურისტული პროდუქტის შექმნის საფუძვლები და პრინციპები

ეკოტურისტული პროდუქტის შექმნა დელიკატური საკითხია, რომელიც ნებისმიერმა ტურისტული მომსახურების მიმწოდებელმა უნდა იცოდეს. მისი განვითარება თავისთავში მოიცავს სტრატეგიულ დაგეგმვას შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

1. დაგეგმვა უნდა ხორციელდებოდეს ადგილობრივ თემზე დაყრდნობით და ითვალისწინებდეს მისი ეკონომიკური განვითარების დონეს;

2. დაგეგმვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქტის შემდგომი დივერსიფიცირების შესაძლებლობა;

3. დაგეგმვა მაქსიმალურად უნდა მოიცავდეს ყველა რესურსს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას.

ეკოტურისტული პროდუქტის დაგეგმვის დროს, როგორც წესი, გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი საფეხურები[10]:

1. ეკოტურისტული პროდუქტის მისიისა და მიზნის დასახვა (მაგ. ვიზიტორთა რაოდენობის ან მათი დანახარჯების გაზრდა).

2. პროდუქტის შექმნისთვის საჭირო რესურსების აღწერა და ანალიზი (მაგ.: ბუნებრივი და ისტორიულ–კულტურული რესურსები, ადამიანური რესურსები, საინვესტიციო გარემო, დამხმარე მომსახურებები (მაგ.: თეატრი, ტრადიციული დღესასწაული). თითოეული ეკოტურისტული რესურსი უნდა შეფასდეს მიმზიდველობის, ხარისხის, ხელმისაწვდომობის, გარემოსა და კულტურის დაცვაში შეტანილი წვლილის მიხედვით. მაგალითად, ვიზიტორთა დანახარჯების გაზრდის მიზნით ბუნების ძეგლების მოსანახულებელი ეკოტურის მოწყობა ცხენებით ან ველოსიპედით; მეგრული სამზარეულოს წამყვანი კერძების მომზადების შემსწავლელი ერთდღიანი კურსი.

3. ბაზრის ანალიზი, რაც გულისხმობს ორი ტიპის კვლევას. პირველადი კვლევა – ინფორმაციის მოძიება შესაქმნელი პროდუქტის საჭიროების მიხედვით (სიტუაციური ანალიზი, ეკოტურისტულ ბაზარზე დაკვირვება), ხოლო მეორეული კვლევა გულისხმობს უკვე არსებულ ეკოტურიზმთან დაკავშირებულ კვლევების ანალიზს. აღნიშნული კვლევების მოძიება შესაძლებელია ეროვნულ და რეგიონულ დონეზე დარგობრივი სახელმწიფო

[10] Campbell, Lisa M. "Ecotourism in Rural Developing Communities." Annals of Tourism Research (26)3: 534–54), 1999):

უწყებებისგან, პროფესიული ასოციაციებისგან, თვითმმართველი ორგანოებიდან და ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებიდან. მაგალითად, პირველადი კვლევის დროს მეგრული სამზარეულოს შემსწავლელი კურსის შემთხვევაში ადგილობრივი გასტრონომიული ობიექტების მომსახურებების და შეთავაზებების შესწავლა, ხოლო მეორეული კვლევისას ტურიზმის ადმინისტრაციის სტატისტიკურ მონაცემთა მოძიება გასტრონომიული ტურიზმით დაინტერესებული წილის შესახებ.

4. პროდუქტისა და ბაზრის შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ანალოგიური ან მსგავსი ეკოტურისტული პროდუქტების შესწავლას, მათ კლასიფიკაციას ფასითა და ხარისხით. აგრეთვე, შესაქმნელი პროდუქტის აქტუალურობის დადგენას ბაზარზე.

5. ზოგადი სამოქმედო გეგმის შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება, რა უნდა შეიქმნას, ვინ იქნება შემსრულებელი, რა ეღირება და როდის უნდა გაკეთდეს.

6. ეკოტურისტული პროდუქტის განვითარება. ამ ეტაპზე პროდუქტი საბოლოოდ ყალიბდება, სადაც გაწერილი უნდა იყოს კონკრეტული ტური დღეებისა და აქტივობების მიხედვით; ტურში შესული მომსახურებების ხელშეკრულებები, გასაყიდი ფასი და რეალიზაციის არხები (ტურის შედგენის მაგალითი იხ. თავი 7).

7. მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავების დროს უნდა განისაზღვროს ვინ იძენს შექმნილ პროდუქტს და რა სახით უნდა მივაწოდოთ აღნიშნული პროდუქტი სამიზნე ჯგუფს (მაგ.: უნდა ვიაქტიუროთ მხოლოდ სოციალურ მედიაში, გამოვიყენოთ მხოლოდ ბეჭდური მასალა, თუ მოვიწვიოთ მსხვილი ტურ–ოპერატორები გაცნობით ტურზე).

8. ფინანსური გეგმა და პასუხისმგებლობების გადანაწილება დასადგენია რამდენი ადამიანია ჩართული პროდუქტის შექმნაში და ვინ რა მოვალეობას შეასრულებს. აგრეთვე, დასაზუსტებელია სახელმწიფო და სათემო ორგანიზაციების წინაშე ვალდებულებები (მაგ. საგადასახადო განაკვეთი). პროდუქტის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ გარემოზე ზემოქმედების დადგენა და მისი დაცვის ვალდებულებების შესრულება (მაგ. საოჯახო სასტუმროს მიერ მარტვილის კანიონის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება).

3.2 ეკოტურისტული მომსახურების მიმწოდებლები: საოჯახო სასტუმრო, კვების ობიექტი, გამყოლი, რეწვის ოსტატი, აგრომეურნეობა.

მოცემულ ქვეთავში განხილულია საქმის წარმოების ის ტიპები, რომლებიც ადვილად შეიძლება მივაკუთვნოთ ეკოტურიზმს. მათი წარმოქმნა და მდგრადი განვითარება ადგილობრივი თემისთვის ძალიან მარტივი და ხელსაყრელია.

3.2.1 საოჯახო სასტუმრო

სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სტანდარტების უცვლელად გადაღების თავიდან აცილების მიზნით, ნებისმიერი სახის მომსახურების გაწევის დროს მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი კულტურა. ამასთან, საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, საჭიროა, მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცეს საოჯახო სასტუმროს მოწყობის სტანდარტს, კვებით მომსახურებასა და სხვა დამატებითი მომსახურებების მრავაფეროვნებას, რაც მომხიბვლელს ხდის სტუმრობას და პირდაპირ მოქმედებს სტუმრის დარჩენის ხანგრძლივობაზე, მის ხელახალ ვიზიტსა და რეკომენდაციის გაწევაზე მეგობრებისა თუ ნაცნობებისთვის.

საოჯახო სასტუმროს მეპატრონემ ინტერიერისა და ექსტერიერის მოწყობისას უნდა გაითვალისწინოს რიგი მოთხოვნები, რომელთა არსებობასაც ნებისმიერი მოგზაური მოელის. მნიშვნელოვანია ეზო იყოს გამწვანებული და ჰქონდეს ბაღი; ეზოში მოწყობილი იყოს ე.წ. სუფთა ჰაერზე მოსასვენებელი ადგილები, მაგ.: ჰამაკები, ხის მაგიდა და სკამები გარემოსთან ჰარმონიაში, ბავშვებისთვის ქვიშის სათამაშო მოედნები და ა.შ. შენობასთან მისასვლელი გზა უნდა იყოს მოკირწყლული ან მოხრეშილი/მოასფალტებული.

სასურველია საოჯახო სასტუმროს შენობა რეგიონისთვის დამახასიათებელი ტრადიციული ელემენტებით იყოს გაფორმებული. შენობას არ უნდა ჰქონდეს ბზარები. გადახურვა არ უნდა იყოს ე.წ. შიფერით. სტუმრის ოთახებს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი შესასვლელები.

გასათვალისწინებელი რჩევები:

- ორადგილიანი ოთახის ფართი 10 კვ/მ;
- საწოლის ზომა ერთადგილიანი მინიმუმ 80x190 სმ ან 140x190 სმ, ორადგილიანი 160,180 x200 სმ;
- ღია და ერთი ფერის თეთრეული;
- სათავსო პირადი ნივთების შესანახად;
- სკამების რაოდენობა ოთახში ადგილების მიხედვით;
- საკიდი;
- ელექტროენერგიის წყარო, განათება, ჭაღი, მაგიდის ლამპა;
- წყალი და წყლის ჭიქა თითო ადამიანზე.

სანიტარული კვანძი სასურველია მდებარეობდეს შენობის შიგნით. ეზოში მდებარეობის შემთხვევაში უნდა იყოს კაპიტალური (მინიმუმ 1 კვანძი 8 ადამიანზე).

სანიტარულ კვანძს აუცილებელია ჰქონდეს:

- საშხაპე ან აბაზანა;
- პირსაბანი აქსესუარებით (სარკე, თარო, სასაპნე, პირსახოცის საკიდი);
- უნიტაზი აქსესუარებით (ტუალეტის საქაღალდე, უნიტაზის ჯაგრისი);
- გაუმჭვირვალი კარი შიდა საკეტით;
- გამართული ვენტილაცია;
- აეროზოლი (ცუდი სუნის შემაკავებელი);

სასურველია:

- დამატებითი განათება პირსაბანის სარკესთან;
- თმის საშრობი;
- თმისა და ტანის დასაბანი საშუალებები.

2017 წლიდან კანონით აიკრძალება საჯარო სარგებლობის ადგილებში (დახურულ სივრცეში) თამბაქოს მოწევა. ამ ეტაპზე აკრძალვის არარსებობის მიუხედავად, სასურველია საოჯახო სასტუმროს შიდა სივრცეში არ იყოს ნებადართული თამბაქოს მოხმარება, ხოლო სტუმრის ინფორმირებისთვის ყველა ოთახში იყოს მოწევის აკრძალვის მანიშნებელი.

საოჯახო სასტუმროს მომსახურების ეტაპები:

დაჯავშნის სისტემის წარმოება, ოთახის დალაგება და მომზადება სტუმრის მისაღებად, სტუმრის მიღება, დაბინავება და მასპინძლობა; კვებითი მომსახურება, დამატებითი მომსახურება, მაგ.: გარეცხვა, დაუთოვება, დამატებითი ტურების შეთავაზება, საბოლოო ანგარიშსწორება.

დაჯავშნა

სტუმრის მომსახურების პროცესი დაჯავშნით იწყება, რაც ოთახის (ადგილების) წინასწარ შეკვეთას გულისხმობს. დაჯავშნა არის საოჯახო სასტუმროს აუცილებელი მარკეტინგული იარაღი, რაც იძლევა პროგნოზის საშუალებას მოსალოდნელი გაყიდვების შესახებ. ასევე ამარტივებს პოტენციური ტურისტისთვის სასტუმრო პროდუქტის ხელმისაწვდომობას.

დაჯავშნის არხებია:

- **კომერციული საიტები** (ე.წ. შუამავალი საიტები): Expedia.com, Booking.com, Travelocity.com, Hotels.com, airbnb.com, hotel.ge, lonelyplanet.com, orbitz.com, hotwire.com, agoda.com, priceline.com, morehotels-4less.com, hotelreservation.com.
- **სოციალური ქსელები** (facebook.com, Instagram.com, linkedin.com, pinterest.com);
- **შემომყვანი ტურიზმის ოპერატორები**, ადგილზე არსებული საინფორმაციო ცენტრები, ტურისტული კომპანიები ან სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციები;
- **ინტერნეტგვერდი.**

დაჯავშნის შემდეგ შეკვეთის მიღების წერილობითი დასტურით კიდევ უნდა გადაამოწმოთ ფასი და მომსახურების პირობები შემდგომი უზუსტობების თავიდან ასაცილებლად. გარდა იურიდიული მხარისა, აღნიშნული ქმედება გააჩენს ნდობას და პოზიტიურად იმოქმედებს სტუმართან ურთიერთობის პირველივე ეტაპზე.

ოთახის დალაგება

სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა მომსახურების ბიზნესში აუცილებელი პირობაა. ოთახები უნდა დალაგდეს ყოველდღიურად სტუმრის არყოფნის პერიოდში, განსაკუთრებულად უნდა დასუფთავდეს ერთი სტუმრის გასვლის და მეორის შემოსვლის დროს; სტუმრის პირადი ნივთები ოთახში რჩება ხელუხლებლად.

დალაგების პროცესში იგულისხმება: ნომრის განიავება, ჭურჭლის გარეცხვა და საწოლების გასწორება, ტუმბებსა და სხვა ავეჯზე მტვრის

გადაწმენდა, სველი წერტილის დასუფთავება. პირსახოცი გამოიცვლება ყოველდღიურად თუ სტუმარი ყოველი მოხმარების შემდეგ იატაკზე დააგდებს მას; მიღებული ფორმაა წერილობითი მოწოდება სააბაზანო ოთახის კედელზე, რომ სტუმარი გაუფრთხილდეს ბუნებრივ რესურსებს და არ დააგდოს იატაკზე პირსახოცი და გამოიყენოს იგი თუნდაც ორი დღის განმავლობაში.

სტუმრის დაბინავება და მასპინძლობა

სტუმართან ურთიერთობის წესები:

- გაიღიმეთ, განაწყვეთ სტუმარი დადებითად;
- იყავით ხალისიანი, თქვენი განწყობა სხვასაც გადაეცემა;
- სტუმარს მიმართეთ სახელით, მაგალითად, ბატონო ჯონ;
- არასოდეს დაიწყოთ პასუხი სიტყვით ,,არა'', უმჯობესია უთხრათ: ,,მოხარული ვიქნები დაგეხმაროთ, მაგრამ . . . ''.
- პრეტენზიის შემთხვევაში სტუმარს უნდა მოუსმინოთ განსაკუთრებული ყურადღებითა და თანაგრძნობით; გამოხატოთ პრობლემის გადაჭრაში დახმარების სურვილი და მზაობა. თუ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია, დროულად უნდა შეატყობინოთ;
- აუცილებელია იცოდეთ ვინ არის სტუმარი (ეროვნება, ტურისტის ტიპოლოგია), რათა სწორად განსაზღვროთ მისი მოთხოვნები და გაუწიოთ შესაბამისი მომსახურება.

გამომდინარე იქიდან, რომ საოჯახო სასტუმროს მართვის პროცესში ჩართულია ოჯახის ყველა წევრი, ისინი ვალდებულნი არიან დამსვენებლებისთვის სასიამოვნო და საინტერესო გარემო შექმნან, იზრუნონ მათ უსაფრთხოებასა და ხარისხიან მომსახურებაზე.

სტუმრის მხრიდან მომსახურების პრობლემებთან დაკავშირებული თითქმის ყველა საჩივარი რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

1. არასარწმუნო და არაზუსტი ინფორმაცია სასტუმრო პროდუქტის შესახებ. ზოგიერთი საოჯახო სასტუმროს მეპატრონე არაკეთილსინდისიერია ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით. სტუმრებს შეგნებულად უმალავს არსებულ ნაკლოვანებებს, რომლებმაც შესაძლოა უარყოფი გავლენა იქონიოს მომსახურების ხარისხზე.

2. სტუმრების დაგვიანებული ინფორმირება მომსახურებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ ცვლილება გამოიწვევს მომსახურების ხარისხის დაქვეითებას, საოჯახო სასტუმრომ ან ტურისტულმა სააგენტომ უნდა აუნაზღაუროს მომხმარებელს ფასთა სხვაობა.

3. ტურისტული ფირმის მიერ გაცხადებული და მომხმარებელთა მიერ რეალურად მიღებული მომსახურების ხარისხისა და ასორტიმენტის შეუსაბამობა. ამ კატეგორიის საჩივრებიდან ყველაზე ხშირია, მაგალითად, სტუმრის განთავსება დაბალი კატეგორიის ან ნაკლებად კომფორტულ სასტუმროში, ვიდრე შეთანხმებით იყო გათვალისწინებული.

გარემოს დაბინძურების შემცირების მეთოდები საოჯახო სასტუმროს საქმიანობისას

ნებისმიერი ტურისტული საქმიანობა, მათ შორის საოჯახო სასტუმროს მუშაობა, უნდა ეყრდნობოდეს გარემოს დაცვის პრინციპებს და ჰარმონიაში უნდა იყოს მასთან. მაშინ, როცა ამგვარი პრინციპების დაცვა მომგებიანია ყველასთვის და გამოიხატება სამი მთავარი კომპონენტით:

- დანახარჯების შემცირება;
- გარემოს დაცვით საქმიანობაში წვლილის შეტანა;
- იმიჯის გაუმჯობესება მომხმარებლის თვალში.

ენერგოეფექტურობა

განთავსების საშუალებათა მოწყობისას სასურველია შევამციროთ სითბოს დანაკარგები. კერძოდ, შესაძლებელია ფართოდ გამოიყენებოდეს თერმოიზოლაციური მასალები. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ მუქი ფერის კედლები და სახურავი მზეზე თბება უფრო სწრაფად, ვიდრე ღია ფერის, რაც ხელს უწყობს ენერგიისა და საწვავის დაზოგვას. ცნობილია, რომ ფანჯრებიდან სითბოს დაკარგვა ათჯერ უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე კედლებიდან, ამიტომ ორმაგი ფანჯრები აუცილებელია იმ საოჯახო სასტუმროებისთვის, რომლებიც შედარებით მკაცრი კლიმატური პირობების არეალში მდებარეობს. ფანჯრებზე დაკიდებული სქელი ნაჭრის ფარდები ცივ ამინდში ხელს უწყობს ოთახის სითბოს შენარჩუნებას, ხოლო სიცხეში აკავებს მზის სხივებს. მნიშვნელოვანია ოთახებში კარისა და ფანჯრების მდებარეობა. მათი განლაგება უნდა იყოს გათვლილი ადგილობრივი ქარების გაბატონებულ მიმართულებაზე, ორპირის თავიდან აცილების მიზნით.

საოჯახო სასტუმროში გასათბობად ღია ცეცხლის გამოყენება (მაგალითად, ბუხარი) არაეფექტურია, თუმცა ტურისტებისთვის იგი საკმაოდ მიმზიდველია და გარკვეული სახის განწყობას ქმნის.

ოთახების, დერეფნებისა და სხვა ადგილების გასანათებლად მიზანშეწონილია თანამდროვე ენერგოეფექტური ნათურებისა და ავტომატური (სენსორული) განათების სისტემების გამოყენება.

ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში აუცილებელია ფართოდ იყოს გამოყენებული ენერგიის არატრადიციული წყაროები, როგორებიც არის: ქარის, თერმული წყლების, მზის სხივებისა და სხვა სახის ენერგია.

წყლის მოხმარება

საოჯახო სასტურმოს საქმიანობის პროცესში მტკნარი წყლის მოხმარება მნიშვნელოვან მასშტაბებს აღწევს. შესაბამისად გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირების მიზნით გასათვალისწინებელია გარკვეული სახის რეკომენდაციები:

• წყლის მრიცხველების დაყენება; მათი გამოყენება წყლის მოხმარებას ამცირებს 20–25%–ით;

• ონკანებსა და საშხაპეებზე წყლის ნაკადის შემამცირებელი საცობების დაყენება;

• ჭურჭლის სარეცხი მანქანების გამოყენება; იგი მოიხმარს გაცილებით ნაკლებ წყალს, ვიდრე იხარჯება ხელით რეცხვისას. ამით დაიზოგება დაახლოებით 8 ათასი ლიტრი წყალი წელიწადში;

• ჩაიდანსა და მსგავსი ტიპის სხვა ჭურჭელში იმდენი წყლის მოხმარება, რამდენიც საჭიროა სტუმრის მომსახურებისთვის;

• ონკანებისა და უნიტაზების მუდმივი კონტროლი; წყლის გაჟონვის კერების დაუყოვნებლივ შეკეთება.

ნარჩენების მართვა

საყოფაცხოვრებო ნარჩენების არასწორი უტილიზაცია მნიშვნელოვანი გარემოს დაცვითი პრობლემაა. ამ მხრივ, საოჯახო სასტუმროს საქმიანობის პროცესში, აუცილებელია ნარჩენების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა.

ამ მიზნით შესაძლებელია სამი სახის არაორგანული ნარჩენის დახარისხება: ქაღალდის, პოლიეთილენისა და მინის. სასურველია გეოგრაფიული არეალის სიახლოვეს არსებული კომპანიის მოძიება, რომელიც მუშაობს მსგავსი ტიპის ნარჩენების მეორეულ გადამუშავებაზე. მნიშვნელოვანია, რომ ნარჩენების შემცირების მიზნით არ გამოიყენოთ ერთჯერადი ჭურჭელი. მრავალჯერადი ჭურჭლის გამოყენების შემდგომ კი

გაირეცხოს გარემოსთვის უსაფრთხო, ფოსფატისა და ქლორის შემცველობის არმქონე ქიმიური საშუალებებით.

ოჯახის წევრებისთვის, თანამშრომლებისა და მომხმარებლებისთვის აუცილებელია მუდმივი შეხსენება მოუფრთხილდნენ ელექტროენერგიასა და წყალს, გამოიყენონ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. ამისთვის შესაძლებელია ონკანებსა და ელექტროენერგიის წყაროებთან გაიკრას მცირე ზომის გამაფრთხილებელი ნიშნები წარწერებით: გამორთეთ შუქი, დაკეტეთ ონკანი და ა.შ.

კვებითი მომსახურება ეკოტურიზმში

კვებითი მომსახურება საოჯახო სასტუმროების ერთ–ერთი ძირითადი ფუნქციაა. ამ მომსახურების გაწევისას პრიორიტეტი უნდა მიენჭოს ადგილობრივ პროდუქტებს. სასურველია, საოჯახო სასტუმროს თავად გააჩნდეს მცირე აგრომეურნეობა მაინც, რათა მომხმარებელს სთავაზობდეს საკუთარ მეურნეობაში მოყვანილ პროდუქტს.

ძალზე მნიშვნელოვანია საოჯახო სასტუმროს მეპატრონეები აქტიურად თანამშრომლობდნენ ადგილობრივ აგრომეურნეობების მფლობელებთან და ამ გზით აძლიერებდნენ ადგილობრივ თემს. თავის მხრივ, აგრომეურნეობის მეპატრონენი ორიენტირებული უნდა იყვნენ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე და მინიმალურად იყენებდნენ პროდუქტის წარმოებისას სხვადასხვა სახის შხამქიმიკატს. დაბოლოს, საოჯახო სასტუმროს მეპატრონე ორიენტირებული უნდა იყოს ტურისტებისთვის შესათავაზებელი კვებითი მომსახურება მთლიანად ადგილობრივი ნატურალური პროდუქტით წარმოადგინოს.

ეკოტურისტული პრინციპებიდან გამომდინარე არ არის სასურველი ტურისტებისთვის სასმელი წყლის პოლიეთილენის ბოთლით შეთავაზება, რადგან მის შეფუთვაში, წარმოებასა და ტრანსპორტირებაში მნიშვნელოვანი რესურსები იხარჯება. მსოფლიოს იმ სასტუმროებსა და რესტორნებში, რომელთაც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ, უკვე ამოიღეს მენიუდან ბოთლით სასმელი წყალი სწორედ აღნიშნული მოტივაციით.

კვებითი მომსახურების გაწევისას გასათვალისწინებელია სხვა სახის ნიუანსებიც, კერძოდ:

• სტუმრებისთვის შეთავაზებული საკვები არ უნდა იყოს დამზადებული გადაშენების პირას მყოფი ცხოველებისა ან მცენარეებისგან;

• საკვები პროდუქტები, განსაკუთრებით ხილი, უნდა იყოს მხოლოდ იმ რეგიონისა და სეზონისთვის დამახასიათებელი, რომელიც შეესაბამება სასტუმროს და კვების ობიექტის რეგიონს;

• სტუმრებისთვის შეთავაზებული ღვინო უნდა იყოს ყოველგვარი დანამატების გარეშე.

სასტუმრო ინდუსტრის კვების სახეობებია: განთავსება და საუზმე (B & B), ნახევრად პანსიონი (HB ორჯერადი კვება), სრული პანსიონი (FB – სამჯერადი კვება).

საუზმის სპეციფიკა

საოჯახო სასტუმროში, სტანდარტული სასტუმროებისგან განსხვავებით, სადაც საუზმე წინასწარ არის განსაზღვრული ერთი და იმავე დროს, საუზმის დროის განსაზღვრა შესაძლებელია ტურისტების ინდივიდუალური მოთხოვნიდან გამომდინარე, რაც ტურისტისთვის დამატებითი კომფორტია.

საოჯახო სასტუმროს კვებითი მომსახურება მთლიანად უნდა ეყრდნობოდეს ადგილობრივ ტრადიციასა და პროდუქციას. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია, საოჯახო სასტუმროს მეპატრონეს ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდეს მსოფლიოში მიღებული საუზმის ტიპების შესახებ.

საუზმის მენიუ

ტურისტების უმრავლესობა საუზმეზე ამჯობინებს მსუბუქი საკვების მიღებას. საუზმეზე შეიძლება შეთავაზებულ იქნას:

ჩაი, ყავა, კომპოტი, წყალი, ხაჭაპური, კვერცხი (მოხარშული ან შემწვარი) რძის პროდუქტები (მაწონი, ნადუღი, სულგუნი, კარაქი, რძე) მურაბა, თაფლი, ჯემი, პური, ხილი.

ცნობისათვის, *სასტუმროების საერთაშორისო ქსელში საუზმის მენიუს სახეობებია: კონტინენტური საუზმე, ინგლისური საუზმე და ამერიკული საუზმე.*

კონტინენტური საუზმე მოიცავს ჩაის ან ყავას, პურს, კარაქსა და ფუნთუშეულს;

ინგლისური საუზმე მოიცავს ჩაის/ყავას ან რძეს, ერთ ჭიქა ნატურალურ წვენს, პურს, ფაფას, ყველს, ორ მოხარშულ ან შემწვარ კვერცხს ძეხვთან, ლორთან ან სოსისთან ერთად. ამასთან სტუმარს სთავაზობენ ომლეტს, ასევე ხილს სეზონის შესაბამისად;

ამერიკული საუზმე მოიცავს ჩაის/ყავას ან რძეს, ერთ ჭიქა ნატურალურ წვენს, პურს, ფაფას, ორ ცალ შემწვარ ან მოხარშულ კვერცხს. საუზმის მენიუში შედის ასევე ჯემი, თაფლი, მურაბა და ხილი სეზონის შესაბამისად.

სადილის მენიუ

უცხოელი ტურისტი ხშირად მიემგზავრება ლაშქრობებში და მას ესაჭიროება საგზალი (ე.წ. ,,ლანჩ –ბოქსი''). ,,ლანჩ–ბოქსის'' პროდუქტის ჩამონათვალში შეიძლება შევიდეს მხოლოდ არამალფუჭებადი პროდუქტები: პური, მოხარშული კვერცხი, კიტრი, პომიდორი, ყველი, ძეხვი, ხილი და ა.შ. პროდუქტი უნდა შეიფუთოს პლასტმასის თავსახურიან ყუთში. თითოეულ ,,ლანჩ–ბოქსში'' უნდა იყოს ერთჯერადი ჭიქა, თეფში, დანა–ჩანგალი, ხელსაწმენდი, წყალი ბოთლით. თუ სტუმარი სადილად სახლში რჩება მენიუს შედგენისას აქცენტი უნდა გაკეთდეს ქართულ კერძებზე. სასურველია იმ მხარის, სადაც ტურისტი იმყოფება, მაგრამ როცა სტუმარი 7–10 დღით იმყოფება, სასურველია მისთვის იმ ქვეყნის ეროვნული კერძის მირთმევა, საიდანაც სტუმარი ბრძანდება.

სადილის მენიუ უნდა შედგებოდეს ცივი საუზმეულისგან, პირველი თავი კერძისა და ძირითადი კერძისაგან. ცივი საუზმეულია, მაგალითად: მწვანე სალათა, კიტრისა და პომიდვრის სალათა, ბადრიჯანი ნიგვზით, სტაფილო ნიგვზით, მწვანე ლობიო, ისპანახი, წითელი ფხალი ნიგვზით. პირველი თავი კერძები: ხარჩო, ბოსტნეულის სუპი, მაწვნის შეჭამანდი, ჩანახი, ქათმის ბულიონი, ჩიხირთმა, ხორცის ბულიონი და ა.შ. ძირითადი კერძები: ელარჯი, ქაბაბი/კატლეტი, მწვადი, მოთუშული საქონლის ხორცი, შემწვარი ღორის ხორცი, შემწვარი ქათამის ხორცი, მოხარშული ლოქო ქინძმარში და ა.შ. გარნირი: კარტოფილის პიურე, წიწიბურა, შემწვარი კარტოფილი, ბრინჯი, მოხარშული კარტოფილი. ასევე საჭიროა პური, ხილი, მინერალური წყალი.

სასურველია კერძების მონაცვლეობა ხდებოდეს ყოველდღიურად, რათა მენიუ არ იყოს ერთფეროვანი.

ვახშმის მენიუ

ცხელი საუზმეული: ხაჭაპური/ლობიანი (1–2 ნაჭერი), ამოლესილი ლობიო, კუპატი, კუჭმაჭი (ცხელი), აჯაფსანდალი, ჭვიშტარი და ა.შ. ძირითადი კერძები: შემწვარი კალმახი, ჩახოხბილი, ხარჩო, ჩაშუშული, ელარჯი, ჩემქვა, გებჟალია.

გარნირი: კარტოფილის პიურე, ღომი მოშუშული ან ქორფა ბოსტნეული შემდეგი სანებელებით: ძირძი, აჯიკა, ჭითა ჯიმუ – წითელი მარილი.

ტკბილეული: ფელამუში/თათარა, ნამცხვარი, ნაყინი, კრემი თხილით, ჩურჩხელა. ასევე მინერალური წყალი, ნატურალური წვენი, ყავა, ჩაი.

პროდუქტი უნდა იყოს კარგად გარეცხილი და სწორად მომზადებული. გაითვალისწინეთ: ცხარე სანელებლები მიართვით ცალკე.

კვების ორგანიზება საველე პირობებში

კვების ორგანიზება ეკოტურზე შედარებით განსხვავდება საოჯახო სასტუმროში სტანდარტულად არსებული მენიუსგან.

კვების ორგანიზებისას მნიშვნელოვანია:

1. ტურისტების ენერგეტიკული დანახარჯების განსაზღვრა და კალორიების დათვლა;
2. ტურისტების გემოვნების გათვალისწინება;
3. კვების რეჟიმის შემუშავება;
4. სტანდარტული მენიუს შემუშავება;
5. პროდუქტების აუცილებელი რაოდენობის განსაზღვრა;
6. სამზარეულო მოწყობილობების რაოდენობის განსაზღვრა (ჭურჭელი, საწვავი და ღუმელი, სარეცხი საშუალებები და სხვ.);

ენერგეტიკული დანახარჯები ლაშქრობაში ქვეითად გადაადგილებისას ზურგჩანთის გარეშე შეადგენს 6 კკალ/კგ/სთ (კილო კალორია, ადამიანის წონის ერთ კილოგრამზე ერთი საათის განმავლობაში), ხოლო 20 კგ ზურგჩანთით მოგზაურობისას 9 კკალ/კგ/სთ. აქედან გამომდინარე, მაგალითისთვის ტურისტს, რომლის წონა შეადგენს 80 კგ–ს და დღეში უწევს 10 საათი სიარული, ესაჭიროება დღეში 4800 კკალ. ტურისტებისთვის საჭირო ენერგიის განსაზღვრისთვის შეგვიძლია გადავიდეთ მათი მოძიების წყაროებზე.

კვების მიკროელემენტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ნახშირწყლები – მოგზაურობის დროს ენერგიის წყარო. ორგანიზმი ნახშირწყლებიდან იღებს ენერგიას სამჯერ უფრო სწრაფად და ჟანგბადის უფრო ნაკლები დანახარჯებით, ვიდრე ცხიმებისგან. ტურისტის კვების რაციონის ნახევარზე მეტს უნდა შეადგენდეს ნახშირწყლები. ცხიმები – კვების ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტი, თუმცა ნაკლებ ძვირფასი, ენერგიის წყაროს მხრივ, რადგანაც ორგანიზმი მის ათვისებაში ხარჯავს დიდი რაოდენობით დროს და კალორიებს. ცხიმებისგან მიღებული კალორიების რაოდენობა დღიურ რაციონში არ უნდა აღემატებოდეს 30–35%–ს. ცილები – ძალიან მნიშვნელოვანია ფიზიკური ფორმის აღსადგენად. აუცილებელია მიექცეს ყურადღება მცენარეული და ცხოველური ცილების დაბალანსებულ მიღებას. ცილებისგან მიღებული კალორიების რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს 20%–ს. ვიტამინები – არეგულირებს ორგანიზმის მოქმედების სისტემას და იცავს მას. ვიტამინები ორგანიზმში ხვდება ახალი ქორფა პროდუქტებიდან. წყალი

– წყალში არსებული მიკროელემენტები აუცილებელია, როგორც ამგები მასალა ძვლებისთვის, კბილებისთვის, ჰორმონებისთვის, ჰემოგლობინისთვის და სხვ. უჯრედისი – სასარგებლოა კუჭ–ნაწლავისთვის, განსაკუთრებით მაღალმთიანეთში ორგანიზმის კვებისა და მოგზაურობის ახალ რეჟიმზე გადასვლისას.

აღნიშნულთან ერთად მენიუს შედგენისას აუცილებელია დავაზუსტოთ ტურისტების გემოვნება. აუცილებელია ასევე გვქონდეს სპეციალური მენიუ ვეგეტარიანელებისთვის, დიაბეტით დაავადებულთათვის და ა.შ.

სხვა დამატებითი მომსახურებების გაწევა

დამატებით მომსახურებად სტუმარს საოჯახო სასტუმროს მეპატრონემ შეიძლება შესთავაზოს სალაშქრო ტურები, ტრანსპორტირება, ცხენებისა და ველოსიპედების გაქირავება, შემგროვებლობა (სოკოს, კენკრის, სამკურნალო მცენარეების) და ა.შ. ასევე ტანსაცმლის რეცხვა და დასუფთავება.

საბოლოო ანგარიშსწორება

სტუმრის გაწერა მოიცავს შემდეგ საფეხურებს: ანგარიშსწორებასა და ოთახის გასაღების დაბრუნებას. დამშვიდობებისას უნდა ვუსურვოთ სტუმარს უსაფრთხო მგზავრობა და გამოვხატოთ მზადყოფნა მისი ხელახალი მასპინძლობისთვის. მნიშვნელოვანია სტატისტიკის წარმოება: სტუმართა ასაკი, სქესი, ეროვნება, სასტუმროში ყოფნის ხანგრძლივობა.

3.2.2 საზოგადოებრივი კვების ობიექტი

საზოგადოებრივი კვების ობიექტები ტურისტული ინდუსტრიის მნიშვნელოვანი ნაწილია. გარდა ჩვეულებრივი და აუცილებელი მოთხოვნებისა, კვება ტურიზმში განიხილება, როგორც გართობისა და ადგილობრივი კულტურის შემეცნების ელემენტი, კერძოდ გასტრონომიის.

საზოგადოებრივი კვების ობიექტების კლასიფიკაცია ტურიზმის ინდუსტრიაში შემდეგნაირია: რესტორანი, კაფე, ბარი, სწრაფი კვების ობიექტი. კვების საწარმოთა თითოეული ტიპისათვის დამახასიათებელია კერძებისა და სასმელების შესაბამისი ასორტიმენტი, მომსახურების ფორმები, ადგილმდებარეობა, მომხმარებლის კონტიგენტი.

კვებითი მომსახურების წარმატება დამოკიდებულია შემდეგ ელემენტებზე: კვების რაციონი, მომსახურება, მიმზიდველი გარემო, ფასი.

იმის გამო, რომ დღეს ბაზარი გაჯერებულია საზოგადოებრივი კვების ობიექტებით, კონკურენცია ძალიან დიდია. აქედან გამომდინარე, კონკურენტული უპირატესობის განმსაზღვრელ ფაქტორებად გვევლინება:

- მომსახურების მაღალი ხარისხი;
- მენიუ (გემრიელი და ესთეტიკური კერძები, სასმელისა და საკვების ხარისხი);
- ინტერიერი და ექსტერიერი, სასიამოვნო ატმოსფერო;
- სპეციალური შეთავაზებები.

დღესდღეობით საქართველოში საზოგადოებრივი კვების ობიექტების ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა მომსახურების დაბალი ხარისხია. მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად და შესანარჩუნებლად აუცილებელია კადრების მუდმივი გადამზადება.

მომსახურების სახეებია:

- თვითმომსახურება (Self service);
- პერსონალით მომსახურება (Table Service/waiter service);
- დახლთან მომსახურება (Counter service/bar sevice).

ეკოტურიზმში ჩართული კვების ობიექტებისათვის გასათვალისწინებელია მისი იერსახე, მოხმარებული პროდუქტის ხარისხი, წარმომავლობა და ადგილობრივი რესურსების მოხმარება.

პრაქტიკული რჩევები:

- განათება გააკეთეთ ეკონომიური ნათურებით;
- გონივრულად მოიხმარეთ წყალი;
- შეიძინეთ მხოლოდ ადგილობრივი წარმოების პროდუქტი;
- იხმარეთ ნაკლები ცხიმი და ძირითადი აქცენტი გააკეთეთ დაუმუშავებელ ხილსა და ბოსტნეულზე;
- ინტერიერში გამოიყენეთ თქვენი რეგიონისთვის დამახასიათებელი ელემენტები, ასევე გამოიყენეთ თქვენი სოფლის, ქალაქის, მხარის ფოტოები;
- თქვენი მენიუ შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ 5 ან 6 კერძით, მაგრამ ეს 6 კერძი გააკეთეთ საუკეთესოდ;
- გამოიყენეთ ოჯახში დამზადებული მურაბები, კომპოტები, წვენები, საწებლები – ის, რასაც ტურისტები სხვაგან ვერ დააგემოვნებენ;
- მომსახურე პერსონალის ჩაცმულობა შეიძლება მიამსგავსოთ თქვენი

რეგიონის ტრადიციულ სამოსს, ამის მიღწევა ერთი–ორი შტრიხითაც არის შესაძლებელი;

• გამოიყენეთ ბევრი სიმწვანე ინტერიერში, შეგიძლიათ ქოთნებში მოათავსოთ თქვენი სოფლისთვის დამახასიათებელი მცენარეები და ამით შეძლოთ გარემოს რეპროდუქცია.

მენიუ

მომხმარებლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია:

• კვალიფიციური მზარეულები;
• ესთეტიკურად გაფორმებული კერძები;
• კულტურული და რელიგიური საკითხების გათვალისწინება;
• მრავალფეროვანი მენიუ და არჩევანის შესაძლებლობა.

ორი ტიპის მენიუს შეთავაზება ხდება მომხმარებლისთვის. არასრული, ანუ ალაკარტის ტიპის (a la Carte) და სრული, ანუ თეიბლდოტი (table d'hote).

თეიბლ დოტ (Table d'hote) შეზღუდული მენიუს ტიპია. ამ დროს სტუმარს სთავაზობენ რამდენიმე სახის კერძს, სამს ან ოთხს. ფასები არის განსაზღვრული თითოეულ კერძზე. კერძები მზადაა ან მცირე დრო ესაჭიროება მომზადებას. ასეთი ტიპის მენიუს შეთავაზება შესაძლებელია, როგორც საუზმის, ისე სადილის და ვახშმის დროსაც. სთავაზობენ ყველაზე მოთხოვნად და პოპულარულ კერძებს.

ამ მენიუს სახესხვაობაა ბუფეტის მენიუ, სადაც სხვადასხვა სახის კერძის შეთავაზება ხდება ერთიან ფასში. ამ შემთხვევაში კერძები პორციებად არის განსაზღვრული. ბუფეტის მენიუს იყენებენ ქორწილების, კონფერენციების, პრესკონფერენციების, შეხვედრების და სხვა დროს.

ა ლა კარტ (la Carte) – უფრო ფართოა არჩევანის შესაძლებლობა ასეთი ტიპის მენიუს დროს. კერძები მზადდება შეკვეთის მიღების შემდეგ. თითოეულ კერძზე მითითებულია ფასი; ასეთი ტიპის მენიუს დროს ფასები უფრო მაღალია.

სპეციალური შეთავაზებები

მძლავრი კონკურენციის პირობებში კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად გარდა მაღალი დონის მომსახურებისა, კარგი მენიუსა და ინტერიერისა, კვების ობიექტებმა სასურველია ტურისტულ კომპანიებს მოუმზადონ სხვადასხვა სახის წამახალისებელი შეთავაზება, მაგალითად, შეღავათიანი ფასები მენიუზე, ღონისძიებების მოწყობა ტურისტებისთვის, სატრანსპორტო მომსახურება, კერძების მომზადების სწავლება და ა.შ. თუმცა

აღნიშნული შეთავაზებები ზრდის პაკეტის ფასს.

ტურისტულ კომპანიებთან ურთიერთობის გზებია:

• ელ–ფოსტით შეთავაზება;
• ვიზიტი ტურისტულ კომპანიაში და პრეზენტაციის წარდგენა;
• ინფოტურების შეთავაზება (სამზარულოსა და მომსახურების გაცნობითი/ საინფორმაციო ტური).

საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის ბეჭდვითი პროდუქცია (ფლაიერები, ბუკლეტები, ბროშურები) კომუნიკაციის ერთ–ერთი მოსახერხებელი საშუალებაა, რომლითაც წარადგენს ობიექტს, მენიუს, მომსახურებას, ზოგად წარმოდგენას უქმნის პოტენციურ კლიენტს. ბროშურა განსაზღვრავს იმიჯს, ხარისხს, პროფესიონალიზმს. მისი დანიშნულებაა პოტენციური კლიენტის ინტერესის გაღვიძება და სტიმულირება შესაძენად. ბროშურაში ასევე შეიძლება ხაზგასმული იყოს შეფმზარეულისა და მომსახურე პერსონალის კვალიფიკაცია, კვების ობიექტის საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა.

ნებისმიერი ტურისტული ობიექტისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი საიდენტიფიკაციო ლოგო, სახელი და აბრა, რომელზედაც პირველი ორია გამოსახული.

შემთხვევითი მომხმარებლის მუდმივ მომხმარებლად გადაქცევა მისი მოლოდინის გადაჭარბებით არის შესაძლებელი. გაყიდვების წარმატებისთვის აუცილებელია კონკურენტების პოლიტიკის, ფასების, მომსახურების, მენიუს, ბეჭვდითი პროდუქციის დიზაინისა და სხვათა გაცნობა.

ტურისტულ სააგენტოებთან თანამშრომლობის დროს ხშირია მაგიდის დაჯავშნა ტელეფონის ან ელ–ფოსტის მეშვეობით. ამ შემთხვევაში ხდება მენიუს წინასწარ განსაზღვრა და ფასსა და დროზე შეთანხმება. შეკვეთის გაუქმებისას აუცილებელია რამდენიმე დღით ადრე ინფორმირება, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ანაზღაურდეს მიყენებული ზიანი. გარდა ამისა, საჭიროა მენეჯმენტის მხრიდან გაუქმების მიზეზის დადგენა და გათვალისწინება.

შეკვეთის მიცემა ხდება რამდენიმე დღით ადრე. ხშირად ობიექტს მუდმივი კლიენტებისთვის სპეციალურად შედგენილი სტანდარტული მენიუ აქვს მომზადებული, რომლის შედგენაზეც ხელშეკრულების გაფორმების დროს ორივე მხარე თანხმდება. გადახდა ხდება წინასწარ შეთანხმებული პირობების მიხედვით.

უფრო მარტივია არსებული კლიენტის შენარჩუნება, ვიდრე ახლის მოზიდვა, რადგან ეს უკანასკნელი უფრო მეტ ფინანსურ და ადამიანურ

რესურსს მოითხოვს. ამიტომ მნიშვნელოვანია არსებული კლიენტების საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათთან მუდმივი კავშირი, მათთვის პერიოდულად სიახლეების შეთავაზება/გაცნობა.

კეიტერინგი არის სხვადასხვა ღონისძიების დროს კვებითი მომსახურების ორგანიზება. საზოგადოებრივი კვება გასვლით ღონისძიებებზე მომხმარებელთა მომსახურებით, კვების სპეციალიზებულ საწარმოებს გარეთ ან ადგილზე.

კეიტერინგის მომსახურება ორი ტიპისაა:

• როცა კვების ობიექტი ამზადებს და ადგილზევე ხდება რეალიზება (მაგ. საბანკეტო მომსახურების დროს, კორპორატიული შეხვედრებისთვის);

• როცა რესტორნის გარეთ გადის მზა პროდუქცია (მაგ. ტრენინგებისთვის).

3.2.3 ადგილობრივი გამყოლი

გამყოლის პროფესია ტურიზმის დარგის ერთ–ერთი შემადგენელი ნაწილია. ეს პროფესია გულისხმობს ტურიზმით დაინტერესებული მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის სერვისის შეთავაზებას. გამყოლი უზრუნველყოფს ეკოტურისტული ჯგუფისთვის გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს. ის პასუხისმგებელია საქმიანობისას უსაფრთხოების სავალდებულო ზომების დაცვაზე, უსაფრთხოების ასპექტების გათვალისწინებაზე, ტურის მაღალპროფესიულ მომზადებაზე; გამყოლი ასევე იღებს პასუხისმგებლობას ტურის დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპზე. გამყოლის პირდაპირი მოვალეობა და პასუხისმგებლობა პირობითად შეიძლება დავყოთ ორ კატეგორიად, ესენია: უშუალოდ ეკოტურისტების მომსახურება და გარემოს დაცვაზე ორიენტირებული მომსახურება.

გამყოლი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ზედმიწევნით კარგად იცნობს გასავლელ მარშრუტს, ადგილის გეოგრაფიულ და გეოლოგიურ მახასიათებლებს, ადგილობრივ ფლორასა და ფაუნას, კლიმატსა და ადგილის სეზონურ თავისებურებებს, ეკოტურისტულ და აგრორესურსებს, ადგილის ისტორიასა და ისტორიულ ძეგლებს, ტრადიციებს, ლეგენდებს და სხვა.

ადგილობრივი გამყოლის კომპეტენციები

გამყოლი უნდა ფლობდეს მშობლიურის გარდა სხვა ენებსაც, ვინაიდან კომუნიკაცია გამყოლის ერთადერთი იარაღია. სასურველია სრულყოფილად ფლობდეს ენას, რომელზედაც მეტყველებს. გარდა საკომუნიკაციო ენისა, მნიშნელოვანია სხეულისა და ჟესტების ენის ფლობა, განსაკუთრებით განსხვავებული კულტურის ხალხთან ურთიერთობისას, რამეთუ ზოგიერთი ჟესტი ან მიმიკა შესაძლებელია არასწორად ან შეურაცხმყოფელადაც აღიქვან.

გამყოლს უნდა ჰქონდეს აქტუალური ინფორმაცია იმ გარემოს შესახებ, სადაც დაჰყავს ტურისტები. კერძოდ, ეკოტურისტულ მარშრუტზე გადაადგილების დროს უნდა შეეძლოს სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება კონკრეტული რეგიონის ეკოტურისტული რესურსის, ფლორისა და ფაუნის, ბიომრავალფეროვნების, კლიმატის, ისტორიულ–კულტურული ძეგლების შესახებ.

აგრეთვე, მას უნდა შეეძლოს განსხვავებულ რელიეფებზე გადაადგილება, იცოდეს სალაშქრო პროცესის თამიმდევრულ საფეხურებად დაყოფა და მართვა: ჯგუფის ხაზის განაწილება, ბანაკის ორგანიზება, კვების ორგანიზება, ტოპოგრაფიულ რუკაზე ორიენტირება, სანავიგაციო მოწყობილობებთან მუშაობა, კომპასის, GPS ხელსაწყოების გამოყენება, გარემოში ორიენტირება ბუნებრივი ორიენტირების მეშვეობით. მეტეოროლოგიური პირობებისა და მათი ცვლილებების ზემოქმედების შეფასება. ასევე სასურველია ჰქონდეს კულტურათაშორისი ცოდნა, რაც გულისხმობს სხვა ეროვნებისა და კულტურის, რელიგიური მრწამსის, სექსუალური ორიენტაციის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების მქონე ადამიანებთან დიპლომატიურ–უკომფლიქტო ურთიერთობას; უნდა შეეძლოს მშვიდი რეაგირება პირადად მისთვის მიუღებელ მოსაზრებებზე, საქციელსა თუ ქმედებებზე;

ის უნდა იცნობდეს გარემოსა და ტყის დაცვის საერთაშორისო კანონმდებლობასა და წესებს, კერძოდ: კანონს გარემოს და ტყის დაცვის შესახებ; კანონს დაცული ტერიტორიების შესახებ; საქართველოს წითელ ნუსხაში არსებული ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის შესახებ ინფორმაციას; კანონმდებლობას ბრაკონიერობის შესახებ და სხვა ნორმატიულ აქტებს;

ნებისმიერი მარშრუტი უნდა იყოს დაგეგმილი და განხორციელებული სრულყოფილად. იმ შემთხვევაში თუ ტურისტთა ჯგუფს არ ჰყავს თავისი ექსკურსიამძღოლი, გიდი ან ჯგუფის ლიდერი, მაშინ გამყოლმა უნდა შეძლოს სრულყოფილად დაგეგმოს, განახორციელოს და გაუძღვეს ჯგუფს.

ტურის მარშრუტის დაგეგმვას და განხორციელებას აქვს თავისი წესები, რომლებიც მოიცავს მარშრუტის განხორციელების ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტებს, როგორებიცაა:

• ტურის მიზნისა და მარშრუტის სირთულის განსაზღვრა მომხმარებლის

ინტერესიდან და სეზონიდან გამომდინარე;

• დაწყება–დასრულების თარიღების განსაზღვრა;

• ყოველი დღის კილომეტრაჟის, სვლის ხანგრძლივობის განსაზღვრა რელიეფისა და სეზონის გათვალისწინებით;

• ბანაკის მართებულად უსაფრთხოდ გაშლა, კვების რაციონისა და შესვენების ადგილის / საათების, სიარულის ტემპისა და მეთოდის რეგულირება გარემო პირობებიდან გამომდინარე;

• აღჭურვილობის მომზადება/მომარაგება ჯგუფის წევრთა რაოდენობიდან და მათი ფიზიკური მომზადებულობიდან გამომდინარე;

• საკვების მომარაგება ჯგუფის რაოდენობიდან და მარშრუტის ხანგრძლივობიდან გამომდინარე;

• პირველი სამედიცინო აღმოჩენისთვის საჭირო მედიკამენტების მომარაგება და საჭირო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა საჭიროებისამებრ;

• გამყოლს უნდა ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია სანადირო / სათევზაო სეზონის და ადგილების შესახებ, ფრინველებზე და სხვა ფაუნის წარმომადგენელთა ქცევაზე დაკვირვების სეზონურობაზე.

გამყოლს უნდა ჰქონდეს ცოდნა ბუნებრივ ექსტრემალურ პირობებში სწრაფი რეაგირებისათვის. მან უნდა შეძლოს ბუნებრივ–მეტეოროლოგიური მოსალოდნელი საშიშროებების განჭვრეტა – გათვალისწინება, მეტეოროლოგიური პირობების განვითარება/ცვლილების მიხედვით უსაფრთხოების შესაბამისი ზომების მიღება, იგულისხმება: ბუნებრივი სტიქია, ამინდის მკვეთრი გაუარესება, ეპიდემია, ალერგიული გამოვლინებები, მცენარეულობით ან საკვებით მოწამვლა, მტაცებელი, შხამიანი ცხოველების ან ქვეწარმავლების საბინადრო ადგილების გვერდის ავლა, ასევე მტაცებლებთან შეხვედრისას მართებული რეაგირება, რაც არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს მათ ლიკვიდაციას. უნდა ჰქონდეს ინფორმაცია ბუნებაში უსაფრთხო გადაადგილებისა და ქცევის ნორმების შესახებ, რაც ეკოტურიზმის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ბუნება არ უნდა დანაგვიანდეს არავითარი ბუნებრივად არახრწნადი პროდუქტით. იგულისხმება ისეთი ნივთები, როგორებიცაა: პლასტმასი, რეზინი, ცელოფანი, რკინა, შუშა, ქაღალდი, საკვების ნარჩენები, პირადი ჰიგიენის ნივთები და სხვა.

ფლორასა და ფაუნაზე არ უნდა მოხდეს მავნე ზემოქმედება, არ შეიძლება მცენარეთა დაზიანება, მცენარეების უკონტროლო და უმიზნო შეგროვება, ფესვების დაზიანება, შეშისთვის შეიძლება მხოლოდ ჩამოცვენილი ტოტების და გამხმარი ბალახის მოგროვება;

არ შეიძლება ბუნებაში ან წყლის ნებისმიერ რესურსში ქიმიკატების გადაღვრა – დაბინძურება (იგულისხმება სარეცხი ან დასაბანი საშუალებები), განსაკუთრებით კი ფოსფორის შემცველი სარეცხი საშუალებები;

არ შეიძლება ტუალეტის ნარჩენების მიწის ზედაპირზე დატოვება, ისინი უნდა ჩაიმარხოს 20 სმ–ის მცირე ორმოში, გამოყენებული ჰიგიენის ნივთები უნდა მოგროვდეს ცალკე ჰერმეტულ კონტეინერში და მოთავსდეს სხვა ნაგავთან ერთად.

არ შეიძლება საჭმლის ნარჩენების დატოვება ბუნებაში და მითუმეტეს ცხოველებისთვის (ცხოველებს აქვთ თავიანთი კვების წესი და რაციონი, საჭმლის დატოვებით შეიძლება მიიპყროთ მტაცებელი ცხოველის ყურადღება).

არ არის სასურველი ნაგვისა და ნარჩენების ლიკვიდაცია დაწვის საშუალებით, ასეთ შემთხვევაში ზიანდება ნიადაგი, წვის შედეგად კი გამოიყოფა მომწამლავი აირები. არაბუნებრივი/არახრწნადი წარმოშობის პროდუქტის ბუნებაში დატოვებით, მიწაში ჩაფვლით, ჰაერში გაფანტვით/დაწვით, გამოუსწორებელ ზიანს ვაყენებთ ცოცხალ ეკოსისტემებს, ნიადაგს, წყალს, ჰაერს, ცხოველთა და ადამიანთა სამყაროს.

ბუნების მოყვარულ ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ არსებობს წითელი წიგნის ნუსხაში შესული ფლორისა და ფაუნის მრავალი სახეობის სია, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალიან ბევრი სახეობა უკვე იმყოფება გადაშენების საფრთხის ქვეშ, ხოლო დაუდევარი და უყურადღებო ქცევით ჩვენ დავაჩქარებთ უნიკალური სახეობების სამუდამოდ გაქრობის პროცესს.

გამყოლის ინიციატივით ყოველი ბანაკის დაშლისას ტერიტორია უნდა დარჩეს იმაზე მეტად სუფთა, ვიდრე დაგხვდათ; სავალდებულოა გამყოლს ჰქონდეს პირველადი სამედიცინო დახმარების ცოდნა და მისი აღმოჩენის უნარი.

ნებისმიერ ტურისტულ მარშრუტზე არავინ არ არის დაზღვეული გაუთვალისწინებელი მოვლენებისგან, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენონ მოლაშქრეების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ზიანის თავიდან აცილების მიზნით, პირველ რიგში მარშრუტზე გასვლამდე სასურველია დადგინდეს მოლაშქრეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, ფიზიკური მზადყოფნა; გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც ადამიანს ესაჭიროება საათობრივი კვება ან მედიკამენტების მიღება; ასევე გასათვალისწინებელია ალერგიულობა საკვები პროდუქტის თუ მედიკამენტის მიმართ და რელიგიურ–კულტურული შეხედულებებიდან გამომდინარე კონკრეტულ საკვებსა თუ სასმელზე შეზღუდვები.

პრაქტიკული რჩევები ბუნების ინტერპრეტაციისათვის

იყავი საიმედო გამყოლი და საინტერესო მთხრობელი

• ტურის დასაწყისში ახსენით ტურის მიმართულება რუკის დახმარებით. საერთო მანძილი და ხანგრძლივობა, ასევე შესასვენებელი ადგილები;

• შეამოწმეთ მონაწილეთა აღჭურვილობა და ჩაცმულობა შეესაბამება თუ არა ტურის შინაარსს (მაგ. ფეხსაცმელი);
• შეარჩიეთ სიარულის ისეთი ტემპი, რომ ყველაზე ნელმა მონაწილემაც კი კომფორტულად იგრძნოს თავი;
• დადექით ყოველთვის ჯგუფისკენ პირით, როცა ჯგუფს მიმართავთ და ესაუბრეთ ობიექტის შესახებ, როდესაც მისი დანახვა შეგიძლიათ; თქვენი საუბარი უნდა იყოს ზომიერად ხმამაღალი და მკაფიო;
• შესთავაზეთ ხერხები თუ როგორ შეიძლება შეიმეცნონ ან შეიგრძნონ ბუნება, მაგალითად: დახუჭეთ თვალები, ღრმად ისუნთქეთ და მითხარით რომელი მცენარის სურნელი იგრძენით“ ან “აბა თუ მეტყვით რამდენი სახეობის ჩიტი ჭიკჭიკებს?“
• ჩართეთ ტურისტები ინტერპრეტაციის პროცესში, ისინი მთელი გულით და სულით მიიღებენ მონაწილეობას (მაგ. დამეხმარეთ სინდიოფალას სოროს პოვნაში);
• დააკავშირეთ ფაქტი მნიშვნელობასთან: ფაქტი ინფორმაციას გვაწვდის, მნიშვნელობას კი ბევრად უფრო ღრმად ჩავყავართ მოვლენის ემოციურ არსში და გვარწმუნებს, რომ პატივი უნდა ვცეთ ბუნებრივ რესურსებს[11].
ტურის შინაარსს (მაგ. ფეხსაცმელი);

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხე შეიძლება შექმნას ზედმეტმა გადაღლილობამ, რთულმა ბუნებრივ–მეტეოროლოგიურმა პირობებმა, საშიშ მცენარეებთან და ცხოველებთან კონტაქტმა, არასწორად შედგენილმა ტურმა, რის შედეგადაც შეიძლება მივიღოთ დეჰიდრატაცია, გადახურება, მზის დარტყმა, მოყინვა, დამწვრობა და სხვა.

[11] სილვია მონთაგი– ორგანიზებული ტური და ბუნების ინტერპრეტაცია.

3.2.4 აგრომეურნეობა

აგროტურიზმი ტურიზმის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც ვიზიტორებს სთავაზობს ისეთ საოჯახო სახლებში განთავსებას, სადაც მასპინძელს საკუთარი მეურნეობა აქვს და ტურისტებს ადგილობრივ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს და დამატებით ეკოტურისტულ აქტივობებს სთავაზობს.

აგროტურიზმს ზოგჯერ სოფლის ტურიზმს, ფერმერულ ტურიზმს ან ბუნების ტურიზმსაც უწოდებენ. მისი მთავარი ტურისტული მიმზიდველობა ტრადიციული გლეხური/ფერმერული მეურნეობაა. მეურნეობაში ადგილზე იწარმოება პროდუქტის 40 % და შენარჩუნებულია პროდუქტების წარმოებისა და შენახვის ტრადიციული ტექნოლოგიები.

სოფლად ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ–ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებას. აგროტურიზმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მცირე მეურნეობებისთვის, რომლებიც სავარგულების სიმცირის და სხვათა გამო კონკურენციას ვერ უწევენ მსხვილ ფერმერებს. დამატებითი ღირებულებების შექმნის პროცესი მოიცავს სოფლად ტრადიციული პროდუქტის წარმოებას, მის საკვებად გადამუშავებას და სტუმრების გამასპინძლებას.

აგროტურიზმის შემადგენელი ძირითადი კომპონენტებია: მეურნეობა, ადგილობრივი მოსახლეობა, ეკოლოგიური პროდუქტი და ტურისტის მონაწილეობა სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში, რაც გულისხმობს რთველში მონაწილეობას, ყურძნის დაწურვას, ჩურჩხელების ამოვლებას, თონეში პურის ჩაკვრას, ყველის ამოყვანას, თაფლის ამოღებას და ა.შ.

აგროტურისტული საქმიანობის დაწყებამდე სასურველია შეამოწმოთ საკუთარი შესაძლებლობები შემდეგი კითხვების მეშვეობით, რაც დაგეხმარებათ ვითარების ობიექტურ შეფასებაში, მზად ხართ თუ არა ტურისტული მეურნეობის დასაწყებად:

• ხართ თუ არა კომუნიკაბელური, შეგიძლიათ თუ არა სხვისი მოთხოვნის გათვალისწინება, გაქვთ თუ არა მოსმენის, პრეტენზიების მიღების უნარი;
• როგორია თქვენი ფიზიკური მდგომარეობა;
• გაწუხებთ თუ არა უცხო ადამიანის ყოფნა თქვენს კარ–მიდამოში;
• შეგიძლიათ თუ არა შეაფასოთ თქვენი ბიზნეს საქმიანობის ფინანსური მხარე – ხარჯი, მოგება, წაგება;

• იცავთ თუ არა ჰიგიენურ ნორმებს, ინარჩუნებთ სისუფთავეს და წესრიგს თქვენს მეურნეობაში;

• მოგწონთ და გეხერხებათ თუ არა კერძების მომზადება;

• ფლობთ თუ არა რომელიმე უცხო ენას სალაპარაკო დონეზე;

გარე ფაქტორების შესაფასებლად მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების გაანალიზება:

• სად მდებარეობს მეურნეობა, სოფლის ცენტრში თუ განაპირას;

• როგორი ლანდშაფტია მეურნეობის ირგვლივ. არის თუ არა ბუნებრივი და კულტურული რესურსები;

• როგორია საერთო ინფრასტრუქტურული დონე, გზების მდგომარეობა, არის თუ არა კანალიზაცია, გააქვთ თუ არა ნაგავი;

• იმართება თუ არა რეგიონში კულტურული ღონისძიებები;

• როგორია ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ტურისტების მიმართ.

შიდა და გარე ფაქტორების შეფასება გვაძლევს საშუალებას სწორად განვსაზღვროთ რა ტურისტული მომსახურებების შეთავაზება შეგვიძლია მიზნობრივი სეგმენტისთვის, ვინ შეიძლება ქმნიდეს აგროტურისტული მეურნეობების მიზნობრივ ჯგუფებს:

• **ტურისტები, რომელთაც ჰყავთ პატარა ბავშვები.** აღნიშნული მიზნობრივი ჯგუფის შეთავაზებაში უნდა იყოს ეზოში ქვიშის მოედნები და შინაურ ცხოველებთან ურთიერთობისას უსაფრთხოების ნორმები დაცული;

• **ეკოტურისტები** დიდ ყურადღებას აქცევენ გარემო პირობების დაცვას (როგორც გარეთ, ასევე მეურნეობაში). ინტერესდებიან ადგილობრივების ცხოვრებით, სოფლის მეურნეობით. სარგებლობენ ადგილორივი პროდუქტით.

• **მეგობართა ჯგუფები (შიდა ტურისტები).** ესენი არიან ძირითადად ახალგაზრდა ტურისტები, რომელთაც სურთ შაბათ–კვირის გატარება მეგობრებთან ერთად ჩვეული საცხოვრებელი გარემოდან გარეთ. მათ იზიდავთ აქტიური დასვენება, გართობა.

3.2.5 ტრადიციული რეწვის ბიზნესი

ქართული ხალხური რეწვის განვითარებას მდიდარი საუკუნოვანი ტრადიციები აქვს. დღეს ტრადიციული რეწვის სექტორს დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის დიდი პოტენციალი აქვს, რაც ხელს უწყობს რეწვის ტრადიციების შენარჩუნებასა და რეგიონებში დარგის ეკონომიკურ განვითარებას.

რეწვის ოსტატმა, ბიზნესის დაწყებამდე უნდა განსაზღვროს შემდეგი საკითხები:

• **რა ტიპის პროდუქციის წარმოებას გეგმავს** (ტექნოლოგია, პროდუქციის მხატვრული ღირებულება და ფუნქიური დანიშნულება);

• **როგორი იქნება ბიზნესის მასშტაბი** (სახელოსნოს ან საწარმოს ამუშავებას ვგეგმავთ თუ გვირჩევნია ინდივიდუალური ან საოჯახო ბიზნესის შექმნა);

• **სად განთავსდება წარმოება** (ადგილმდებარეობის შერჩევა, ეს იქნება საკუთარ სახლში განთავსებული თუ ტურისტულად მიმზიდველ უბანში);

• **ვინ იქნება მომხმარებელი** (ტურისტები, მაღაზიები, გალერეები).

დახლებზე პროდუქციის განლაგების მეთოდები

პროდუქციის სწორი ექსპონირება მისი რეალიზაციის წინაპირობაა. მიმზიდველი ექსპოზიციის მოსაწყობად სასურველია პროდუქციის ერთ სიბრტყეში განთავსება უკეთესი აღქმისთვის. დახლის ან კუთხის მოწყობისას ტურისტის ყურადღების მისაქცევად უმჯობესია გამოყენებული იყოს ბუნებრივი მასალისგან (ხე, მინა, წნული) დამზადებული თაროები და საკიდები. ამასთან ექსპოზიცია უნდა იყოს განათებული დღის და ხელოვნური განათებით. თითოეულ ნაკეთობას უნდა ჰქონდეს მითითებული ფასი[12].

[12] „როგორ ვაქციოთ ტრადიციული რეწვა ბიზნესად.“ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, ტრადიციული რეწვი ასოციაცია. თბილისი 2015.

4 ეკოტურისტული საქმიანობის დაწყება

ეკოტურისტული საქმიანობის წამოწყებისთვის აუცილებელია მეწარმე სუბიექტად რეგისტრაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში;

უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ეკოტურისტული საქმიანობის მიმართულებები: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სახელმძღვანელოში („სახელმძღვანელო შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად“) ტურისტულ სუბიექტად მიჩნეულია ტურისტული სააგენტო, განთავსების ობიექტი, კვების ობიექტი; ეკოტურისტული პროფილის მქონე საწარმო შეიძლება იყოს ცხენების გამქირავებელი, ნავების გამქირავებელი, გამყოლი და ა.შ.

ძირეულად განსხვავდება ორი ტიპის მეწარმე სუბიექტი:

1. ინდივიდუალური მეწარმე (ფიზიკური პირი)
2. იურიდიული პირი შემდეგი ფორმებით:

ა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – შპს;

ბ. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება – სპს;

გ. კომანდიტური საზოგადოება – კს;

დ. სააქციო საზოგადოება – სს;

ე. კოოპერატივი.

ვინაიდან ეკოტურისტული საქმიანობა ძირითადად მცირე საწარმოების კატეგორიას მოიცვას, შემდგომ განვიხილავთ ორი ტიპის საწარმოს რეგისტრაციას.

4.1 ინდივიდუალური მეწარმე

ინდივიდუალური მეწარმე არის ფიზიკური პირი, რომელიც არეგისტრირებს საკუთარ სამეწარმეო საქმიანობას და თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად მთელი თავისი ქონებით[13]. რეგისტრაცია შესაძლებელია იუსტიციის სახლში შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე:

[13] საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ – https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408

• განცხადება (ივსება ფრონტ ოფისის ოპერატორის მიერ);

• პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

• სარეგისტრაციო მომსახურების ქვითარი (საფასურის გადახდა შესაძლებელია ადგილზე).

რეგისტრაციის საფასური:

ჩვეულებრივი წარმოება (1 დღე)	დაჩქარებული წარმოება (იმავე დღეს)
20 ₾	50₾

ასეთი ტიპის საწარმო საქმიანობის წარმართვის ყველაზე მარტივი ფორმაა. მეწარმე სუბიექტი იღებს გადაწყვეტილებებს ფასწარმოქმნის შესახებ, განკარგავს მატერიალურ ფონდებს, ერთპიროვნულად განაგებს მიღებულ შემოსავლებს, ამასთანავე მას აკისრია შეუზღუდავი მატერიალური პასუხისმგებლობა და პასუხს აგებს ვალდებულებებზე მთელი თავისი ქონებით.

ინდივიდუალური საწარმოს არსებობის შემთხვევაში საგადასახადო შეღავათების სარგებლობისათვის მეწარმე ფიზიკურ პირს შეუძლია მიმართოს ადგილობრივ საგადასახადო ორგანოს მცირე ბიზნესის ან მიკრობიზნესის სტატუსის მისაღებად.

მიკრობიზნესის სტატუსი გულისხმობს ფიზიკურ პირს, რომელიც დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 ათას ლარს. ასეთი ტიპის სტატუსი თავისუფლად შეიძლება მიენიჭოს ისეთ საწარმოს, რომელიც ახორციელებს ცხენით ან ტრანსპორტით მომსახურებას, ასევე დაკავებულია, როგორც ადგილობრივი გიდი. ამ სტატუსის მქონე მეწარმეები არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს და ასევე გათავისუფლებულები არიან სალარო აპარატის მოხმარების ვალდებულებისაგან.

მცირე ბიზნესის სტატუსი გულისხმობს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 ათას ლარს[14] და იგი იბეგრება საშემოსავლო 5%-ით;

მცირე ბიზნესის შემოსავალი იბეგრება 3%-ით, თუ:

• მცირე მეწარმეს აქვს ერთობლივი შემოსავლის 60%-ის ოდენობის

[14] საქართველოსკანონი "საგადასახადო კოდექსი"

ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები;

• მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი საქმიანობს მხოლოდ სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე[15].“

4.2 კერძო სამართლის იურიდიული პირი – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) მეწარმე იურიდიული პირის ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. იგი იქმნება პარტნიორების კაპიტალის გაერთიანების შედეგად და შეიძლება დააარსოს, როგორც იურიდიულმა, ასევე ფიზიკურმა პირმაც. შპს–ს, როგორც იურიდიულ პირს, თავად გააჩნია საწესდებო კაპიტალი, რომლითაც პასუხისმგებელია კრედიტორების წინაშე. წარმოების შექმნის ძირითადი მიზეზიც ეს არის. კონკრეტული ვალდებულებების შემთხვევაში შპს–ს დამფუძნებელთა პირადი კაპიტალი ხელუხლებელი რჩება. შპს–ს რეგისტრაცია, ისევე როგორც ინდივიდუალური მეწარმის, შესაძლებელია იუსტიციის სახლში შემდეგი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე[16]:

• ყველა დამფუძნებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ასლი;

• სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენთ დამფუძნებელთა წარმომადგენელს;

• თუ შპს–ს დასარეგისტრირებლად მითითებული მისამართი არ არის დამფუძნებელთაგან არც ერთის საკუთრება, მაშინ წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნულ მისამართზე არსებული უძრავი ქონების მფლობელის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა მის სარგებლობაზე (ქირაობა, იჯარა ან სხვ.);

• სათანადო წესით დამოწმებული წესდება/პარტნიორთა შეთანხმება (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის)[17] ;

• აუცილებელია ელფოსტის მითითება;

• მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი

[15] გზამკვლევი „როგორ დავიწყო ბიზნესი“ გვ. 8

[16] http://psh.gov.ge/main/page/2/85

[17] http://new.napr.gov.ge/p/352

შპს–ს რეგისტრაციის საფასური:

ჩვეულებრივი წარმოება (1 დღე)	დაჩქარებული წარმოება (იმავე დღეს)
100 ₾	200₾

შპს–ს წესდების მიხედვით მართავს ორი დამოუკიდებელი ორგანო: პარტნიორთა კრება და დირექტორატი. პარტნიორთა კრება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა, რომელიც სულ ცოტა წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარდეს, რათა მიიღონ ყოველწლიური გადაწყვეტილებები.

შპს–ში დასაქმებულთა ხელფასებიდან საშემოსავლო გადასახადი თანხის 20%–ს შეადგენს, ხოლო წლის ბოლოს წლიური ბალანსის საფუძველზე საგადასახადო განაკვეთი შპს–სთვის ფიქსირებულია და შეადგენს 15 %–ს. თუ წლიური ბრუნვა 100 000 ₾ –ს გადააჭარბებს, მაშინ შპს ხდება დამატებითი ღირებულების გადამხდელი და ყოველთვიურად უნდა გადაიხადოს 18 %.

ასევე გასათვალისწინებელია ზოგადად ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით არსებული საგადასახადო შეღავათები, ძირითადად საქართველოს საგადასახადო კოდექსის შემდეგი მუხლები: 26, 82, 99, 133, 168, 206 და რიგი შემთხვევები, სადაც ტურისტული საწარმო, ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტი განთავისუფლებულია რიგი გადასახადებისგან.

ამ სახელმძღვანელოში ვერ მოხდება საგადასახადო კოდექსის სრული ანალიზი. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მათგანი, რომლებიც გარკვეულწილად მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ფასზე.

ტურისტული კომპანიებისათვის:

დამატებითი ღირებულების გადასახადების ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულია:

ა) ტუროპერატორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტულ ობიექტებში უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდება[18];

ბ) ტურისტული პაკეტი გულისხმობს მინიმუმ 3 მომსახურებას, მაგალითად, განთავსება, გამყოლი, ტრანსპორტი.

[18] საქართველოს საგადასახადო კოდექსი: 168–ე მუხლი. მეოთხე პუნქტი, ჟ ქვეპუნქტი.

4.3 SWOT ანალიზი

მთელ მსოფლიოში აქტიურად გამოიყენება ანალიზის მეთოდი, რომლის დახმარებითაც ტურიზმის ინდუსტრიაში ამა თუ იმ კუთხით ჩართული პირი გამოავლენს მისთვის საინტერესო ობიექტის/პროცესის უპირატესობებსა და ხარვეზებს. SWOT – აბრევიატურა ასე განიმარტება – S (Strengths) – ძლიერი მხარე, W (Weaknesses) – სუსტი მხარე, O (Opportunities) – შესაძლებლობები, T (Threats) – საფრთხეები. თითოეული მახასიათებლის მიხედვით ანალიზის განხორციელება განსაკუთრებით ეფექტურია ტურისტული რეგიონისთვის ან ქვეყნისთვის. ანალიზის განხორციელებისას პასუხი უნდა გაეცეს კითხვების ორ ჯგუფს: კითხვების პირველი ჯგუფი ეხება შიდა ფაქტორებს, რომლის დროსაც განიხილება ძლიერი და სუსტი მხარეები; ხოლო მეორე ჯგუფი განიხილავს გარე ფაქტორებს – შესაძლებლობებს და საფრთხეებს. საკითხის უკეთ გასააზრებლად იხ. ცხრილი 3.

ცხრილი 3: SWOT ანალიზის ნიმუში

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, რა უპირატესობებს ფლობს ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი, აქცენტით შიდა სუბიექტურ ფაქტორებზე. ძლიერ მხარეებად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგალითად: • გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • გამორჩეული კომპეტენცია; • სათანადო რესურსების ფლობა (ბუნებრივი/ ორგანიზაციული / ადამიანური / ფინანსური და ა.შ.) • წარმოების მოცულობა (წარმადობა); • კარგი იმიჯი; • ბაზარზე ლიდერობა; • დაბალი დანახარჯები; • დარგში დაგროვილი გამოცდილება; • კარგი სარეკლამო კამპანია; • ძლიერი მენეჯმენტი	ობიექტურად უნდა შეფასდეს პოზიცია და გამოვლინდეს ასეთი ფაქტორები და მათი გამომწვევი ძირითადი მიზეზები. ეს ქმნის შესაძლებლობას შედგეს სწორი განვითარების გეგმა. სუსტ მხარეებად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგალითად: • საჭირო კომპეტენციების / გამოცდილების არ ქონა; • ბუნდოვანი სტრატეგია; • მოძველებული ინფრასტრუქტურა • სუსტი მენეჯმენტი; • შიდა ორგანიზაციული პრობლემები; • შეზღუდული ასორტიმენტი; • არასახარბიელო იმიჯი მომხმარებლის თვალში; • სუსტად განვითარებული დისტრიბუციის ქსელი.

შესაძლებლობები	საფრთხეები
ორიენტაცია მომავალი სამოქმედო გეგმისათვის. აქცენტი კეთდება მაკრო (გარე) გარემოზე. გამოსავლენია რა ცვლილებები შეიძლება მოხდეს, რაც ხელს შეუწყობს საქმიანობის განვითარებას გარკვეული მიმართულებით; მნიშვნელოვანია დაგეგმვა სწორედ შესაძლებლობებზე აიგოს, რომელიც მომავალში ტურისტული მომსახურების მიმწოდებლის ძლიერ მხარედ იქცევა. შესაძლებლობები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით: • დონორი / არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ტექნიკური / ფინანსური დახმარება; • უფასო ტრენინგები და კონსულტაციები; • ადგილობრივი წარმოების ხელშემწყობი პროგრამები; • საგადასახადო შეღავათები; • საქართველოს, როგორც უნიკალური ტურისტული დანიშნულების ადგილის იმიჯის დამკვიდრება საერთაშორისო ბაზრებზე; • შიდა ტურიზმის გააქტიურება; • რეგიონის შესახებ ცნობადობის ზრდა; • ბიზნეს გარემოს ხელშემწყობი/ წამახალისებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება ეროვნულ / ადგილობრივ დონეზე;	ამ შემთხვევაშიც საუბარია მომავლის პროგნოზირებაზე, თუ რა საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ მაკრო (გარე) გარემოს გავლენის შედეგად. ასეთი ანალიზი არის სიგნალი იმისა თუ რა მიმართულებით არ უნდა გაიშალოს საქმიანობა, რათა გარკვეულ მომენტში სუსტი მხარეების რიცხვმა არ იმატოს და შესაბამისად პირი/ორგანიზაცია არ დადგეს ძირეული პრობლემების წინაშე. საფრთხეები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით: • ახალი ძლიერი კონკურენტების შემოსვლა ბაზარზე; • მკაცრი მარეგულირებელი მოთხოვნების /ზომების დაწესება; • ეკონომიკური კრიზისი; • პოლიტიკური კრიზისი; • ბუნებრივი კატაკლიზმები;

ცხრილი ეფუძნება ტრენინგებზე გამოყენებულ თეორიულ მასალას

ტურისტულ ბაზარზე გაზრდილმა კონკურენციამ და ხარისხიანი მომსახურების მიღების მოთხოვნამ წარმოქმნა კვალიფიციური კადრების საჭიროება. შესაბამისად საწარმოს სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კვალიფიციურად იქნება შესრულებული ესა თუ ის საქმე.

საწარმოს გრძელვადიანი გეგმების მისაღწევად ერთიანი მოწესრიგებული საკადრო სისტემის შექმნისთვის მნიშვნელოვანია მისი შემადგენელი ელემენტების გააზრება, კერძოდ, საკადრო პოლიტიკა, საკადრო სტრატეგია და საკადრო დაგეგმარება.

საკადრო პოლიტიკა განსაზღვრავს თუ რა საწარმოო კოლექტივი ესაჭიროება ორგანიზაციას და როგორ უნდა იმუშაოს მასთან ორგანიზებულად, რათა საწარმომ წარმატებით განახორციელოს საკუთარი გეგმები;

საკადრო სტრატეგია, თავის მხრივ, აღწერს მეთოდებს, რომელთა დახმარებითაც საწარმო შეძლებს საჭირო პერსონალის მოზიდვას;

საკადრო დაგეგმარება წარმოადგენს გარკვეულ ღონისძიებათა კომპლექსს, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია საკადრო პოლიტიკის განხორციელება საკადრო სტრატეგიაში ჩამოყალიბებული მეთოდებით.

პრაქტიკაში გამოყენებადი საკადრო უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- პერსონალის საჭიროების დადგენა (რა ტიპის კადრი სჭირდება ამა თუ იმ საწარმოს);
- პერსონალის შერჩევა და აყვანა (მათ შორის გათავისუფლებაც);
- პერსონალის განვითარება (განათლება, კვალიფიკაციის ამაღლება);
- პერსონალის გადანაწილება (პოზიციების მიხედვით) და შეფასება.

დიაგრამა 1: საკადრო უზრუნველყოფის სისტემა



აღნიშნული დიაგრამა ემსახურება კონკრეტული კადრის მიერ კონკრეტულ პოზიციაზე დასაკმაყოფილებელი პირობების დადგენას, თუმცა, ამასთანავე, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შრომის კანონმდებლობით დადგენილი პირობები.

შრომითი ურთიერთობა არის დაქირავებულის მიერ დამქირავებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ, რომლის იურიდიული ფორმაა შრომითი ნორმირებული სამუშაო. დროის ხანგრძლივობა გაწერილია კანონმდებლობით და განისაზღვრება კვირაში 40 საათით.

მოტივაციის სისტემის ფორმირება

ორგანიზაციული კულტურა დიდ გავლენას ახდენს საწარმოს ეფექტურ მუშაობაზე, ასევე ცალკეულ ინდივიდებზე პროდუქტიულობაზე, ორგანიზაციის ცხოვრების უმეტეს ასპექტებზე, როგორებიცაა: გადაწყვეტილების მიღება, თანამშრომელთა დაჯილდოვება, წვრთნა, დაწინაურება, თუ როგორ

რეაგირებს ორგანიზაცია გარემოზე და ა.შ. ხოლო ორგანიზაციული კლიმატი განსაზღვრავს თანამშრომელთა მოტივაციას, რაც, თავის მხრივ, ორგანიზაციის წარმატების წინაპირობაა[19].

ეკოტურისტული საქმიანობის წარმართვისას დასაქმებულთა შერჩევა/აყვანამდე მნიშვნელოვანია სხვადასხვა მომსახურების პერსონალის ტიპების ცოდნა. განვიხილოთ განთავსების ობიექტის (საოჯახო სასტუმროს) და კვების ობიექტის გამართულად ფუნქციონირებისთვის საჭირო პერსონალის ტიპები, თემატურად შევეხებით გამყოლს, თუმცა მისი კომპეტენციები უფრო დეტალურად არის განხილული ზემოთ, მესამე თავში.

ძირითადად სასტუმროში დასაქმებული ადამიანებით განისაზღვრება კლიენტის დამოკიდებულება დაწესებულების მიმართ, იქნება ეს უარყოფითი თუ დადებითი შეფასება. ყველაზე გავრცელებულ თანამდებობებს შორის მსხვილ სასტუმროებში გამოყოფენ: კონსიერჟის, პორტიეს, დამლაგებლის, ტექნიკოსის, მზარეულის, მიმტანის, დაცვის თანამშრომლის და სასტუმროს მენეჯერის თანამდებობებს. შესაბამისი მომსახურების არსებობის შემთხვევაში მსხვილ სასტუმროებში მუდმივ პოზიციაზე ,აგრეთვე, აჰყავთ, მაგ.: ანიმატორები, სამედიცინო პერსონალი, მასაჟისტები, კრუპიე. პერსონალის რაოდენობა დამოკიდებულია სასტუმროს მოცულობასა და მომსახურების მრავალფეროვნებაზე. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციით მომსახურე პერსონალის ოპტიმალური რაოდენობებია: 3 ვარსკვლავიან (10 ნომრიან) სასტუმროში – 8, 4 ვარსკვლავიანში – 12, ხოლო 5 ვარსკვლავიანში – 20 ადამიანი. ინდივიდუალურია დასაქმებულთა ანაზღაურებაც, რომელიც დამოკიდებულია გამოცდილებაზე, დატვირთვასა და სხვა ფაქტორებზე.

განთავსების ობიექტებისგან განსხვავებით კვებითი მომსახურებით დაკავებულ საწარმოში მზარეულთა და მიმტანთა რაოდენობა საჭიროებისამებრ რამდენჯერმეა გაზრდილი. თუმცა აქაც საჭიროა დამლაგებლის, ტექნიკოსისა და დაცვის თანამშრომლის ყოლა. ამასთან დამატებითი მომსახურებების შეთავაზებისთვის სხვადასხვა კლასის კვების ობიექტებში ქირაობენ სომელიეს, ბარმენს, ანიმატორებს (მომღერლები, მუსიკოსები).

კვების ობიექტის სამზარეულოში მომუშავეთათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი კერძების მომზადების უბადლო ცოდნა, ამასთან უნდა ფლობდნენ სტრესულ გარემოში მუშაობისა და პუნქტუალურობის უნარ-ჩვევებს. სასურველია უცხო ენის ცოდნა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის.

[19] Roger Harrison, Herb Stokes "Diagnosing organizational culture", Pfeiffer & Co., 1992.

კვების ობიექტის კარგი იმიჯის შექმნაში მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა მიმტანებს აკისრიათ. მათი კეთილგანწყობა და სტუმართან ურთიერთობის მთავარი პრინციპების დაცვა სამუშაოზე აყვანის/შერჩევის წინაპირობას წარმოადგენს. აგრეთვე, აუცილებელია ობიექტზე მომუშავე ყველა მიმტანი სრულად იცნობდეს სტუმრებისთვის შეთავაზებულ მენიუს და ინგრედიენტებს, რისგანაც კერძებია მომზადებული.

გამყოლი, როგორც ტურისტულ მომსახურებაში ჩართული პირი, შეიძლება იყოს დაქირავებული (სრულ ან ნახევარ განაკვეთზე) ან თვითდასაქმებული (ინდივიდუალურად). თუმცა ორივე შემთხვევაში მათ მიმართ მოთხოვნები იდენტურია. ამასთან გამყოლების დაქირავებისას გასათვალისწინებელია, რომ ტურისტების რაოდენობა ერთ გიდზე განისაზღვრება მარშრუტის სირთულის მიხედვით:

- სათავგადასავლო–ექსტრემალური ეკოტური –1 გიდი/5 ტურისტი;
- ბუნების ისტორიისა და სამეცნიერო ეკოტური – 1 გიდი/10–20 ტურისტი;
- ეკოტური დაცულ ტერიტორიაზე – 1 გიდი/8 ტურისტი.

ეკოტურისტული მარშრუტების გამყოლის აუცილებელი უნარ–ჩვევები:

1. სპეციალიზებული აღჭურვილობის ფლობა, ტურისტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა;
2. ადამიანებთან ურთიერთობის ფსიქოლოგიური უნარების ფლობა, კოლექტივის შეკვრა, ლიდერის თვისებები და სხვა;
3. ბუნებრივ გარემოში ორიენტირების უბადლო უნარი, ამასთან, კარგი ფიზიკური მომზადება და გამძლეობა;
4. ბუნებრივი და ანთროპოგენური რესურსების ცოდნა, ამასთან, ეკოლოგიური, თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ფლობა;
5. ინფორმაციის გადმოცემის კარგი უნარი, აუდიტორიის დაინტერესება (ობიექტის ინტერპრეტაციის მეთოდის გამოყენება);
6. უცხო ენების ცოდნა.

6 მარკეტინგული სტრატეგია

მარკეტინგი არის ადამიანური ძალისხმევის სახეობა, რომელიც მიმართულია გამოავლინოს და გაცვლის გზით დააკმაყოფილოს ადამიანთა საჭიროებები და მოთხოვნილებები.

მარკეტინგის კომპლექსის ძირითადი ინსტრუმენტებია: პროდუქტი, ადგილი, ბაზარზე წარმოჩენა და ფასი, რომელიც 4P-ს სახელით არის ცნობილი. ამ ინსტრუმენტების საშუალებით ხდება ერთიანი მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბება, რაც საწარმოს ბაზარზე შესვლას, პოზიციების შენარჩუნებასა და ცვლილებებზე სწრაფ რეაგირებას უზრუნველყოფს.

დიაგრამა 2: მარკეტინგული მიქსი

პროდუქტი (Product)
- ფიზიკური საქონელი
- მომსახურება
- ხარისხი
- გარანტია
- ინსტრუქციები
- შეფუთვა
- მარკირება

ფასი (Price)
- მიზნები
- მოქნილობა
- ფასდაკლებები
- ერთგულების ბონუსები
- საფასო შეღავათები
- კონკურენტები ფასები

ადგილი (Place)
- მიზნები
- არხის სახეობა
- შუამავლები
- გადაზიდვა
- სადისტრიბუციო მომსახურება
- არხის მართვა

ბაზარზე წარმოჩენა (Promotion)
- პერსონალური გაყიდვები
- მასიური გაყიდვები
- გაყიდვების დაწინაურება
- გაყიდვების პერსონალი
- სარეკლამო კომპანია

ცხრილი ეფუძნება ტრენინგებზე გამოყენებულ თეორიულ მასალას

ბაზარზე პოზიტიურად წარმოჩენისათვის საჭიროა კარგად დაიგეგმოს რომელი სამიზნე ჯგუფისთვის რა სახის საინფორმაციო საშუალება იყოს გამოყენებული.

ეკოტურისტული საოჯახო სასტუმროს პერსონალი უნდა იყოს:

1. კვალიფიციური – ფლობდეს შესაბამისი თანამდებობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს, იცავდეს სტუმრების უსაფრთხოებას და გარემოსდაცვით პრინციპებს;
2. სტუმრისადმი დადებითად განწყობილი – შექმნას დადებითი ატმოსფერო, მაქსიმალურად შეეცადოს დააკმაყოფილოს სტუმრის მოთხოვნები, ურთიერთობებში გამოავლინოს მოთმინება და თავშეკავებულობა;
3. განათლებული – ფლობდეს მინიმუმ ერთ უცხო ენას სტუმრებისთვის შესაბამისი მომსახურების გაწევისთვის, იცნობდეს და სხვას უზიარებდეს ცოდნას, მაგ.: ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე;
4. მოწესრიგებული – განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა სასტუმროს პერსონალისთვის უნიფორმა, დასაქმებული ყოველთვის უნდა გამოიყურებოდეს მოწესრიგებულად.

6.1 ტურისტული ბაზრის სეგმენტაცია, მიზნობრივი სეგმენტების განსაზღვრა და ბაზრებზე ეკოტურისტული პროდუქტის პოზიციონირება

სამოგზაურო-ტურისტული ბაზარი სწრაფად მზარდია და გამოირჩევა კონკურენციის მაღალი დონით. ასეთ ბაზარზე ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ახალი და საინტერესო შეთავაზებები ასრულებს. ტურისტულ მომსახურებათა ბაზარი – ეს არის შთაბეჭდილებების, ემოციებისა და კმაყოფილების ბაზარი. შესაბამისად, შეუზღუდავია ამ ბაზარზე სეგმენტების რაოდენობა. ტურისტების ზოგადი დაყოფა ანუ სეგმენტაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით და გარკვეული სეგმენტის მოთხოვნების დადგენა მიზნობრივი აუდიტორიის სწორად განსაზღვრის უმთავრესი წინაპირობაა. ძირითადად გამოყოფენ სეგმენტაციას გეოგრაფიული, სოციალურ-დემოგრაფიული, ქცევითი და ფსიქოლოგიური მახასიათებლების მიხედვით. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

გეოგრაფიული ნიშნები

ტურისტული ბაზრის ჯგუფებად დაყოფა, როგორც წესი, გეოგრაფიული სეგმენტირებიდან იწყება. თუმცა სამიზნე აუდიტორიის შერჩევის გზაზე ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია, რომლის შემდგომ ხორციელდება ჯგუფის უფრო მცირე სეგმენტებად დაყოფა სხვა კრიტერიუმების მიხედვით. საწყის ეტაპზე ტურისტული ბაზარი იყოფა ტურიზმის სახეობის – შემომყვანი/გამყვანი, ეროვნული, რეგიონული/საქალაქო და პოლიტიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მიხედვით. ერთი წარმომავლობის რეგიონის ან ქვეყნის ჯგუფებში (მაგ. დასავლეთ ევროპა, ახლო აღმოსავლეთი) გაერთიანებულ ტურისტებს ქცევის გარკვეული სტერეოტიპი ახასიათებს და მათ განსაკუთრებული მიდგომა სჭირდებათ.

დიაგრამა 3: ბაზრის სეგმენტაცია გეოგრაფიული ნიშნით

სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნები

ტურისტული ბაზრის სოციალურ-დემოგრაფიული სეგმენტირება ამარტივებს მოგზაურთა მოთხოვნების დადგენისა და შესაბამისი პროდუქტის შექმნის პროცესს. აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია სეგმენტაციის შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით: შემოსავლების დონე, ოჯახური მდგომარეობა, ასაკი, პროფესიული სტატუსი.

დიაგრამა 4: ბაზრის სეგმენტაცია სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნით

შემოსავლებიდან გამომდინარე (დაბალი, საშუალო და მაღალი შემოსავლები) ტურისტი ირჩევს მისთვის ხელმისაწვდომ მომსახურებებს, წყვეტს მიიღოს დამატებითი მომსახურება თუ დაკმაყოფილდეს მინიმალური მოთხოვნილებით. ოჯახური მდგომარეობის და ასაკის მიხედვით მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია დამსვენებელთა ჯგუფს 5 კატეგორიად ყოფს: ბავშვები (0-14 წელი), ინდივიდუალურად მოგზაური ახალგაზრდები (15-24 წელი), ახალგაზრდა ოჯახური წყვილები შვილებით (25-44 წელი), ეკონომიკურად აქტიური აუდიტორია (45-64 წელი), საპენსიო ასაკის დამსვენებლები (65 წელზე მეტი). თითოეული ჯგუფის შესაძლებლობები და მოთხოვნები განსხვავებულია. ბავშვები ძირითადად მშობლებთან ერთად მოგზაურობენ და არ აქვთ საკუთარი შემოსავალი. ახალგაზრდები შეზღუდული ბიუჯეტის გამო არ სარგებლობენ სხვადასხვა დამატებითი მომსახურებებით. დაოჯახებული დამსვენებელთა ქცევა ძირითადად შვილების ინტერესთა ზეგავლენით ყალიბდება. ამასთან ეკონომიკურად აქტიურ ასაკობრივ ჯგუფს მაღალი შემოსავლები კომფორტის მოთხვნილებას უღვივებს. უფროსი ასაკის ადამიანების უმრავლესობა კი თავისუფალი დროის დიდ ნაწილს ჯამრთელობის აღდგენასა და მეტი შთაბეჭდილებების მიღებაზე ხარჯავს. ეკოტურიზმის თვალსაზრისით ძირითად სამიზნე აუდიტორიას ეკონომიკურად აქტიური აუდიტორია შეიძლება წარმოადგენდეს, რომლის მსყიდველუნარიანობა მაღალია და ეკოტურისტული მომსახურებების შეძენის შესაძლებლობა გააჩნია.

პროფესიული სტატუსის და დაკავებული თანამდებობის მიხედვით

განსხვავებული ქცევა ახასიათებს დამსვენებელთა ჯგუფს. ტურისტულ ბიზნესში გამოყოფენ ძირითად სეგმენტებს: უმუშევრები (მათ შორის სტუდენტები), ოფისის თანამშრომლები, საჯარო მოხელეები, საშუალო რგოლის მმართველები და ბიზნესის მფლობელები.

ქცევითი ნიშნები

სეგმენტაციის ქცევითი კრიტერიუმები ძირითადად ასახავს მოგზაურთა მოტივს აირჩიოს ესა თუ ის მიმართულება. დამსვენებელთა ბაზრის სეგმენტაციის 5 ძირითად მოდელს გამოყოფენ: მოგზაურობის მიზანი, მიჯაჭვულობა საკურორტო ადგილებთან, მოგზაურობის სიხშირე, სასურველი სარგებელი და სასურველი ტრანსპორტი.

დიაგრამა 5: ბაზრის სეგმენტაცია ქცევითი ნიშნით



თითოეული ნიშნის მიხედვით გამოყოფენ შემდეგი კატეგორიის დამსვენებელთა ჯგუფებს (ცხრილი 4).

ცხრილი 4: დამსვენებელთა ჯგუფის კატეგორიები

მოგზაურობის მიზანი	დასვენება/გართობა, საქმიანი ვიზიტი
სასურველი სარგებელი	ჩვეულ გარემოს მოშორება, ახალი ადამიანების გაცნობა, საკუთარი თავის გამოცდა, დაბალი ფიზიკური აქტიურობის დონის კომპენსირება, სხვა ქვეყნების კულტურის და ბუნების შემეცნება.
მიჯაჭულობა საკურორტე ადგილებთან	ზღვის კურორტებზე დასვენების მოყვარულები (თურქეთი, ეგვიპტე), სამთო კურორტებზე დასვენების მოყვარულები.
სასურველი ტრანსპორტი	ავიატრანსპორტი, რკინიგზა, ავტოტრანსპორტი, გემი (კრუიზი) და სხვა გადაადგილების საშუალებები (ველოსიპედი)
მოგზაურობის სიხშირე	წელიწადში ერთხელ, წელიწადში 1-3-ჯერ, წელიწადში 3-ზე მეტჯერ.

მოგზაურთა ჯგუფის ამ მიმართულებით დაყოფა ნათელს ხდის ეკოტურისტული პროდუქტის მომხმარებელთა სავარაუდო სეგმენტს. ეს ადამიანთა ის კატეგორიაა, რომელსაც ჩამოყალიბებული აქვს მოგზაურობის მიზანი და გარკვეული სარგებლის (სხვა ქვეყნის კულტურის და ბუნების შემეცნება) მისაღებად მოგზაურობს ამა თუ იმ ქვეყანაში.

ფსიქოლოგიური ნიშნები:

ფსიქოლოგიური კრიტერიუმებით ბაზრის სეგმენტირებას შეუძლია ახსნას მომხმარებელთა შინაგანი მოტივაცია, რაც ასაბუთებს მოგზაურობათა ძირითად მოტივებს. ბაზრის ასეთ ჯგუფებად დაყოფა ნაყოფიერია თუ სეგმენტირება ზემოთ მოყვანილი სხვა ნიშნების (დემოგრაფიული, ქცევითი) მიხედვითაც ხდება. ფსიქოლოგიური ნიშნის მიხედვით გამოყოფენ შემდეგი კატეგორიის ტურისტებს (დიაგრამა 6):

დიაგრამა 6: ბაზრის სეგმენტაცია ფსიქოლოგიური ნიშნით



ეკოტურიზმის კუთხით შესაბამისი სეგმენტის შერჩევისას ფსიქოლოგიურ ნიშნებთან ერთად გასათვალისწინებელია მოგზაურთა სხვა ნიშნით დაყოფის მოდელებიც. ეკოტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის დაკვეთით გამოიკვლიეს ეკოტურისტის მარკეტინგული პროფილი, რის შედეგადაც მიიღეს შემდეგი მონაცემები:

- ასაკი – 35-54 წელი, რა თქმა უნდა, არსებობს სხვადასხვა გადახრა საშუალო მაჩვენებლიდან;
- მომხმარებლის სქესობრივი სტრუქტურა – 50% ქალები, 50% კაცები;
- განათლება – მინიმუმ კოლეჯი;
- მოგზაურობისთვის მისაღები თანასაზოგადოება – 60% მოგზაურობს წყვილად, 15% ოჯახთან, 13% მარტო;

– ტურის სასურველი ხანგრძლივობა – 8–14 დღე;

– მოგზაურობაში ფულის დახარჯვის სურვილი – აღნიშნულია, რომ ეკოტურისტები მზად არიან საშუალოდ დახარჯონ 1000–1500 $ (უფრო მეტი ვიდრე ჩვეულებრივი ტურისტი);

– ტურის მომხიბვლელობის თავისებურება – ველური ბუნება; ცოცხალი ბუნების შესწავლა, ფეხით სიარული, კულტურის შესწავლა, ადგილობრივი მოსახლეობის ისტორია.

ნებისმიერ სახის ტურისტული პროდუქტის დაგეგმვისას აუცილებელია დამსვენებელთა ბაზრის წინასწარი მოკვლევა, გარკვეულ პროდუქტზე სეგმენტის მისადაგება და მხოლოდ ამის შემდგომ მომზადებული პროდუქტის ტურისტულ ბაზარზე პოზიციონირება.

მარკეტინგული თვალსაზრისით საქონლის ბაზარზე პოზიციონირება გულისხმობს მის განსაკუთრებულ, სხვებისგან განსხვავებული პოზიციის უზრუნველყოფას მომხმარებლის ცნობიერებაში. სხვადასხვა ქმედებით მწარმოებელი საკუთარი პროდუქტის სასარგებლო თვისებებს აღწერს და იმის დამტკიცებასაც ახერხებს, თუ რატომ უნდა შეიძინოს ის მომხმარებელმა. პოზიციონირება მიმართულია ტურისტული პროდუქტის ისეთი იმიჯის შექმნაზე, რომელიც პირველი რიგში გამორჩეული იქნება მაღალი კონკურენტუნარიანობით. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ტურისტული პროდუქტის პოზიცია ბაზრის ერთ სეგმენტზე შესაძლოა განსხვავებულად აღიქმედობეს სხვა სეგმენტის მიერ. ტურისტული მომსახურების მიმწოდებელმა შეიძლება გამოიყენოს პოზიციონირების რამდენიმე ალტერნატიული მიდგომა:

– პოზიციონირება სპეციფიური მახასიათებლების მიხედვით (მაგ. დაბალი ფასი);

– პოზიციონირება მომხმარებელთა სარგებლის ან მოთხოვნილებების მიხედვით, რომელთაც დააკმაყოფილებს ტურისტული პროდუქტი.

– მომხმარებელზე ორიენტირებული პოზიციონირება, რაც გულისხმობს მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფისთვის ოპტიმალური პროდუქტის გამოყოფას;

– პოზიციონირება ფასის/ხარისხის თანაფარდობის მიხედვით;

– პოზიციონირება კონკურენტის მიხედვით.

მრავალი სპეციალისტის აზრით, საწარმომ თავისი ძალისხმევით ყურადღება უნდა გაამახვილოს პროდუქტის ერთ განმასხვავებელ მახასიათებელზე, რომელთა შორის გამოყოფენ ყველაზე მთავარს – „საუკეთესო ხარისხი“, „საუკეთესო მომსახურება“, „ყველაზე დაბალი ფასი“, „ყველაზე მაღალი ფასეულობა“. ამ მახასიათებლიდან ერთ–ერთის

მიღწევისა და შენარჩუნების შემთხვევაში, ტურისტული პროდუქტი იძენს კარგ რეპუტაციას, რომელიც მომხმარებელთა ცნობიერებაში ასოცირდება აღნიშნულ პოზიციასთან.

ეკოტურისტული პროდუქტის დაგეგმვის პროცესში სხვადასხვა ტურისტული რესურსის კვლევის და მასზე დაფუძნებული განსხვავებული მომსახურებების შესაბამის სეგმენტზე მისადაგებას მოსდევს პოზიციონირების სქემის შემუშავების ეტაპი. აღნიშნული ციკლის გავლის შემდგომ მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ხორციელდება ეკოტურისტული პროდუქტის შექმნა.

6.2 ფასწარმოქმნის პოლიტიკა

ფასი არის ღირებულების ფულადი გამოხატულება. თანხა, რომელსაც მომხმარებელი იხდის საქონლის, მომსახურების შეძენის ან გამოყენების სანაცვლოდ.

ეკოტურისტული პროდუქტის ფასი ასახავს მისი მომხმარებლის წარმოდგენას, თუ რამდენად არის მნიშვნელოვანი ისეთი ტურისტული პროდუქტი, რომლის შემადგენელი ნაწილებია: ველური ბუნება, კარგი მომსახურება და ადგილობრივი წარმოება. ფასი, რომელიც ,თავის მხრივ, ხელს უწყობს პროდუქტის ბაზარზე დამკვიდრებას, მარკეტინგული მიქსის (4P — Product, Place, Price, Promotion) ერთ–ერთი ძირითადი ელემენტია. ფასის სწორი პოლიტიკის განსაზღვრით შესაძლებელია ბაზარზე თავის დამკვიდრება და მოგების გაზრდა.

ხშირ შემთხვევაში საქართველოს რეგიონებში ეკოტურისტული საქმიანობის ფასგათვლა ხდება ორი ფაქტორის გათვალისწინებით:

1. ანალოგიური მომსახურეობის მქონე საწარმოს პროდუქტის ფასზე ორიენტირებით

მაგ.: სტეფანწმინდაში გამყოლის მომსახურეობა მერყეობს 70 — 100 ლარამდე, შესაბამისად მარტვილშიც შესაძლებელია ანალოგიური ფასის დადება;

2. იმ ფაქტორის გათვალისწინებით, თუ რამდენად უღირს მიმწოდებელს შესაბამისი მომსახურება. მაგ.: ცხენით მომსახურება ხშირად რეგიონების მიხედვით ურთიერთგამომრიცხავი ღირებულებისაა – ბაკურიანში ერთ პატარა წრეზე დაახლოებით იმდენივე ღირს ცხენით გასეირნება, რაც ბორჯომ–ხარაგაულის ეროვნულ პარკში ერთი დღის განმავლობაში ცხენის ქირაობა.

ორივე ზემოაღნიშნული შემთხვევა არის უშუალოდ პროდუქტის შექმნის პროცესში წარმოქმნილი ხარჯების გაუთვალისწინებლობა, რაც, სამწუხაროდ, უმეტესად საწარმოს ან მომსახურების სამომხმარებლო ბაზრიდან გასვლით

სრულდება.

პროდუქტის შესაბამისი ფასის დასადგენად აუცილებელია ფასწარმოქმნის დროს განისაზღვროს მისი თვითღირებულება და შემდეგ მოგების მარჟა დისტრიბუციის არხების მიხედვით. თუმცა, თვითღირებულების გამოთვლამდე პირველ რიგში გასათვალისწინებელია სახელმწიფოს მიმართ ვალდებულებები და კომერციული საქმიანობის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები მათ შორის კაპიტალდაბანდება ბიზნესის საწყის ეტაპზე) იხ.მეოთხე თავი.

ეკოტურისტული პროდუქტის თვითღირებულების გამოთვლა

ნებისმიერი საქმიანობის თვითღირებულების გამოთვლისთვის აუცილებელია პროდუქტის შექმნაზე დახარჯული მატერიალური თუ არამატერიალური რესურსების შეფასება. სამწუხაროდ, თვითღირებულების დათვლის დროს, როდესაც მეწარმე თავად ქმნის პროდუქტს, უგულებელყოფილია ისეთი კომპონენტები, როგორებიც არის საკუთარი დრო და შრომა.

ფასწარმოქმნის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმულაა: პირდაპირ ხარჯები + ზედნადები ხარჯები + მეწარმის მოგება= ფასს

ასევე საჭიროა დანახარჯების ორ ტიპად დაყოფა, კერძოდ დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ წარმოებულ პროდუქტს მიეკუთვნება და ის დანახარჯები, რომლებიც ზოგადად წარმოებისთვის არის საჭირო (ანუ პირდაპირი და ირიბი დანახარჯები).

ცხრილი 5: საოჯახო სასტუმროს პირდაპირი და ირიბი ხარჯები

ხარჯები (საოჯახო სასტუმროს მაგალითზე)	
პირდაპირი	ირიბი
ადამიანური რესურსი, მუშახელი (დამლაგებელი, დაჯავშნა)	ავეჯის ცვეთა
უშუალოდ პროდუქციისთვის წარმოქმნილი გადასახადები მაგ. დღგ	მარკეტინგული ხარჯები (მაგ. ბეჭდური მასალა, სავიზიტო ბარათები და ა.შ.)
კვების ორგანიზება (შეძენა, მომზადება, გამასპინძლება)	პროფესიული გაერთიანებების წევრობა
ენერგო რესურსები (წყალი, ელექტროენერგია, გაზი)	პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება
	ქონების გადასახადი
ფიქსირებული	ცვლადი
ავეჯის ცვეთა	ენერგო რესურსები
პროფესიული გაერთიანებების წევრობა	კვების ორგანიზება
პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება	მარკეტინგული ხარჯები
ადამიანური რესურსი, მუშახელი	გადასახადები

მუშაობის დაწყებამდე მეწარმემ უნდა შეადგინოს კალკულაცია, თუ კონკრეტულად რამდენი დანახარჯი ექნება თავისი შენობის სასტუმროდ მოწყობაზე (გარეგნული იერსახე, გათბობა, სათანადო სერვისი და სხვა).

ტურისტული პროდუქტის მწარმოებლებმა სასურველია შეძლონ ფასების რანჟირება მომსახურების შეთავაზებისას სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფზე. ასევე სასურველია გაითვალისწინონ ეკოტურისტული პროდუქტის სეზონურობა, რაც მკვეთრად აისახება მოთხოვნაზე.

- **ოფიციალური ანუ მიმდინარე ფასები (official rates/Rack rates)**
- **ჯგუფის ფასები (Group rates/Corporate rates)** – ხელშეკრულების საფუძველზე ორგანიზაციებისთვის (მაგ: ტურისტული კომპანიებისთვის) შეთავაზებული განსხვავებული ფასები;
- **პაკეტის ფასები (Package rates)** – ასეთი შეთავაზებები კეთდება ძირითადად პრომოციის კამპანიების დროს ტურისტების მისაზიდად;
- **ფასები ოჯახებისთვის (Family rates)** – შეთავაზებები ოჯახებისთვის. ბავშვები გარკვეულ ასაკამდე შეიძლება განათავსონ მშობლებთან ერთად და ამაზე დამატებითი საფასური არ გადაახდევინონ. ასეთი შეთავაზებები არის სეზონური და გაყიდვების წამახალისებელი;
- **ფასები დასვენების დღეებზე (Weekend rates)** – მასტიმულირებელი ფასი შაბათ-კვირის დღეებზე, ფასდაკლება მინიმალურია;
- **ნახევარი დღის ფასი (Day Use Rate/ Half-day rate)** – ოთახის გამოყენება დღის განმავლობაში ნახევარ ფასად;
- **Complimentary rate (comp)** როცა სტუმარი არ იხდის ნომრის საფასურს. მოქმედებს ინფოტურების დროს, როდესაც ნომრის საფასურს არ ახდევინებენ ტურისტული კომპანიის წარმომადგენლებს.

ცხრილი 6: ფასგათვლის მოდელი

ფასგათვლის მოდელი				
ერთი ტურისტის განთავსება				
ჩამონათვალი	**რაოდენობა**	**ფასი**	**ლარი**	**აშშ დოლარი**
ფიქსირებული ხარჯი				
სინათლე 7 საათი	150W/H*7H	0.16ლარი /1კვ	0.17	0.07
გათბობა 7 საათ	2KW/H*7H	0.16	2.24	0,95
თეთრეული რეცხვის სადეზინფექციო საშუალებები	50 კგ.	2 ლარი /400 გრ	0.15	0.06
თეთრეულის რეცხვაზე მუშაობა	60 წთ	*1.2 ლარი/სთ	1.2	0.51
პირსახოცი	1ცალი	1.3ლარი/1 ცალი	1.3	0.55
ხელსახოცები, ტუალ.ქაღალდი	/1ცალი	0.5ლარი/1 ცალი	0.5	0.212
1-2 ადგილიანი ოთახების დალაგება	10 წთ	3,9ლარი /სთ	0.65	0.16
2-4 ადგილიანი ოთახების დალაგება	15 წთ.	3,9ლარო /სთ	0.95	0.16
4-6 ადგილიანი ოთახების დალაგება	20 წთ	3,9ლარი /სთ	1.7	0.33
რძე ან რომელი სახეობის ხილი	250 მლ/გრ	1,5ლარი/ლ	0.38	0.16
1-2 ადგილიანი ოთახის ფიქსირებული ღირებულება			**6.59**	**2.80**
2-4 ადგილიანი ოთახის ფიქსირებული ღირებულება			**6.89**	**2,94**
4-6 ადგილიანი ოთახის ფიქსირებული ღირებულება			**7.64**	**3,25**
მოგება და გადასახადები 0 %				
ოთახის ფასი = ფიქსირებული გადასახადი +გადასახადები				
შენიშვნა: 1 ერთი კილოვატი ელექტროენერგიის ღირებულება საშუალოდ არის 0,14 ლარი 100 კვ.ისთვის				
* შრომის ღირებულების შესაფასებლად აღებულია გეოსტატის 2016 წლის მონაცემებზე დაყრდნობით საშუალო ხელფასი, რომელიც საქართველოში სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთათვის წარმოადგენს 655 ლარს თვეში. ეს ციფრი რომ გავყოთ 21 სამუშაო დღეზე თვეში და შემდეგ 8 სამუშაო საათზე დღეში მივიღებთ საშუალოდ ერთ საათის შრომის ღირებულებას 3,9 ლარს დოლარის კურსი აღებულია 2016 წლის აგვისტოს თვის საშუალო მონაცემებით 1$=2,35₾				

6.3 გაყიდვების არხები

მეწარმეს შეუძლია ტურისტული მომსახურების რეალიზება, როგორც შუამავლების (ტურისტული სააგენტოების, კომერციული საიტების), ისე პირდაპირი გაყიდვის გზით მიზნობრივ ჯგუფებზე. პირდაპირი გაყიდვის შემთხვევაში საუკეთესოა იმ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, რომლებიც ტურისტული რეკლამირებით არიან დაკავებული, მაგ: ადგილობრივი და რეგიონალური ტურისტული ორგანიზაციები ან ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები.

პირდაპირი გაყიდვის არხებია, მაგალითად, ხალხური რეწვის ოსტატებისათვის:

• გაყიდვები სახელოსნოდან მომხმარებლების დიდ ინტერესს იწვევს და შეძენის მოტივაციას აძლიერებს. სტუმრობა სახელოსნოში, სადაც ეძლევათ შესაძლებლობა თვალყური ადევნონ პროდუქციის დამზადების პროცესს. ამ დროს სასურველია სახელოსნო გარკვეულწილად იზოლირებული იყოს;

• პირდაპირი შეკვეთები მომხმარებლისგან;

• ღია ბაზრობები – პროდუქციის გატანა სარეალიზაციოდ ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში. მაგ. კულტურული და ბუნების ძეგლებთან მოწყობილი ღია დახლები;

• ფესტივალები, დღეობები, და გამოფენა/ბაზრობები – საქართველოს სხვადასხვა რაიონში იმართება დღესასწაულები, ფესტივალები, რომელთა განუყოფელი ნაწილია ტრადიციული რეწვის გამოფენა-გაყიდვები;

• ინტერნეტ გაყიდვები – სოციალური ქსელები (facebook.com), საკუთარი ვებგვერდი.

არაპირდაპირი არხებია: სუვენირების მაღაზიები, სალონები, მაღაზია/გალერეები, სამუზეუმო მაღაზიები, შერეული მაღაზიები, ტურისტული სააგენტოები, კომერციული საიტები (მაგ: nido.ge)

6.4 მარკეტინგული კომუნიკაციები

მარკეტინგული კომუნიკაციები შეიძლება იყოს ინსტიტუციური მარკეტინგული დიალოგის ფორმატში (Bruhn 2005, S. 400). ხსენებული სამი ტიპის კომუნიკაციიდან უნდა შევჯერდეთ მცირე და მიკრო ბიზნესისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელ ფორმაზე. ინსტიტუციური კომუნიკაციიდან გამოირჩევა მედიასთან და საზოგადოებათან ურთიერთობის ღონისძიებები.

მაგალითად, ადგილობრივ და რეგიონულ ტელევიზიაში საოჯახო სასტუმროს შესახებ სიუჟეტების გაშუქება ან ადგილობრივ დღესასწაულებზე/ღონისძიებებზე აგრომეურნეობის სტენდით გამოსვლა; ან საოჯახო სასტუმროს გაცნობითი ტურის მოწყობა მედიის წარმომადგენლებითვისა და ტუროპერატორებისთვის.

მარკეტინგული კომუნიკაციები მოიცავს მედიისა და მულტიმედიურ კომუნიკაციებს. მედიის საშუალებეს შორის გამოყოფენ ბეჭდვით მედიას, მაგ. გაზეთი, ჟურნალი; სამაუწყებლო მედიაში განიხილება რადიო, ტელევიზია; დისპლეი მედიას განეკუთვნება გარე რეკლამის საშუალებები, როგორებიცაა: ბილბორდი, ბუკლეტი, ლაითბოქსი, პოსტერი (პლაკატი).

სარეკლამო ხერხების მრავალფეროვნების კვალდაკვალ აღიარებულია სარეკლამო სტრატეგიის სამი ძირითადი მიმართულება:

- **ინფორმაციული**, რომლის ამოცანაა აცნობოს ბაზარს: ახალი პროდუქციის არსებობა, ცვლილებები ფასში, აუხსნას პროდუქციის გამოყენების მეთოდები, გააქარწყლოს არასწორი წარმოდგენები, დაამკვიდროს ფირმის იმიჯი.
- **დარწმუნებითი**, რომლის ამოცანაა: საფირმო ნიშნის მიმართ უპირატესი განწყობის ჩამოყალიბება, სხვა ბრენდის მომხმარებლის გადაბირება, დაარწმუნოს მომხმარებელი დაუყოვნებლივ იყიდოს ან ენდოს შუამავალს.
- **შეხსენებითი**, რომლის ამოცანაა შეახსენოს მომხმარებელს, რომ შესაძლებელია პროდუქტი დასჭირდეს უახლოეს მომავალში; სად შეიძლება იყიდოს პროდუქტი, პროდუქტის არსებობა (სეზონებს შორის), პროდუქტის შესახებ გათვითცნობიერების მაღალი დონის შენარჩუნება.

მულტიმედიურ კომუნიკაციებში იგულისხმება შეუზღუდავი უთრიერთობა მომხმარებელთან ინტერნეტ სივრცის საშუალებით, მაგალითად: მიზნობრივად ინფორმაციის გავრცელებისთვის ელფოსტის გამოყენება, სიახლეების ფართო საზოგადოებისთიეს გაცნობა სოციალური ქსელების, ვებგვერდისა და ბლოგების საშუალებით.

დიალოგის ფორმატის კომუნიკაციები – ეს არის პირდაპირი კომუნიკაცია ვერბალური და არავერბალური გზით. მაგალითად, ესენია: გამოფენებში მონაწილეობა, პრეზენტაციებისა და ღია კარის დღეების მოწყობა, საჯარო გამოსვლები.

პრაქტიკული რჩევები ეკოტურიზმში ჩართულ საწარმოებს:

- ნებისმიერ ეკოტურისტულ საწარმოს უნდა ჰქონდეს აბრა, რათა ტურისტმა შეძლოს ადვილად მიგნება;
- მაქსიმალურად გამოიყენეთ ინფორმაციის გავრცელების ყველა საშუალება: უახლოესი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, პროფესიული მონაცემთა ბაზები, ინტერაქტიული რუკები (მათ შორის Google map);
- მიიღეთ მონაწილეობა ტურისტულ გამოფენებსა და ბაზრობებში, რაც მოგცემთ, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ტუროპერატორებთან დაკავშირების საშუალებას (გამოიყენეთ რეგიონული სტენდი დანახარჯების შემცირების მიზნით);
- გამოიყენეთ კომუნიკაციის ყველა საშუალება. დაგეგმეთ ინფოტურები, მოიწვიეთ ჟურნალისტები, როგორც ბეჭვდითი, ისე სამაუწყებლო მედიიდან, რათა მომზადდეს სიუჟეტები, დაიწეროს სტატიები დესტინაციის და თქვენი საწარმოს შესახებ. მოგზაური ჟურნალისტების მასპინძლობა საშუალებას მოგცემთ უფასოდ გააშუქოთ ინფორმაცია;
- გააკეთეთ აქცენტი საწარმოს უნიკალურ შეთავაზებაზე, რითაც ის განსხვავდება სხვა ეკოტურისტული მომსახურების მიმწოდებლისგან. ეს შეიძლება იყოს: განსაკუთრებული ადგილმდებარეობა, სიახლოვე ტურისტულ ატრაქციებთან ან განსხვავებული მომსახურების შეთავაზება;
- არასეზონურ პერიოდში შესთავაზეთ ფასდაკლებები, შეღავათები, დამატებითი აქტივობები ტურისტებს, მაგ. დამატებითი ღამისთევა უფასოდ, გვიანი გაწერა და ა.შ, რითაც შესაძლებელია მიზნობრივი ჯგუფების ინტერესის გაზრდა;
- დაუკავშირდით შუამავალ ორგანიზაციებს (ტურისტული კომპანიები, კომერციული საიტები). კომერციული საიტები (მაგ.: booking.com) იღებს საშუამავლო სარგებელს 15–18 % ნომრის ღირებულებიდან. აუცილებელია ყოველი შეკვეთის შემდეგ დაუყოვნებლივ გასცეთ პასუხი და დაადასტუროთ შეკვეთის მიღება, რაც სანდოობას და დადებით შთაბეჭდილებას იწვევს ტურისტებში ურთიერთობის დაწყების პირველი ეტაპიდანვე.

7 ეკო-ტურიზმის განვითარების ცენტრის მიერ შექმნილი ეკოტურისტული პროდუქტები

სენაკის მუნიციპალიტეტი

მარშრუტი 1: მოგზაურობა ეგრისის სამეფოში
სახეობა: კულტურული საფეხმავლო მარშრუტი
სირთულე: მარტივი
საერთო სიგრძე: 5.35 კმ
მარშრუტის სიმაღლეები ზღვის დონიდან საწყისი/უმაღლესი/საბოლოო: 95/197/112 მ
გასავლელად საჭირო დრო: 3 სთ
სამოგზაურო პერიოდი: მარტი – ნოემბერი
როგორ მივიდეთ: ქ.სენაკის ავტო და რკინიგზის სადგურიდან ავტოტრანსპორტის გამოყენებით.
განთავსების ობიექტები: საოჯახო სასტუმროები ნოქალაქევში, სასტუმროები სენაკში.
გადაადგილების საშუალება: აღნიშნულ მარშრუტზე გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ ქვეითად.

გამოიყენეთ უნიკალური შესაძლებლობა, ისიამოვნოთ თანამედროვე ეგრისელების სტუმართმოყვარეობითა და არაჩვეულებრივი სამზარეულოთი. დატკბით კოლხური ტყით შემოსილი ულამაზესი ლანდშაფტით. გაეცანით უძველესი ციხე-გოჯის ნაშთებში აღბეჭდილ სამეფოს ცხოვრების წესსა და კულტურას. მიიღეთ სიამოვნება ტეხურის ხეობაში ორთქლის ფარდას აფარებული ბუნების წიაღიდან ამომავალი მინერალური წყლის აბაზანებით, ეს არის საოცარი თავგადასავალი მთელი ოჯახისათვის.

მარშრუტის აღწერა

ტურისტული მარშრუტი ნოქალაქევის მუზეუმ—ნაკრძალის ტერიტორიიდან იწყება და თავდაპირველად სოფელ ნოქალქევში მიმავალ მთავარ გზას მიუყვება. დაახლოებით 5 წუთის სიარულის შემდგომ მარშრუტი მკვეთრად უხვევს ჩრდილოეთით და სასოფლო გრუნტის გზის აყოლებით ციხე—ქალაქის მიმდებარედ აღმართული ბორცვის ფერდობებისკენ მიემართება. მარშრუტის საწყისი მონაკვეთი მცირე დახრილობის აღმართზე ადის, რომლის დასასრულს ტყეში ჩამავალი ბილიკით დაბლა ეშვება. მარშრუტი წრეს უვლის ბორცვს და ადგილობრივი მოსახლის სახლთან საცალფეხო, დაკიდული ხიდის მეშვეობით გადაკვეთს მდინარე ტეხურს. მდინარის გადაკვეთის შემდგომ მარშრუტის მცირე მონაკვეთი მოასფალტებულ საავტომობილო გზაზე გადადის. 5 წუთის სიარულის შემდგომ უხვევს სამხრეთ—აღმოსავლეთით, ჩაუყვება სასოფლო გრუნტის გზას და ჩადის ნოქალაქევის თერმულ წყლებთან.

მარშრუტის ბოლოს შესაძლებლია ვახშამი ნოქალაქევში არსებულ რესტორანში, სადაც გაგიმასპინძლდებიან ტრადიციული მეგრული კერძებით.

შენიშვნა: *მარშრუტში შემავალი დაკიდული საცალფეხო ხიდი გარკვეულ საფრთხეს შეიცავს. იგი ადგილობრივი მოსახლის რესურსით არის აღდგენილი და მასზე გადებული ხის ფიცრების მნიშვნელოვანი ნაწილი მოძველებულია, ამიტომ ხიდზე გადასვლისას დიდი დატვირტვა არ არის სასურველი. მარშრუტის სრულად ფუნქციონირებისათვის საჭიროა ხიდის რეაბილიტაცია.*

მარშრუტში შემავალი ობიექტები: კურორტი ნოქალაქევი, ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი, თერმული წყლები.



მარშრუტი 2: სენაკის მარგალიტები
სახეობა: კულტურული მარშრუტი
სირთულე: საშუალო
საერთო სიგრძე: 20 კმ
მარშრუტის სიმაღლეები ზღვის დონიდან, საწყისი/უმაღლესი/საბოლოო: 31/225/31 მ
გასავლელად საჭირო დრო: 1დღე
სამოგზაურო პერიოდი: მარტი – ნოემბერი
გადაადგილების საშუალება: მარშრუტზე გადაადგილება შესაძლებელია ველოსიპედით და საზოგადოებრივი ტრანსპორტით.
როგორ მივიდეთ: ქალაქებიდან – თბილისი, ქუთაისი და ბათუმი ქ. სენაკის მიმართულებით მიმავალი საზოგაროებრივი ტრანსპორტით (ავტომობილი, რკინიგზა).

ეწვიეთ სამეგრელოს ისტორიულ მხარეს, რათა ეზიაროთ ამ კუთხის საუკუნოვან ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, ჯერ კიდევ ასე უდრეკად შემორჩენილს მრავალ თაობაში. თქვენ მოგეცემათ შესაძლებლობა თვალი გადაავლოთ ჟამთა სვლის შედეგებს და წინაპრების დიად დანატოვარს – უძველეს ციხე-სიმაგრეებს, ეკლესია-მონასტრებს. ნანახი წარუშლელ კვალს დატოვებს ნებისმიერი სტუმრის მეხსიერებაში.

მარშრუტის აღწერა

მარშრუტი იწყება ქალაქ სენაკის ცენტრიდან და მიემართება კურორტ მენჯისკენ, სადაც თავდაპირველად ნახავთ მენჯის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარს. ტაძართან ახლოს შესაძლებელია ეწვიოთ ადგილობრივ აგრომეურნეს და დააგემოვნოთ ან შეიძინოთ ადგილობრივი წარმოების თაფლი. მენჯიდან მარშრუტი კვლავ ქალაქ სენაკის მიმართულებით ბრუნდება და ბორცვის თხემზე მდებარე საკალანდარიშვილოს ციხესთან და იქვე ახლოს არსებულ ჩანჩქერთან მიდის. აღნიშნული ობიექტების მოსანახულებლად რამდენიმე ასეული მეტრის გავლა ფეხით მოგიწევთ. ჩანჩქერის დათვალიერების შემდეგ გზას გააგრძელებთ ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებით მდებარე ბორცვისკენ, რომლის წვერზეც მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის კიდევ ერთი გამორჩეული ძეგლი – შხეფის ციხე. ციხემდე მისასვლელად გზის მცირე მონაკვეთის გავლა კვლავ ფეხით მოგიწევთ. ბორცვის თხემადე კი მიდის სასოფლო გურნტის გზა. შხეფის ციხიდან მარშრუტი კვლვავ ქალაქ სენაკში ბრუნდება, სადაც ეწვევით მხარეთმცოდნოების მუზეუმს. მუზეუმში დაცულია სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მრავალფეროვანი მასალა. მუზეუმის დათვალიერების შემდგომ სენაკში შესაძლებელია ღამით დარჩენა საოჯახო ტიპის სასტუმროში, სადაც ასევე გაგიმასპინძლდებიან ტრადიციული მეგრული ოჯახური კერძებით (სენაკში ასევე ფუნქციონირებს რამდენიმე კვების ობიექტი, სადაც შეგიძლიათ დააგემოვნოთ მეგრული სამზარეულო).

მარშრუტში შემავალი ობიექტები: სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მენჯის ეკლესია, საკალანდარიშვილოს ციხე, შხეფის ციხე.

მარტვილის მუნიციპალიტეტი

1 – მარშრუტის სახელწოდება: ბუნების წიაღში გამოძერწილი საგანძური

მარშრუტის სახეობა: საფეხმავლო/საცხენოსნო

მარშრუტის სირთულე: საშუალო

მარშრუტის სიგრძე: 16 კმ

მარშრუტის სიმაღლეები ზღვის დონიდან, საწყისი/უმაღლესი/საბოლოო: 220/621/304 მ

მარშრუტის გასავლელად საჭირო დრო: 2დღე

სამოგზაურო პერიოდი: აპრილი – ოქტომბერი

გადაადგილების საშუალება: მარშრუტზე გადაადგილება, გარდა ქვეითად სიარულისა, შესაძლებელია ცხენით.

როგორ მივიდეთ: ქ. მარტვილიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან ფეხით სოფელ გაჭედილამდე.

არ გაუშვათ ხელიდან შესაძლებლობა მოინახულოთ ენით აღუწერელი სილამაზით დაჯილდოებული „სამეგრელოს სამოთხე“, მხარე სადაც ბუნების ძალამ უნიკალური ფორმები შექმნა. აქ კამკამა მდინარე აბაშის წყალი, ზოგჯერ ბობოქარი, ფირუზისფერ საბნად ფარავს წიაღში დამალულ საგანძურს. უძირო კანიონები, თვალუწვდენელი ჩანჩქერები, უსასრულო მღვიმეები – ყველაფერი ეს დაუვიწყარი თავგადასავლების მაძიებლებს ელის.

მარშრუტის აღწერა

დღე 1-ლი

ტურისტული მარშრუტი მარტვილის კანიონიდან იწყება, სადაც შეგიძლიათ კანიონში ნავით გაისერნოთ და მისი ვიწრო და მაღალი ფერდობებიდან გადმომავალი ჩანჩქერები და „დადიანების საბანაო“ ადგილი მოინახულოთ. სპეციალური აღჭურვილობის ქონის შემთხვევაში შესაძლებელია კანიონის გავლა თავიდან ბოლომდე (პროფესსიონალ გამყოლთან ერთად). მარტვილის კანიონიდან მარშრუტი საავტომობილო გზის გაყოლებით სოფელ პირველი ბალდისკენ მიემართება, სადაც 1 კმ-მდე სიგრძის საცალფეხო ბილიკით ტაბაკელას ქედზე მდებარე მოთენას მღვიმეში ადის. მღვიმის მონახულების შემდეგ დაბრუნდებით სოფ. პირველ ბალდაში და დაბინავდებით ადგილობრივ საოჯახო სასტუმროში, სადაც, გარდა ღამისთევისა, შემოგთავაზებენ ტრადიციულ მეგრულ სამზარეულოს.

დღე მე-2

სოფელ პირველ ბალდაში იქირავებთ ცხენებს და გზას გააგრძელებთ სოფელ მეორე ბალდის მიმართულებით, სოფლის ბოლოს მდებარე კანიონისკენ, რისი დათვალიერებაც შესაძლებელია მამათა მონასტერთან მდებარე კანიონზე გადებული ხიდიდან, საიდანაც გაემართებით ტობის ჩანჩქერისკენ. მარშრუტი თავდაპირველად სატყეო გრუნტის გზიან აღმართს მიუყვება, რომელიც თანდათანობით სწორდება და საბოლოოდ დაღმართში ეშვება ტობას ჩანჩქერის ძირისკენ. ჩანჩქერი არსენ ოქროჯანაშვილის სახელობის მღვიმიდან გადმოედინება და კასკადების ერთობლივი სიმაღლით საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ვარდნის მქონე ჩანჩქერს ქმნის (234 მ). საცალფეხო ბილიკით ციცაბო ფერდობზე ასვლით შესაძლებელია ჩანჩქერის შუა წელზე მოხვედრა. ჩანჩქერის მონახულების შემდეგ ბზის ტყეში შემავალი ბილიკით გაემართებით ონიორეს ჩანჩქერისკენ, რომელიც ტობის ჩანჩქერიდან დაახლოებით 1.5 კმ მანძილზეა. ჩანჩქერი გადმოედინება ტობა I-ის მღვიმიდან. ალპინისტური და სპელეოლოგიური აღჭურვილობის ქონის შემთხვევაში შესაძლებელია მღვიმეში შესვლაც. ჩანჩქერისა და მღვიმის დათვალიერების შემდეგ დაბრუნდებით სოფ. მეორე ბალდაში.
მარშრუტის დასასრული.

მარშრუტში შემავალი ობიექტები: გაჭედილის კანიონი, მოთენას მღვიმე, ბალდის კანიონი, არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმე და ტობას ჩაჩქერი, ტობა პირველის მღვიმე და ონიორეს ჩანჩქერი.

2 - მარშრუტის სახელწოდება: იდუმალების მანდილში გახვეული სამეგრელოს მთები
მარშრუტის სახეობა: ქვეითი, საცხენოსნო
მარშრუტის სირთულე: საშუალო
მარშრუტის სიგრძე: 82 კმ
მარშრუტის სიმაღლეები ზღვის დონიდან, საწყისი/უმაღლესი/საბოლოო: 326/1582/326 მ

მარშრუტის გასავლელად საჭირო დრო: 5 დღე
მოგზაურობისთვის სასურველი პერიოდი: 30 მაისი -30 ოქტომბერი
გადაადგილების საშუალება: მარშრუტზე გადაადგილება, გარდა ქვეითად სიარულისა, შესაძლებელია ცხენით.
როგორ მივიდეთ: ქ.მარტვილიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტით სოფ.კურზუმდე.

ეზიარეთ მთიანი სამეგრელოს იდუმალ, ხელუხლებელ და უნიკალურ ბუნებას. აქ კამკამა მდ. ტეხურის ტყით შემოსილ ფერდობებზე მცენარეთა სურნელი დაგათრობთ. მწვანე ხავერდს მოფარებული ულამაზესი ოჩხომურის ჩანჩქერი არ დაგტოვებთ გულგრილს. შესაძლებელია შემოგეგებოთ ტყის ბინადარნიც: დათვი, არჩვი. შეუმჩნევლად გავლილი ულამაზესი გზის ბოლოს კი თქვენს წინაშე გადაიშლება ლებარდეს სულისშემძვრელი ლანშაფტები. აქ მოგეცემათ შესაძლებლობა დააგემოვნოთ ნატურალური სასარგებლო პროდუქტი და გაეცნოთ მთაში მაცხოვრებელთა ყოფას.

მარშრუტის აღწერა

დღე 1-ლი

მარშრუტი იწყება სოფ. კურზუს (მარტვილის მუნიციპალიტეტი) ცენტრიდან და მდინარე ოჩხომურის ხეობის მიმართულებით თავდაპირველად სასოფლო გრუნტის გზას გასდევს, ხოლო სოფლის ბოლოს დაზიანებული სატყეო გრუნტის გზის გაყოლებით გრძელდება; მალევე გადაკვეთს მდინარე ოჩხომურს (მდინარეზე გადებულია რკინის კონსტრუქციის საფეხმავლო ხიდი) და მცირე დახრილობის აღმართს აუყვება. აღმართის ბოლოს გზა სწორდება და მარშრუტი კვლავ მდინარე ოჩხოხმურს გადაკვეთს. აღნიშნულ მონაკვეთში ხიდი არსად არ არის, ამიტომ საჭიროა მდინარის ქვეითად გავლა, წყალი არცთუ დიდია, რის გამოც მისი გადალახვა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. მდინარის გადალახვის შემდგომ მარშრუტი კვლავ სატყეო გრუნტის გზას მიუყვება და აღმართზე ადის, საიდანაც გადაუხვევთ მარცხნივ და საფეხმავლო ბილიკით შედიხართ ძველი ნასოფლარის ტერიტორიაზე, ფაქტობრივად, ოჩხომურის ჩანჩქერის ძირას (ადგილი გამოდგება საკარვეადაც). ამ ადგილიდან უშუალოდ ჩანჩქერთან მისასვლელად საჭიროა მდინარის კალაპოტში არსებულ დიდი ზომის ლოდებზე სიარული. ჩანჩქერის მონახულების შემდგომ ვბურნდებით სოფელში და ვბინავდებით საოჯახო სასტუმროში, სადაც ღამის გათევასთან ერთად შესძლებლობა გექნებათ

დააგემოვნოთ ტრადიციული მეგრული კერძები.

დღე მე-2

კურზუში იქირავებთ ცხენებს და გაემართებით კურორტ ლებარდეს მიმართულებით. თავდაპირველად გაივლით სოფელ დობერაზენს. მარშრუტის ეს მონაკვეთი სასოფლო გრუნტის გზას მიუყვება და სრულად დასახლებულ პუნქტებზე გადის. დაახლოებით 1 საათის სიარულის შემდგომ ჩადის სოფელ დობერაზენში, საიდანაც გრძელდება კურორტ ლებარდესკენ. დობერაზენის ბოლოს მოგიწევთ სატყეო საგუშაგოს გავლა. მარშრუტი ხიდის მეშვეობით გადაკვეთს მდინარე ტეხურს, შემდგომ მის მცირე შენაკადს და გაივლის ხეობაში მდებარე ერთადერთ საკალმახე მეურნეობას (შესაძლებელია კალმახის შეძენა). საკალმახიდან მარშრუტი კვლავ მდინარე ტეხურის ხეობას აუყვება, რამდენჯერმე გადაკვეთს მას და მის შენაკადებს ხიდის მეშვეობით და მიდის ადგილ ლეცხერუამდე, სადაც მცირე ზომის კასკადოვან ჩანჩქერს მიადგება. ჩანჩქერიდან მარშრუტი მალევე სასმელ წყაროს გაივლის ადგილ თხიფასთან და გადაკვეთს დაზიანებულ ხიდს (ხიდი რკინის კონსტრუქციის არის და ზედ ადგილობრივების მიერ დაწყობილია ხის მორები). აქედან მარშრუტი გრძელდება ე.წ. კალანდიას კარვისკენ, სადაც ასევე გვხვდება სასმელი წყარო, შემდგომ გზა შედარებით დიდი დახრილობის აღმართს მიუყვება და ადგილ ლეკუდელასთან საბანაკე ადგილამდე მიდის. საბანაკე ადგილიდან მარშრუტი ლებარდეს მიმართულებით კვლავ აღმართს მიუყვება და მწყემსების სადგომამდე მიდის (ადგილი – ქობალიას ნოხორევი). აღნიშნული ადგილი კურორტ ლებარდემდე გასავლელი გზის ნახევარზე მიგვითითებს. პირველი დღის დასაბანაკებელ ადგილადაც სწორედ ეს მიდამოები გამოდგება. აქვე შესაძლებელია ადგილზე დამზადებული თაფლის და რძის პროდუქტების შეძენა მწყემსებისგან.

დღე მე-3

მწყემსების სადგომიდან მარშრუტი სწორ გზას მიუყვება, სადაც გადაადგილება მარტივია, აქვე მალევე გვხდვება კლდე, რომელსაც ადამიანის პროფილის ფორმა აქვს, მას ადგილობრივები "სტალინის ბიუსტს" უწოდებენ (ადგილი ლეჭეხა). აქედან მარშრუტი ქვემოთ მდინარის კალაპოტისკენ ეშვება სერპანტინებით და მდინარე ლეჭეხას ხეობასთან მიდის, სადაც გადაკვეთს მდინარეს საფეხმავლო ხიდით. შემდგომ მარშრუტი შედარებით დაზიანებულ გრუნტის გზას მიუყვება და მორიგ კასკადოვან ჩანჩქერს გაივლის, ეშვება მდინარე ტეხურის კალაპოტში და გადაკვეთს მას. აღნიშნულ მონაკვეთში მდინარე შედარებით დიდია, მასზე გადებულია ხე, რის გამოც მისი გადაკვეთა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. მდინარიდან რამდენიმე ასეულ მეტრში გვხვდება მეფუტკრეთა სადგომები, საიდანაც მარშრუტი სერპანტინებიან აღმართს მიუყვება და ე.წ. ადგილ "ირმის ნახტომთან" მიდის. აქედან მარშრუტი კურორტ ლებარდესკენ გრძელდება, სამანქანო გურნტის გზას მიუყვება და ადის კურორტ ლებარდეში. კურორტზე რამდენიმე ხის სახლია, სადაც ადგილობრივებთან შეთანხმბით შესაძლებელია ღამის გათევაც.

დღე მე-4

მარშრუტი კურორტ ლებარდედან ზემოთ უკვე აღწერილი გზით კვლავ ქვემოთ ეშვება და ლებარდესკენ მიმავალ მთავარ გზაზე გამოდის, საიდანაც სოფელ კურზუსკენ მიემართება. სოფლამდე მიმავალი გზის სიგრძიდან გამომდინარე (30 კმ) სასურველია დარჩენილი გზა ორ დღეზე გადავანაწილოთ და კვლავ მწყემსების სადგომთან დავბანაკდეთ ე.წ ადგილი — ქობალიას ნასახლარი.

დღე მე- 5

მარშრუტი საბანაკე ადგილიდან ლებარდესკენ ამომავალი გზით სოფელ კურზუს მიმართულლებით ეშვება, გაივლის იმავე გზას და სოფელ დობერაზენის გავლით სრულდება სოფელ კურზუს ცენტრში.

მარშრუტის დასასრული.

მარშრუტში შემავალი ობიექტები: ოჩხომურის ჩარჩქერი, კურორტი ლებარდე, მდ. ტეხურის ხეობა, ადგილი „ირმის ნახტომი", მწყემსების და მეფუტკრეების სადგომები.

„ირმის ნახტომი" — ამ სახელით მოიხსენიებენ ადგილობრივები ადგილს, რომელიც მდინარე ლებარდეს ხეობაში მდებარეობს. იგი წარმოადგენს ჩამოშლილ კლდეს, სადაც ლეგენდის თანახმად მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე ირემი გადამხტარა. ირემს მონადირე დადევნებია და იმის

მიუხედავად, რომ მანძილი მდინარის ორ ნაპირს შორის და მდინარის ჩაჭრის სიღრმე აღნიშნულ ადგილას რამდენიმე ათეული მეტრია, ირემს დიდი ნახტომით მონადირისგან თავი დაუღწევია. ეს ადგილი იმითაც არის ცნობილი, რომ რაც არ უნდა მოინდომოთ, ვერაფრით შეძლებთ, ერთი ნაპირიდან ნასროლი ქვა მიაწვდინოთ მდინარის მეორე ნაპირამდე, სადაც აღმართულია კლდის შთენილი, იმის მიუხედავად, რომ ერთი შეხედვით კლდე საკმაოდ ახლოს მოგეჩვენებათ.

3 – მარშრუტის სახელწოდება: მარტვილი ისტორიული რაკურსით
მარშრუტის სახეობა: საველოსიპედო
მარშრუტის სირთულე: საშუალო
მარშრუტის სიგრძე: 35 კმ
მარშრუტის სიმაღლეები ზღვის დონიდან, საწყისი/უმაღლესი/საბოლოო: 90/277/239 მ
მარშრუტის გასავლელად საჭირო დრო: 1 დღე
მოგზაურობისთვის სასურველი პერიოდი: მარტი – ნოემბერი
გადაადგილების საშუალება: მარშრუტზე გადაადგილება, გარდა ველოსიპედისა, შესაძლებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტით (სარეისო მიკრო ავტობუსებით).

მარტვილის უწყვეტ კულტურულ განვითარებასა და ეთნიკური მრავალფეროვნების შესაცნობად მოინახულეთ მარტვილი ისტორიის ჭოგრიტით ხელში. ორი უძველესი რელიგიის თვალსაჩინო ნიმუშების თანაარსებობა უძველესი დროიდან ადგილობრივი მოსახლეობის ტოლერანტობასა და ჰუმანურობაზე მიუთითებს, მუზეუმის ექსპონატთა სიძველე და მრავაფეროვნება კი უძველესი ცივილიზაციაციის არსებობას ადასტურებს.

მარშრუტის აღწერა

მარშრუტი იწყება სოფელ ბანძიდან. თავდაპირველად შეხვდებით აქ მდებარე სინაგოგას, საიდანაც გაემგზავრებით სოფელში მდებარე მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ბანძიდან მარშრუტი გრძელდება სოფელ ნაგვაზოასკენ, აქ შესაძლებლობა გექნებათ დაათვალიეროთ მცირე ეთნოგარაფიული მუზეუმი, სადაც ნახავთ მეგრული ყოფისთვის დამახასიათებელ უამრავ ეთნოგრაფიულ ექსპონანტს. ნაგვაზაოში ასევე შესაძლებელია ადგილობრივ აგროემრუნესთან ვიზიტი და ნატურალური თაფლის შეძენა–დაგემოვნება.

მარშრუტის შემდეგი დანიშნულების პუნქტი რეგიონის ერთ–ერთი გამორჩეული კულტურული ღირსშესანიშნაობა მარტვილის მონასტერია, რომელთან მისასვლელი გზა სრულად მოასფალტებულია. ქალაქ მარტვილის ცენტრიდან მონასტრამდე მიმავალი გზა სერპანტინებიან აღმართს მიუყვება. აქ გარდა იმისა, რომ შეგიძლიათ დატკბეთ მონასტრის არქიტექტურული თავისებურებებით, ასევე შესაძლებელია ეწვიოთ მონასტრის ღვინის მარანს და შეიძინოთ რელიგიური თემატიკის სხვდასხვა სახის სუვენირი. მარტვილის მონასტრიდან მარშრუტი კვლავ ქალაქ მარტვილის ცენტრში ჩამოდის და აქვე მდებარე მუზეუმს მოიცავს. მუზეუმში მრავალი საინტერესო ექსპონატია დაცული, ამ მხრივ იგი მარტვილის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მუზეუმის დათვალიერების შემდგომ მარშრუტი სოფელ სალხინოსკენ გრძელდება, სადაც დადიანების ისტორიული რეზიდენცია მდებარეს. თავდაპირველად გადაკვეთს მდინარე ინჩხიაზე მდებარე საავტომობილო ხიდს და დადიანების სასახლემდე სრულად მიუყვება კეთილმოწყობილ მოასფალტებულ გზას. სასახლის მონახულებისას შეგიძლიათ დატკბეთ მისი ულამაზესი ვრცელი ეზოთი და მოინახულოთ მიურატების მიერ აშენებული ღვინის ისტორიული მარანი.

მარშრუტში შემავალი ობიექტები: ბანძის სინაგოგა, მარტვილის მონასტერი, მარტვილის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სალხინოს სასახლე და ღვინის მარანი.

4 – მარშრუტის სახელწოდება: ღვინოში არეკლილი სამეგრელო
მარშრუტის სახეობა: ღვინის ტური
მარშრუტის სიგრძე: 25 კმ
მარშრუტის სიმაღლეები ზღვის დონიდან, საწყისი/უმაღლესი/საბოლოო: 183/277/269 მ

მარშრუტის გასავლელად საჭირო დრო: 1 დღე
მოგზაურობისთვის სასურველი პერიოდი: მარტი – ნოემბერი
გადაადგილების საშუალება: მარშრუტზე გადაადგილება შესაძლებელია ველოსიპედით და საზოგადოებრივი ტრანსპორტით.
როგორ მივიდეთ: ქალაქებიდან – თბილისი, ბათუმი, ქუთაისი ქ. მარტვილის მიმართულებით მიმავალი საზოგადოებრივი ტრანსპორტის საშუალებით.

საქართველო ღვინის აკვანია, მარტვილის მუნიციპალიტეტი კი ოჯალეშის სამშობლო. აქ დაგემოვნებთ უძველესი ქართული ჯიშისგან დაწურულ ღვინოს, რომელიც საოცარი სიღრმითა და ხასიათით გამოირჩევა, ელვარე და შინდისფერია და განსაკუთრებით უხდება მეგრულ ცხარე და ხორციან კერძებს, ისეთი, როგორიც არის მეგრული ხარჩო, შემწვარი ციკანი, კუჭმაჭი და ა.შ. მოიწყვეთ დღესასწაული და დაგემოვნეთ ადგილობრივ მცირე მარნებში ღვინო და მეგრული სამზარეულო!

მარშრუტის აღწერა

მარშრუტი იწყება ქ. მარტვილის ცენტრიდან და მიემართება მარტვილის მონასტრის ღვინის მარნისკენ. ქალაქ მარტვილის ცენტრიდან მონასტრამდე მიმავალი კეთილმოწყობილი გზა სერპანტინებიან აღმართს მიუყვება. აქ, გარდა იმისა, რომ შეგიძლიათ დაგემოვნოთ ღვინო ოჯალეში, ასევე შეგიძლიათ დატკბეთ მონსატრის არქიტექტურული თავისებურებებით. მარტვილის მონასტერი კულტურული მემკვიდრეობის ერთ–ერთი გამორჩეული ძეგლია. აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ რელიგიური თემატიკის სხვდასხვა სახის სუვენირიც.

მარტვილის მონასტრიდან მარშრუტი კვლავ ქალაქ მარტვილის ცენტრში ჩამოდის და აქვე მდებარე მუზეუმს მოიცავს. მუზეუმში დაცულია სამეგრელოს ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი ვაზის ისტორიული ჯიშები და ღვინის წარმოებასთან დაკავშირებული მრავალი ეთნოგრაფიული ნივთი. მუზეუმის კომპეტენტური თანამშრომლები საფუძვლიანად გაგაცნობენ სამეგრელოში ღვინოსთან დაკავშირებულ საინტერესო ინფორმაციას. მუზეუმის დათვალირების შემდგომ მარშრუტი სოფელ სალხინოსკენ გრძელდება, სადაც დადიანების ისტორიული რეზიდენცია მდებარეობს. დადიანების სასახლემდე მისვლა შესაძლებელია კეთილმოწყობილი მოასფალტებული გზით.

ოჯალეშისგან ღვინის წარმოების უმთავრეს ცენტრს სალხინოს სამონასტრო კომპლექსი წარმოადგენს. მონასტერში მისულ სტუმრებს საშუალება აქვთ მოინახულონ მიურატების ისტორიული მარანი, სადაც რამდენიმე წლის მოსავლის ოჯალეშისგან დაწურული ღვინო ინახება. ასევე, გაისეირნონ რეზიდენციის ულამაზეს ვრცელ ეზოში. სალხინოდან მარშრუტი სოფელ თარგამეულში გრძელდება, სადაც მდინარე ტეხურის ნაპირებზე ოჯალეშის გავრცელების ერთ–ერთი მიკრო ზონა მდებარეობს. სოფელში ფუნქციონირებს საოჯახო მარანი, სადაც, გარდა ოჯახურ პირობებში დაყენებული ოჯალეშისა, მეგრული სამზარეულოსთვის დამახასიათებელი კერძების დაგემოვნებასაც შემოგთავაზებენ.

მარშრუტში შემავალი ობიექტები: მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მარტვილის მონასტრის მარანი, სალხინოს მონასტრის მარანი, საოჯახო მარანი სოფელ თარგამეულში.

მარტვილის მონასტრის მარანი – მდებარეობს ქალაქ მარტვილში, მონასტრის ეზოში. მარანი არის იზოლირებული ნაგებობა დახვეწილი შიდა და გარე ინტერიერით. მარანი შედგება ორი სართულისგან, ზედა სართულზე არის სადეგუსტაციო დარბაზი, სადაც წარმოადგენლია რამდენიმე ქართული ღვინო. აღნიშნული სართულის შიდა ინტერიერი მოწყობილია ტრადიციულ ქართულ სტილში; რაც შეეხება ქვედა სართულს, მასში მოხვედრა შესაძლებელია, როგორც სადეგუსტაციო დარბაზიდან ჩასასველი კიბით, ასევე მონასტრის ეზოდან იზოლირებული შესასვლელით. ქვედა სართულზე ათამდე ქვევრია. აღნიშნული სართული ტრადიციულ ქართულ სტილშია მოწყობილი და გაფორმებულია სხვადასხვა ეთნოგრაფიული ელემენტებით.

ნიკა ფარცვანიას საოჯახო მარანი სოფ. თარგამეულში – საოჯახო მარანი სოფელ თარგამეულში მდებარეობს. იგი ტრადიციულ ქართულ სტილშია მოწყობილი, გაფორმებულია სხვადასხვა სახის ეთნოგრაფიული ელემენტებით. მარანში რამდენიმე ქვევრია. მასპინძელს მისული სტუმრისთვის შეუძლია ოჯალეშისა და ცოლიკოურის ჯიშისგან დაყენებული ნატურალური ღვინოების შეთავაზება.

მარტვილის მუნიციპალიტეტი

სასტუმროები

“მარტვილი პალასი”
მის.: მშვიდობის ქ. 8, ქ. მარტვილი
ტელ.: 599 71 00 99
საკონტაქტო პირი: ვასილ ბართია

“გარდა”
მის.: ჭავჭავაძის ქ. 2, ქ. მარტვილი
ტელ.: 571 47 10 78
საკონტაქტო პირი: ჟორა კინწურაშვილი

“კოლხი”
მის.: გახოკიძის ქ. 2, ქ. მარტვილი
ტელ.: 599-23-00-26
საკონტაქტო პირი: თენგიზ კუდავა

“ნიუ ჰოტელ”
მის.: მშვიდობის ქ. 35, ქ. მარტვილი
ტელ.: 597 40 02 11
საკონტაქტო პირი: ლალი კალმახიძე

საოჯახო სასტუმროები

ლევან ვახანიას საოჯახო სასტუმრო
მის.: 9 აპრილის ქ. 29, ქ. მარტვილი
ტელ.: 577 11 01 01

ბელა ქაჯაიას საოჯახო სასტუმრო
მის.: ენგელსის ქ. 12, ქ. მარტვილი
ტელ.: 599 34 16 49

გიორგი ჩხეტიას საოჯახო სასტუმრო
მის.: თამარ მეფის ქ. 26. ქ. მარტვილი
ტელ.: 571 20 71 29

გვანცა მუჯირის საოჯახო სასტუმრო
მის.: მშვიდობის ქ. 7, ქ. მარტვილი
ტელ.: 577 50 80 90

აზა ნაჭყეპიას საოჯახო სასტუმრო
მის.: სოფ. პირველი ბალდა,
მარტვილის რ-ნი
ტელ.: 592 37 21 01

იზა ოდიშარიას საოჯახო სასტუმრო
მის.: ჭავჭავაძის ქ. 6, ქ. მარტვილი
ტელ.: 591 70 20 25

ჯული უჩავას საოჯახო სასტუმრო
მის.: წოწორიას ქ. 10, ქ. მარტვილი
ტელ.: 597 99 40 00

ლია ნანავას საოჯახო სასტუმრო
მის.: სოფ. მეორე ბალდა, მარტვილის რ-ნი.
ტელ.: 595 24 72 82

ნინო წოწორიას საოჯახო სასტუმრო
მის.: სოფ. ინჩხური, მარტვილის რ-ნი.
ტელ.: 593 33 04 07

როლანდ წულაიას საოჯახო
სასტუმრო "ლუკა"
მის.: კოსტავას ქ. 8, ქ. მარტვილი
ტელ.: 577 95 92 01

თამარ ჯიქიას საოჯახო სასტუმრო
მის.: სოფ. ინჩხური, მარტვილის რ-ნი
ტელ.: 599 82 49 82

ლოლა ფეტელავას საოჯახო სასტუმრო
მის.: სოფ ინჩხური,
მარტვილის რ-ნი
ტელ.: 593 58 09 46

კვების ობიექტები

სასადილო "ბუმი"
მის.: თამარ მეფის ქ. 5, ქ. მარტვილი
ტელ.: 577 95 91 92
საკონტაქტო პირი: ლევანი თოფურია

რესტორანი "სარდაფი"
მის.: ჭავჭავაძის ქ. 2, ქ. მარტვილი
ტელ.: 571 47 10 78
საკონტაქტო პირი: ჟორა კინწურაშვილი

ტურისტული მომსახურებები



ტურისტული სააგენტო "მარტვილის
კანიონი" მის.: თამარ მეფის ქ. 5, ქ.
მარტვილი; ტელ.: 579 80 28 42
საკონტაქტო პირი: ანი წიქარიშვილი

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი
მის.: თავისუფლების ქუჩა № 7, ქ. მარტვილი
ტელ.: 551 09 12 99; საკონტაქტო პირი:
ლადო დანელია, რომან ოდიშარია

მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების
ადმინისტრაცია; მის.: სოფ. ინჩხური,
მარტვილის რ-ნი. ტელ.: 599 37 24 11
საკონტაქტო პირი: ზაზა გაგუა

გამყოლები

გამა სილაგავა
ტელ.: 598 59 77 24
მარშრუტების ტიპი: საფეხმავლო,
კულტურული

სალომე გაგუა
ტელ.: 591 68 90 70
მარშრუტების ტიპი: კულტურული

მარიამ გადილია
ტელ.: 577 17 93 13
მარშრუტების ტიპი: საფეხმავლო,
კულტურული

გია პაპავა
593 42 44 05
მარშრუტების ტიპი: საფეხმავლო, კულტურული

ხვიჩა ჯანჯღავა
ტელ.: 598 38 50 51
მარშრუტების ტიპი: საფეხმავლო

ლაშა ბჟალავა
ტელ.: 598 55 98 31
მარშრუტების ტიპი: საფეხმავლო

ბექა ხუნწელია
ტელ.: 598 24 73 27
მარშრუტების ტიპი: საფეხმავლო

რუსუდან ფაიქიძე
ტელ.: 591 94 03 93
მარშრუტების ტიპი: საფეხმავლო, კულტურული

მუზეუმები

გივი ელიავას სახელობის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
მის.: თავისუფლების ქ. 7, ქ. მარტვილი
ტელ.: 599 17 73 03
საკონტაქტო პირი: გია ელიავა

ღვინის მარნები

ნიკა ფარცვანიას საოჯახო მარანი
მის.: სოფ. თარგამეული, მარტვილის რ-ნი.
ტელ.: 598 92 02 34
ღვინის ტიპი: ოჯალეში

სალხინოს მონასტრის მარანი
მის.: სოფ. სალხინო, მარტვილის რ-ნი.
ტელ.: 599 91 20 12 (დედა თამარი)
ღვინის ტიპი: ოჯალეში

მარტვილის მონასტრის მარანი
მის.: ქ. მარტვილი
ტელ.: 599 91 20 10 (დედა თამარი)
ღვინის ტიპი: ოჯალეში

სენაკის მუნიციპალიტეტი

სასტუმროები

“ოსკარი”
მის.: ქ. სენაკი , ფოთი-სენაკის ავტომაგისტრალი; ტელ.: 599 16 28 08
საკონტაქტო პირი: დათა ბუკია

“ვერსალი”
მის.: წმ.ნინოს ქ. 24, ქ. სენაკი
ტელ.: 597 08 95 92, 597 60 63 63

საოჯახო სასტუმროები

ეკა ლომიძის საოჯახო სასტუმრო
მის.: სოფ. ნოქალაქევი, სენაკის რ-ნი
ტელ.: 574 17 37 62

ალექსანდრე ჯანჯღავას საოჯახო სასტუმრო
მის.: სოფ. ნოქალაქევი, სენაკის რ-ნი
ტელ.: 595 99 40 04

კვების ობიექტები

რესტორანი "ოსკარი"
მის.: ქ. სენაკი, სენაკი-ფოთის ავტომაგისტრალი; ტელ.: 599 16 28 08
საკონტაქტო პირი: დათა ბუკია

რესტორანი "ვერსალი"
მის.: წმ.ნინოს ქ. 24, ქ. სენაკი
ტელ.: 597 08 95 92, 597 60 63 63

რესტორანი "ჯიხა"
მის.: სოფ. ნოქალაქევი, სენაკის რ-ნი.
ტელ.: 599 15 24 67
საკონტაქტო პირი: კახაბერ ხუხია

რესტორანი "ეგრისი"
მის.: სოფ. ნოსირი, სენაკის რ-ნი.
ტელ.: 592 40 80 80
საკონტაქტო პირი: ირმა ვაჩეიშვილი

ადგილობრივი პროდუქციის მწარმოებლები

პაატა ლომია
მის.: ჯავახიშვილის ქ. 18, სოფ. მენჯი
ტელ.: 598 15 23 82
წარმოების ტიპი: საოჯახო თაფლი

ალექსანდრე ჯანჯღავა
მის.: სოფ.ნოქალაქევი, სენაკის რ-ნი
ტელ.: 595 99 40 04
წარმოების ტიპი: საოჯახო თაფლი

ელგუჯა კაჭარავა
მის.: სოფ. ნოსირი, სენაკის რ-ნი
ტელ.: 599 17 38 80
წარმოების ტიპი: ხეზე კვეთა და ფერწერული ნამუშევრები

დარეჯან ფაჩულია
მის.: ხორავას ქ.10, ქ. სენაკი.
ტელ.: 599 28 42 62
წარმოების ტიპი: სამკაულები

სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
მის.: შოთა რუსთაველის ქ. 152, ქ. სენაკი/
ტელ.: 592 90 22 70
საკონტაქტო პირი: გრიალა მირგატია

ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი
მის.: სოფ.ნოქალაქევი, სენაკის რ-ნი
ტელ.: 577 25 33 72
საკონტაქტო პირი: ნინო ჯოლია

არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმი
მის.: სოფ. ძველი სენაკი, სენაკის რ-ნი
ტელ.: 595 57 97 88
საკონტაქტო პირი: გივი ჩიქობავა

შენიშვნები